საენათმეცნიერო კრებული

645166 E22

ეძღვნება

გივი მაჭავარიანის

ხსოვნას

დაბადების 50 წლისთავზე

Посвящается памяти

ГИВИ ИРАКЛИЕВИЧА МАЧАВАРИАНИ

к 50-летию со дня рождения

Presented to the Memory of late prof.

GIVI MACHAVARIANI

on the Occasion of His Fiftieth Birthday

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ACADEMY OF SCIENCES OF THE GSSR

ЛИНГВИСТИЧЕСКИЙ СБОРНИК

STUDIES IN LINGUISTICS

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
«MECNIEREBA«
ТБИЛИСИ
TBILISI
1979

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

EX·LIBRIS
VAHAGN
PETROSYAN

საენათმეცნიერო კრებული

Herrn Prof. Dr. Karl Horst Schmidt

mit Hochachtung

von der Familie Giwi Matschawariani's

21.09.1980.

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1979

4 С (Кав.) + 4 Г
4+494.6+499.962.1
ს 157

კრებულში მოთავსებულია გამოკვლევები იბერიულ-კავკასიური ენების, ზოგადი ენათმეცნიერებისა და ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის საკითხებზე. მასში მონაწილეობენ ცნობილი საბჭოთა და უცხოელი მკვლევრები.

Сборник содержит статьи советских и зарубежных ученых по проблемам иберийско-кавказского и общего языкознания. В нем рассматриваются также некоторые диахронические проблемы индоевропейских и финно-угорских языков.

რედაქტორი შოთა ძიძიგური

Редактор Ш. В. ДЗИДЗИГУРИ

Editor SH. DZIDZIGURI

ს $\frac{70103}{М\ 607\ (06)—79}$ 103—79 გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979

გ. მაჭავარიანი

შემოქმედი, მკვლევარი[1]

საბჭოთა ენათმეცნიერების წინა რიგებს უეცრად გამოეცალა ახალგაზრდა შესანიშნავი ენათმეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი — გივი მაჭავარიანი. მან თავისი მაღალი ნიჭიერებისა და ღრმა ერუდიციის მეოხებით დამსახურებულად ადრე მოიპოვა გამოჩენილი ენათმეცნიერის სახელი, როგორც რამდენიმე მსოფლიო კონგრესზე აქტიურმა მონაწილემ, ავტორმა მთელი რიგი გამოქვეყნებული შრომებისა და თანაავტორმა (პროფ. თ. გამყრელიძესთან), განსაკუთრებულად — როგორც ფაქტობრივ, ისე მეთოდოლოგიურად გზის გამკვლევი შრომისა „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში". ამ შრომებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა საერთაშორისო მასშტაბით... მაგრამ ყველაფერი ეს იყო იმ გრანდიოზული მუშაობის მხოლოდ პირველი საფეხური, რომელიც მან შექმნა, როგორც თაობათა სამუშაო გეგმა და მანვე მიუთითა მისი შესრულების რეალურ გზებზე.

დავკარგეთ ჩინებული მკვლევარი, ჩვენი უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის ძნელად შესანაცვლებელი წევრი.

აუნაზღაურებელია და კარგა ხანს ასეთად დარჩება გივი მაჭავარიანის დაკარგვა.

გ ი ო რ გ ი ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

მძიმე დანაკლისი[2]

ძნელი წარმოსადგენია, თუ რა დიდი დანაკლისი განიცადა ჩვენმა მეცნიერებამ გივი მაჭავარიანის მოულოდნელი გარდაცვალებით. მან თავისი ხანმოკლე სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე, 40 წლის ასაკში, საერთაშორისო სახელი მოიხვეჭა და საბჭოთა

[1] გაზეთი „კომუნისტი", 3 სექტემბერი, 1968.
[2] გაზეთი „კომუნისტი", 3 სექტემბერი, 1968.

ქართული მეცნიერება მსოფლიო მეცნიერების წინაშე ასახელა. იგი იყო უაღრესად განსწავლული მეცნიერი ზოგადი და ქართველური ენათმეცნიერების საკითხებში. ბრწყინვალე ნიჭის ადამიანი და დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობის უნარით დაჯილდოებული მკვლევარი, ხოლო ქართველური ენებისა და დიალექტების ცოდნაში იგი სრულყოფილებას აღწევდა.

გივი მაჭავარიანის შრომები ქართველურ ენათა კონსონანტიზმის შესახებ და საერთოდ ქართველურ ენათა შედარებით ფონეტიკაში, მონოგრაფია სონანტებისა და აბლაუტის შესახებ, მრავალი სხვა გამოკვლევა ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. აკადემიკოსების აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის ეპოქალური გამოკვლევების შემდეგ, რომლებმაც მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში საფუძველი ჩაუყარეს საენათმეცნიერო მუშაობას ჩვენში, გივი მაჭავარიანის შრომები ბრწყინვალე ფურცელს წარმოადგენენ ქართული მეცნიერების განვითარების ისტორიაში.

აუნაზღაურებელია დანაკლისი, უსაზღვროა ჩვენი მწუხარება, მაგრამ ნუგეშად დაგვრჩენია რწმენა, რომ მომავალში, მრავალი წლის მანძილზე გივი მაჭავარიანის შესანიშნავი გამოკვლევები გზას გაუკაფავენ მეცნიერთა მრავალ თაობას.

გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი

გივი მაჭავარიანის ხსოვნას[1]

გივი მაჭავარიანი ახალგაზრდა გარდაიცვალა. ძნელია ადვილად შეურიგდე ამ აუნაზღაურებელ დანაკლისს, — ძნელია იმიტომ, რომ სამუდამოდ დაგვშორდა ადამიანი, რომლის სახელთან დაკავშირებულია მეცნიერებაში ძიების ახალი გზები, ორიგინალური მეცნიერული შემოქმედების საყოველთაოდ აღიარებული მიღწევები, ფართოდ მოხაზული გეგმები და მისივე ხვალინდელი დღის ნათელი პერსპექტივა.

დასანანია, რომ გივი მაჭავარიანს თან წაჰყვა მოფიქრებული და გააზრებული ბევრი ახალი იდეა, რომელთა ხორცშესხმა კიდევ

[1] გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", № 8, 1968. სიტყვა, წარმოთქმული გივი მაჭავარიანის დაკრძალვის დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1968, IX, 3).

უფრო გააფართოებდა ჩვენს წარმოდგენას ქართველური ენების კვლევის დარგში. იგი ბოლო ხანებში ლინგვისტურ ასპექტში იკვლევდა ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხებს. გივი მაჭავარიანი ერთი იმათგანია, ვინც ქართული ენის უძველესი სახის აღდგენით შუქსა ჰფენდა ჩვენი ხალხის წარმოშობის რთულ პრობლემებს და ახალი მეთოდოლოგიური მიდგომით ხელს უწყობდა მათ გადაჭრას. ეს ძიებები, ჩვენდა სავალალოდ, ულმობელმა სიკვდილმა შუა გზაზე შეწყვიტა.

გივი მაჭავარიანი არა მარტო ჩვენში იყო გამორჩეული და ორიგინალური შემოქმედებითი სტილის მკვლევარი. მას დიდად აფასებდნენ საბჭოთა ენათმეცნიერების სახელგანთქმული წარმომადგენლები, მის სახელს ჩვენი ქვეყნის გარეთაც იცნობდნენ. იგი აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიო სიმპოზიუმებსა და კონგრესებში, და თითქოს სიმბოლურია, რომ გივი ფიზიკურად დაეცა სწორედ საერთაშორისო შეკრების გარემოში, იქ, სადაც მიიტანა მან თავისი უკანასკნელი გამოკვლევა.

გივი მაჭავარიანი ქართული საენათმეცნიერო სკოლის ახალი თაობის მშვენებაა და მისი საუკეთესო ტრადიციების სწორუპოვარი გამგრძელებელი. მისი ნიჭიერებით აღბეჭდილი ნაშრომები ჩვენს დარგში ახალი მოსაბრუნის მიმნიშნებელია და გაბედულადაა გასული ფართო ასპარეზზე, სადაც ქართული ენის კვლევას საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი.

მაღალი მომთხოვნელობა, პრინციპულობა, უკომპრომისობა — ეს თვისებები ახასიათებდა მას, როგორც ნამდვილ მეცნიერსა და ჭეშმარიტ მოქალაქეს.

ურთულეს ენობრივ ხლართებს იგი ადვილად აღწევდა თავს და გამჭვირვალე, შეკუმშული სტილით გადმოსცემდა თავის მიკვლევებს, მიგნებებს, ძნელად მისაღწევი უბრალოებით მოგვითხრობდა ენის გარდასულ მდგომარეობებს, აჩენდა ენის სტრუქტურის დაფარულ თვისებებს. იგი ღრმად იყო ჩამწვდარი ქართული ენის ფესვებს და დიდი ნიჭიერებით ფარდას ხდიდა ჩვენი დედაენის საიდუმლოებას.

გივი მაჭავარიანმა ღრმად შეისისხლხორცა ქართული ენათმეცნიერების დარგში არსებული ფუნდამენტური გამოკვლევები და ახალი მეთოდებით წარმართა კვლევა-ძიება, ახალი მიღწევებით გაამდიდრა ქართველოლოგია.

ამიტომაა, რომ გვხიბლავს გივი მაჭავარიანის ნამოღვაწარი, მი-

სი შემოქმედება, რომელიც კიდევ უფრო გაიშლებოდა და გაღრმავდებოდა, უეცარ სიკვდილს რომ არ დაედო სამანი ამ ახალგაზრდა კაცის შემოქმედებითი წინსვლისათვის.

უსაზღვროა ჩვენი წუხილი. უნაპიროა ჩვენი დანანება.

მშვიდობით, ჩვენო უწყინარო, ბუნჩულა და თავმდაბალო კაცო, პირზე ღიმილით რომ დადიოდი ასე უჩუმრად და უხმაუროდ.

აფსუს, რა ელვარე ნიჭი ჩაქრა! აფსუს, რა მომხიბლავი კაცი დავკარგეთ!

შოთა ძიძიგური

КРАТКАЯ БИОГРАФИЯ ГИВИ ИРАКЛИЕВИЧА МАЧАВАРИАНИ

Г. И. Мачавариани родился 5 декабря 1927 г. в Тбилиси. В 1950 г. он окончил отделение кавказских языков филологического факультета Тбилисского государственного университета и был оставлен в аспирантуре.

В 1954 г. защитил кандидатскую диссертацию на тему «Основные морфологические категории глагола в картвельских языках», а в 1966 г. докторскую диссертацию на тему «Общекартвельская консонантная система».

До последних дней своей жизни Г. И. Мачавариани работал профессором кафедры общего языкознания ТГУ и старшим научным работником отдела картвельских языков Института языкознания АН Грузинской ССР, сочетая педагогическую работу с разносторонней и напряженной научно-исследовательской деятельностью.

Гиви Мачавариани был человеком, в котором воплотились черты подлинного гуманитария. Широкий научный диапазон, глубокое знание культуры, истории, этнографии, музыкального фольклора родной страны сочетались в нем с высоким лингвистическим профессионализмом.

На протяжении своей кратковременной научной деятельности Г. И. Мачавариани сумел обогатить грузинское языкознание фундаментальными исследованиями. Его перу принадлежит несколько десятков опубликованных и неопубликованных работ, касающихся структуры и истории картвельских и некоторых кавказских языков, проблем общего языкознания, типологии языков, в частности, вопроса о типологических схождениях картвельских языков с индоевропейскими и кавказскими языками. Им была задумана серия работ, синтезирующая данные истории, культуры и языка,

из которой опубликована только одна. Он с успехом участвовал в нескольких международных и всесоюзных конгрессах и симпозиумах (см. Библиографию).

Гиви Ираклиевич был удивительно скромным и обаятельным человеком: его умение слушать собеседника, вовлекать людей в творческий процесс, будить научную инициативу делало его незаменимым педагогом и коллегой.

В августе 1968 г. в Венгрии, во время международного симпозиума «Типология I», оборвалась жизнь ученого.

5 декабря 1977 г. исполнилось 50 лет со дня рождения ученого.

Этот сборник — дань уважения его труду, таланту и личности.

გივი მაჭავარიანის შრომების ბიბლიოგრაფია

БИБЛИОГРАФИЯ

РАБОТ ГИВИ ИРАКЛИЕВИЧА МАЧАВАРИАНИ[1]

1. Лексика хлебных злаков на материале кахетинского диалекта, 1948. Тезисы X научной конференции студентов ТГУ. Работа опубликована в 1950 г. Сборник научных работ студентов ТГУ. Книга V, изд. ТГУ, Тбилиси, 286—295. На грузинском языке (მასალები პურეულის ლექსიკისათვის შიგნი კახეთში).

2. О строении вспомогательного глагола в сванском языке, 1949. Тезисы научной конференции студентов ТГУ. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 16 страниц (მეშველი ზმნის აგებულებისათვის სვანურში).

3. К вопросу о статике-динамике в абхазском языке, 1950. Тезисы XII научной конференции студентов ТГУ. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 18 страниц (სტატიკურობა-დინამიკურობის საკითხისათვის აფხაზურში).

4. Основные категории абхазского и грузинского глагола, 1950. Дипломная работа. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 57 страниц (აფხაზური და ქართული ზმნის ძირითადი კატეგორიები).

5. К истории пермансива (холмеобити) в картвельских языках, 1951. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 12 страниц (ხოლმეობითის ისტორიისათვის ქართველურ ენებში).

---

[1] Библиография содержит сведения об опубликованных и неопубликованных работах Г. И. Мачавариани, хранящихся в архиве ученого. Архив еще не полностью изучен. Многие начатые и незаконченные работы, фрагменты, материалы, письма и т. д. ждут описания. Аннотированная библиография трудов ученого на грузинском языке опубликована в «Мимомхилвели», 6—9, Научно-библиографический сборник, 1969—1972, Изд. ТГУ, Тбилиси, с. 501—533. Здесь же сведения даются на русском языке. В скобках приводятся названия работ на языке оригинала.

6. Вопросы грамматики с точки зрения учения о языке И. В. Сталина, 1951. Тезисы научной конференции аспирантов ТГУ. На грузинском языке (გრამატიკის საკითხები ი. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების მიხედვით).

7. К образованию дуративного аспекта в картвельских языках, 1952. Тезисы научной конференции аспирантов ТГУ. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 23 страницы (განგრძობითი ასპექტის წარმოებისათვის ქართველურ ენებში).

8. Основные морфологические категории глагола в картвельских языках. Часть I. Автореферат кандидатской диссертации, Тбилиси, 1953. На русском языке, 16 страниц. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 285 стр. (ზმნის ძირითადი კატეგორიები ქართველურ ენებში, ნაწილი I).

9. К этимологии сванского глагола „ličed“ (итти), 1953. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 6 страниц („ლიჩედ“ ზმნის ეტიმოლოგიისათვის).

10. К генезису форм сравнительной степени в картвельских языках, 1954. Тезисы научной конференции филологического факультета ТГУ. Работа опубликована в 1958 г. Труды ТГУ, Том 71, Тбилиси, 119—131. На грузинском языке. Резюме на русском языке, 129—131 (შედარებითი ხარისხის წარმოებისათვის ქართველურ ენებში).

11. Основные морфологические категории глагола в картвельских языках. Часть II, Каузатив, 1954. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 106 страниц (ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, ნაწილი II, კაუზატივი).

12. Основные морфологические категории глагола в картвельских языках. Часть III, Вид. 1955. Работа опубликована посмертно в сборнике, посвященном памяти академика АН ГССР В. Т. Топуриа. Вопросы структуры картвельских языков, IV, 1974, изд. «Мецниереба», Тбилиси, 118—142. На грузинском языке. Русское резюме, 141—142. Категория вида в картвельских языках (ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში).

13. Рецензия на работу А. Шарданова «Категории потенциалиса и версии в системе спряжения глагола адыгских языков», 1955. Неопубликованная рукопись на русском языке, 19 страниц.

14. Из истории соответствия гласных в картвельских языках, 1955. Тезисы научной сессии ТГУ, Тбилиси. Работа опубликована в 1958 г. Труды ТГУ, том 69, Изд. ТГУ, Тбилиси (ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში).

15. Случаи лабиализации гласного «а» в сванском языке, 1956. Сообщения АН ГССР, том XVII. На русском и грузинском языках („ა“ ხმოვნის ლაბიალიზაციის შემთხვევები სვანურში).

16. К вопросу об ударении в картвельских языках, 1955—1956. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 186 страниц (მახვილის საკითხისათვის ქართველურ ენებში).

17. Рецензия на работу Т. Зурабишвили «Степень в картвельских языках», 1956. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 10 страниц.

18. Рецензия на работу Е. Джеиранашвили «Удинский язык, I. Фонетика, морфология», 1956 г. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 20 страниц.

19. Прошедшее несовершенное в сванском языке и его место в системе спряжения глагола в картвельских яыках, 1957. Тезисы научной конференции ТГУ, 1957. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 70 страниц (ნამყო უსრული სვანურში და მისი ადგილი ქართველურ ენათა უღვლილების სისტემაში).

20. «Корневой тип» страдательного залога в картвельских языках, 1958. Вопросы структуры картвельских языков, I, Тбилиси, 101—130. На грузинском языке. Русское резюме, 129—130 („უნიშნო“ ვნებითი ქართველურ ენებში).

21. К значению основ атематических глаголов в картвельских языках, 1958. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 21 страница (ზმნის ათემატურ ფუძეთა მნიშვნელობისათვის ქართველურ ენებში).

22. Сравнительная морфология картвельских языков, Часть I, 1958. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 300 страниц (ქართველურ ენათა შედარებითი მორფოლოგია, ნაწილი I).

23. К этимологии сванского слова «mešxe» («черный»), 1959. Тезисы научной конференции ТГУ. На грузинском языке. Работа опубликована в 1962 г. Иберийско-кавказское языкозна-

ние, том XIII, 229—235. На грузинском языке. Русское резюме, 234—235 („მეშხე“ („შავი“) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის სვანურ-ში).

24. О трех рядах сибилянтных спирантов и аффрикат в картвельских языках, 1959. Текст доклада, прочитанного в Институте языкознания АН ГССР. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 15 страниц (სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სამი რიგის შესახებ ქართველურ ენებში).

25. К генезису одного типа склонения в сванском языке, 1960, труды ТГУ, том 93, Тбилиси, 93—104. На грузинском языке. Русское резюме, стр. 104 (ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში).

26. Грузино-абхазские лексические соотношения, 1960. Рукопись на грузинском языке, 31 страница (ქართულ-აფხაზური ლექსიკური ურთიერთობანი).

27. О трех рядах сибилянтных спирантов и аффрикат в картвельских языках, Москва, 1960, XXV Международный конгресс востоковедов, 11 страниц на русском языке. 12 страниц на английском языке (Three series of sibilant spirants and affricates in Kartvelian languages).

28. К этимологии сванского слова mûžγver («осень»), 1960. Текст доклада, прочитанного в Институте языкознания АН ГССР. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 7 страниц (სვანური მჷ̂ჟღჷერ („შემოდგომა)“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის).

29. Рецензия на работу Г. А. Климова «Система склонения в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте», 1960. Неопубликованная рукопись на русском языке, 12 страниц.

30. К характеристике системы гласных в сванском языке (на материале верхнебальского диалекта), 1961. Тезисы научной сессии ТГУ. На грузинском языке. Работа опубликована в 1963 г. Труды ТГУ, том 96, Тбилиси, 139—150. На грузинском языке. Русское резюме, 150 (ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში (ბალსზემოური დიალექტის მიხედვით).

31. К вопросу о генезисе суффиксального типа страдательного залога в картвельских языках, 1961. Работа опубликована посмертно в журнале «Мацне» (Вестник) АН ГССР. Серия языка и литературы, 1973, № 1, 107—121. На грузинском языке. Русское

резюме, 121 (ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქარ-თველურ ენებში).

32. К генезису аориста суффиксального типа на -ii и -ee в мегрельском языке, 1961. Неопубликованные тезисы на русском и грузинском языках (აორისტის -იი და -ეე სუფიქსიანი ტიპის გე-ნეზისისათვის მეგრულში).

33. К вопросу о взаимоотношении синхронического и диахронического языкознания, 1961. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 18 страниц (სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ურთიერთობის საკითხი).

34. Рецензия на работу V. Polàk. „Contributions á la grammaire historique des langues Kartvéliennes“. Вопросы структуры картвельских языков, том II, Тбилиси, 253—261. На грузинском языке.

35. Проблема умлаута в занском языке, 1962, Тезисы VI научной сессии филологического факультета ТГУ, на грузинском языке (უმლაუტის პრობლემა ზანურში).

36. Сравнительная грамматика картвельских языков, 1962, ТГУ, Программа. На грузинском языке, 6 страниц (ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა).

37. Некоторые проблемы соответствия согласных в картвельских языках, 1962. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 24 страницы (თანხმოვანთა შესატყვისობის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში).

38. Эволюция некоторых акцессивных комплексов в грузинском языке, 1962. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 16 страниц (ზოგი აქცესიური კომპლექსის ევოლუცია ქართულში).

39. Вопросы суффиксации глагольных основ в картвельских языках, 1963. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 26 страниц (ზმნური ფუძეების სუფიქსაციის საკითხები ქართველურ ენებში).

40. Некоторые вопросы склонения в сванском языке, 1963. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 33 страницы (ბრუნების ზოგიერთი საკითხი სვანურში).

41. К типологической характеристике общекартвельского языка-основы, 1964. Тезисы VIII научной сессии филологического факультета ТГУ, на грузинском языке. Работа опублико-

вана в 1964 г. К вопросу об индоевропейско-картвельских (южно-кавказских) типологических параллелях. «Наука». Москва, VII Международный конгресс антропологических и этнографических наук. На русском языке 6 страниц. На английском языке 7 страниц (On the problem of Indo-European-Kartvelian (South-Caucasian) typological parallels).

42. Некоторые вопросы эволюции системы латеральных согласных в нахской группе языков, 1964. Иберийско-кавказское языкознание, том XVI, Тбилиси, 261—270. На грузинском языке. Русское резюме, 269—270 (ლატერალურ თანხმოვანთა სისტემის ევოლუციის ზოგიერთი საკითხი ნახური ჯგუფის ენებში).

43. Консонантная система современного грузинского литературного языка, 1964. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 87 страниц (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის კონსონანტური სისტემა).

44. Основные направления структурализма, 1965. Вопросы языкознания, № 6, на русском языке, 133—137.

45. К фонологической интерпретации сегментов [ue] и [ui] в сванском языке (на материале верхнебальского диалекта). Тезисы IX научной сессии филологического факультета ТГУ, посвященной 125-летию со дня рождения А. Церетели, 1965. На грузинском языке. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 15 страниц ([უე] და [უი] სეგმენტების ფონოლოგიური ინტერპრეტაციისათვის სვანურში ბალსზემოური დიალექტის მასალაზე).

46. Система сонантов и аблаут в картвельских языках. Типология общекартвельской структуры. Под редакцией и с предисловием Г. В. Церетели (в соавторстве с Т. В. Гамкрелидзе), 1965, «Мецниереба», Тбилиси. На грузинском языке, 511 страниц Русское резюме, 383—474 (სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთოქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია).

47. Рецензия на работу K. H. Schmidt, „Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der Südkaukasischen Grundsprache". Wiesbaden, 1962. «Мимомхилвели», Научно-библиографический сборник. 2—3, ТГУ, Тбилиси. На грузинском языке.

48. Общекартвельская консонантная система, 1965. Изд. ТГУ, Тбилиси, 134 страницы на грузинском языке (საერთოქარ-

თველური კონსონანტური სისტემა). Краткое содержание монографии с тем же названием, представленной на соискание степени доктора филологических наук. Неопубликованная рукопись на русском языке, 31 страница.

49. Еще раз о сванском умлауте (на материале верхнебальского диалекта), 1965. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 17 страниц. Русское резюме, 8 страниц (კიდევ ერთხელ სვანური უმლაუტის შესახებ [ბალსზემოური დიალექტის მასალაზე]).

50. К типологической характеристике общекартвельского языка-основы, 1966. Вопросы языкознания, № 1. На русском языке, 3—9.

51. Рефлексы общекартвельского «а» в занском (мегрело-чанском) языке (в соавторстве с Г. А. Климовым), 1966. Studia Caucasica, № 2. The Hague. На русском языке, 19—25. Английское резюме, 24.

52. К вопросу о субстрате в западно-картвельском (занско-сванском) лингвистическом ареале, 1966. Иберийско-кавказское языкознание, том XV. На грузинском языке, 162—171. Русское резюме, 171 (სუბსტრატის საკითხისათვის დასავლურ-ქართველურ (ზანურ-სვანურ) ენობრივ არეალში).

53. Фонологическая интерпретация консонантной системы грузинского языка в парадигматическом аспекте, 1966. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 15 страниц (ქართული ენის კონსონანტური სისტემის ფონოლოგიური ინტერპრეტაცია პარადიგმატულ ასპექტში [სალიტერატურო ენის მასალაზე]).

54. Некоторые вопросы дистрибуции гармонических комплексов, 1966. Текст доклада, прочитанного в Институте языкознания АН ГССР. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 11 страниц (ჰარმონიულ კომპლექსთა განაწილების ზოგიერთი საკითხი).

55. Некоторые вопросы нормирования в литературном языке, 1966. Работа опубликована посмертно в журнале «Цискари», № 12, 1968 г. На грузинском языке, 126—131 (სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი).

56. Синхрония и динамика, 1967. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 15 страниц (სინქრონია და დინამიკა).

EX LIBRIS VAHAGN PETROSYAN

57. К реконструкции общекартвельской системы склонения, 1967. Тезисы XXIII научной сессии Института языкознания АН ГССР. На грузинском языке (ბრუნების საერთოქართველური სისტემის რეკონსტრუქციისათვის).

58. Сравнительно-исторический метод и картвельские языки, 1967. Проблемы языкознания, «Наука», Москва, 260—263. На русском языке. Тезисы опубликованы посмертно в 1970 г. в Actes du X^{e} Congrès international des linguistes. Bucarest. 28 août — 2 septembre 1967. v. IV. Bucarest. 675—676.

59. Рецензия на книгу Г. А. Климова «Этимологический словарь картвельских языков», Москва, 1964, «Мацне»—АН ГССР, № 1, 1967, Тбилиси. На русском языке, 317—321.

60. Некоторые вопросы грамматической концепции А. Г. Шанидзе с точки зрения структурной лингвистики, 1967. Орион. Сборник, посвященный 80-летию А. Г. Шанидзе. Изд. ТГУ, Тбилиси. На грузинском языке, 56—64 (აკაკი შანიძის გრამატიკული კონცეფციის ზოგიერთი საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით).

61. К уточнению теории о трех рядах согласных, 1967. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 5 страниц (სამი რიგის თეორიის დაზუსტებისათვის).

62. Из истории умлаута в сванском языке (опыт установления релятивной хронологии), 1967. Работа опубликована посмертно в 1970 г. Иберийско-кавказское языкознание, том XVII. На грузинском языке, 94—106. Русское резюме, 105—106 (უმლაუტის ისტორიიდან სვანურში [რელატიური ქრონოლოგიის დადგენის ცდა]).

63. К вопросу о древнейших картвельско (южнокавказских)-индоевропейских контактах, 1967. Неопубликованная рукопись на русском языке, 4 страницы.

64. К вопросу о моновокализме в адыгских языках, 1967. Неопубликованная рукопись на русском языке, 3 страницы.

65. Труды Г. Фогта о грузинском языке, 1967. Опубликовано посмертно в Мимомхилвели, 6-9. Научно-библиографический сборник ТГУ, 1969—1972, Тбилиси. На грузинском языке, 219—225 (ჰანს ფოგტის შრომები ქართული ენის შესახებ).

66. Рецензия на работу И. Гецадзе, В. Недялкова, А. Холодовича «Каузативные глаголы и структуры в грузинском язы-

ке», 1967. Неопубликованная рукопись на русском языке, 3 страницы.

67. Некоторые вопросы диахронической фонологии картвельских языков, 1967. Работа опубликована посмертно в Юбилейном сборнике, посвященном Г. С. Ахвледиани, в связи с 80-летием со дня рождения. Изд. ТГУ, 1968, Тбилиси. На грузинском языке, 156—165 (ქართველურ ენათა დიაქრონიული ფონოლოგიის ზოგიერთი საკითხი).

68. Древнейшие грузинские социальные термины (в соавторстве с З. Н. Алексидзе), 1968. Работа опубликована посмертно в 1968 г. Труды ТГУ, том 127, Тбилиси. На грузинском языке, 381—402 (უძველესი ქართული სოციალური ტერმინები: ოჩე (საუხუცესო || საუფროსო).

69. Соотношение категорий дуративности, вида и времени в современном грузинском языке, 1968. Доклад, прочитанный на открытом заседании кафедры общего языкознания ТГУ, на грузинском языке (გრძლიობის, ასპექტის და დროის კატეგორიების მიმართება თანამედროვე ქართულში).

70. Проблема языка-основы в современном языкознании, 1968. Неопубликованная рукопись на грузинском языке, 25 страниц (ფუძე-ენის პრობლემა თანამედროვე ენათმეცნიერებაში).

71. Морфология. Теоретический очерк, 1968. Рукопись на грузинском языке. 46 страниц. Работа опубликована посмертно в книге: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები. გ. ახვლედიანის რედაქციით. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1972. Вопросы введения в языкознание. Под редакцией Г. С. Ахвледиани. Изд. ТГУ, Тбилиси, 1972.

72. О взаимоотношении между фонологическим и морфологическим уровнями лингвистической модели. Фонологический сборник, выпуск II. Материалы межвузовской конференции, Донецк, 1968. На русском языке, 201—202.

73. Общекартвельская система склонения в сопоставлении с системами горских кавказских и индоевропейских языков. Доклад, представленный на международный симпозиум «Типология», состоявшийся в г. Сегеде в 1968 г. августе-сентябре. Опубликован посмертно в сборнике, посвященном автору: Theoretical Problems of Typology and the Northern Eurasian Lan-

guages. Akadémiai Kiadò, Budapest, 1970, 165—171. Теоретические проблемы типологии и евразийские языки, Будапешт, 1970. На английском языке, 165—171 (The system of the ancient Kartvelian nominal flection as compared to those of the Mountain Caucasian and Indo-European languages).

74. Структура новогрузинского литературного языка. Курс лекций, прочитанный студентам отделения структурной и прикладной лингвистики ТГУ, записанный студентами этого же отделения на грузинском языке.

75. Типологические параллели и диалектные модификации общекартвельской консонантной системы. Опубликовано посмертно в 1975 г. на немецком языке в научном журнале Иенского университета, Серия общественных и языковедческих наук, том 24, № 5/6. Иена—Тбилиси. Перевод Х. Фейнриха. Изд. Унив. им. Ф. Шиллера, 637 — 647 (Typologische Parallelen und die dialektmäβigen Modifikationen des Spätgemeinkartwelischen Konsonantensystems. Übersetzt von Dr. Heinz Fähnrich. Wissenschaftliche Zeitschrift, Gesellschafts- und Sprachwissenschaftliche Reihe. 24 Jahrgang, Heft 5/6. 1975. Jena — Tbilisi. Friedrich-Schiller-Universität, Jena).

საენათმეცნიერო კრებული—Лингвистический сборник
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—АН Грузинской ССР

1979

В. И. АБАЕВ

TARXAN

Социальный термин tarxan свидетельствуется на обширной территории восточной Европы, Кавказа, передней и средней Азии до Монголии. Как апеллатив он означает обычно «лицо, пользующееся определенными привилегиями, освобожденное от податей и повинностей»: тюрк. tarxan[1], перс. tarxan[2], курд. tärxan, афг. tarxan, арм. tarxan, груз. tarxani, монг. darxan, русс. тархан, венг. tarchan „olim judex“ (Munkácsi. Arja és kaukázusi elemek a finn-magyar nyelvekben. Budapest, 1901, p. 12) и др.

Отложилось в топонимии: As-tarxan (Астрахань) «резиденция асского (аланского) начальника»[3], Taman-tarxan[4] или Tümän-tarxan[5] = русс. Тьмутара-

---

[1] Свидетельствуется с VII века: В. В. Радлов. Опыт словаря тюркских наречий. Пбг. 1905, т. III, с. 851 сл., 854; В. Шапшал. К вопросу о тарханных ярлыках. «Академику Гордлевскому». М., 1953, с. 302—316; V. Minorsky. A history of Sharvan and Darband. Cambridge, pp. 55, 99, 147; T. Räsänen. Versuch eines etymologischen Wörterbuchs der Türksprachen. Helsinki, 1969, p. 464; G. Doerfer. Türkische und mongolische Elemente im Neupersischen. Wiesbaden, 1965, II, 460—474.

[2] Персидское слово в некоторых словарях дается с пометой «арабское», что лишено всякого основания.

[3] М. Н. Артамонов, История хазар. Л., 1962, с. 357: «Тархан асов занимал видное положение в Хазарском государстве».

[4] В. В. Радлов, т. III, 851, 996.

[5] G. Vernadsky, The Eurasian Nomads... Spoleto, 1963, p. 9.

к а н ь[6]; русс. Т а р х а н ы название села в Пензенской губернии, где прошло детство М. Ю. Лермонтова.

Свидетельствуется в личных и фамильных именах: согд. *T a r x ō n или *T a r x ū n (t r γ w n), имя правителя Самарканда в документах с горы Муг (VII—VIII в. н. э.); хазар. T a r x a n, имя (или титул) некоторых хазарских правителей; ср. груз. T a r q a n-x a z a r i, имя хазарского вождя (Ḳartlis cxovreba, изд. 1942 г., Тбилиси, стр. 99_{11}); груз. T a r x a n-M o u r a v i, T a r x n i š v i l i, русс. Т а р х а н о в[7].

О термине t a r x a n существует обширная литература. Тем не менее происхождение его остается неясным. Обычно относят его к исконно тюркскому фонду, причем второй слог (x a n) отождествляют с тюркским титулом x a n; см. например, R ä s ä n e n, loc. cit. Высказывались также догадки о заимствовании из китайского или корейского. Ничего вполне убедительного. Doerfer, который в своем упомянутом выше труде посвящает термину t a r x a n без малого 15 страниц, относится скептически ко всем предложенным разъяснениям. Сам он склоняется к мысли, что в тюркских языках слово не оригинальное, а заимствованное, но затрудняется установить, откуда именно. Шапшал приходит к выводу: «Термин т а р х а н весьма древнего, но невыясненного происхождения» (цит. соч. 316).

Никто, насколько мне известно, не привлекал до сих пор в связи с термином t a r x a n осетинское слово t æ r x o n «суд». Между тем осетинские факты открывают, как кажется, новые перспективы в разъяснении термина t a r x a n.

Осет. t æ r x o n «суд» возводится закономерно к арийскому (индо-иранскому) *t a r k a n a-; ср. др. инд. t a r k a n a- «суждение, предположение, догадка» от глагола t a r k-, t a r-k a y a t i «иметь суждение, делать предположение, размышлять, думать, делать заключение», v i-t a r k- «размышлять, выяснять», p a r i-t a r k- «допрашивать на суде», сак. t t a r-

[6] M. V a s m e r, Russisches etymologisches Wörterbuch. Heidelberg, 1958, p. 111.

[7] Возможно, что и русская княжеская фамилия Т а р а к а н о в происходит не от таракана, а представляет адаптацию фамилии Т а р х а н о в.

k a n a-, согд. *t a r x a n в p γ'ṫ r x'n (Bailey, JRAS 1939, p. 91). Арийское t a r k- этимологически идентично со слав. *t u̯ l k-;. ср. ст. слав. t l ъ k ъ «толкователь, переводчик», русс. т о л к, т о л к о в а т ь, русс. (устар.) т о л к о в - н и к «переводчик». Далее сюда же фрак. *t a l k (*t h a l k) в личных именах R o e m e-t a l c e s, S i-t a l c e s[8], хетт. t a r k- „to interpret" (?)[9].

В современном осетинском языке t æ r x o n (из *t a r k ā- n a-) означает имя действия: «суд». Но арийские отглагольные образования на -a n a- означали также имя действующего лица (Nomina agentis)[10]. Ср. в осетинском w æ n d o n «смелый» от w æ n d y n «сметь», f æ r a z o n «выносливый» от f æ - r a z y n «выносить» и др. Вряд ли можно, поэтому, сомневаться, что осет. t æ r x o n означало в прошлом не только «суд», но и «судья». Это именно значение отложилось в старовенгерском t a r c h a n «судья». Стало быть венгерское слово надо относить не к тюркским, а к аланским элементам в венгерском, наряду с другими аланскими заимствованиями в этом языке[11].

Столь же древним, как значение «судья», является, по свидетельству славянских языков, значение «переводчик». Связующим семантическим звеном между этими двумя значениями служит значение „толкователь, interpres": толкователь обычного права или закона — «судья», толкователь чужой речи или текста — «переводчик». Как особо ценные люди эти «интеллектуалы» получали от правителей разные привилегии, в частности, освобождались от налогов и повинностей. В результате северноиранское («скифское») *t a r x ā n «судья», «переводчик» продвинулось в своей семантике в сторону более общего значения «привилегированное, знатное лицо» и в этом зна-

---

[8] D. D e t s c h e w, Die thrakischen Sprachreste. Wien, 1957, pp. 400, 450, 488; В. Г е о р г и е в, Тракийският език. София, 1957, с. 63; G. R u s s u, Die Sprache der Thrako-Daker. Bukuresti, 1969, p. 142.

[9] Language, 1933, March, p. 17.

[10] T. W a c k e r n a g e l-A. D e b r u n n e r, Altindische Grammatik. Göttingen, 1954, Band II_2, pp. 180—185.

[11] T. M u n k á c s i, Alanische Sprachdenkmäler im ungarischen Wortschatze. „Keleti Szemle". Budapest, 1900, № 5, pp. 304—329; B. S k ö l d, Die ossetischen Lehnwörter im Ungarischen. Lund, 1925.

чении могло употребляться как титул или сан, входить в состав личных и фамильных имен и т. д. В этом обобщенном значении оно и вошло затем в тюркские и другие языки. Возможность обратного движения слова — из тюркского в осетинский — придется, вопреки Штакельбергу[12], исключить. Во-первых, осетинское tærxon имеет, как мы выше убедились, безупречную индоевропейскую этимологию. Во-вторых, значение «суд», основное в современном осетинском языке, никак нельзя вывести из значения «человек, свободный от налогов».

В заключение следует отметить, что экспансия термина tarxan не ограничивается, по-видимому, очерченными выше пределами. Если на Востоке он доходит до Монголии, то на Западе его отзвук возникает неожиданно... в Италии.

Почти 60 лет назад Thomas и Beveridge в журнале Лондонского Королевского Азиатского общества сопоставили термин tarxan с именем этрусского царя Tarchon, лат. Tarquinius[13]. Doerfer'y это сопоставление кажется настолько абсурдным, что он даже не удостаивает его опровержения («...eine These, die der Widerlegung nicht bedarf»)[14]. Действительно, если термин tarxan считать тюркским или монгольским, то появление его в Италии в VII в. до нашей эры в качестве этрусского личного имени выпадает из рамок всякой исторической вероятности. Другое дело, если слово возникло и бытовало в северноиранском ареале в скифскую эпоху. И памятники материальной культуры, и языковые данные дают убедительные свидетельства, что скифский мир, который на Востоке входил в контакт с алтайскими народами, а на Западе с европейскими, был во многих случаях связующей средой между Востоком и Западом. В другом месте я пытался показать это

---

[12] W. Miller und R. von Stackelberg. Fünf ossetische Erzählungen. St.-Petersbourg, 1891, p. 67.

[13] F. W. Thomas, Tarkhan and Tarquinius. JRAS, 1918, 122 sqq.; H. Beveridge, Tarkhan and Tarquinius. JRAS, 1918, pp. 314—316. Форму Tarchon находим в Энеиде Виргилия. В других источниках находим варианты Tarcho, Tarcon, Tarquinius. См. Энман. Легенда о римских царях. Журн. Мин. Нар. Просв., 1896, март, с. 70, 97 и особенно 98.

[14] G. Doerfer, op. cit. 469.

на названии хмеля[15]. Если учесть, что использование занимающей нас лексемы в личных именах имеет давнюю традицию (фракийский, согдийский, хазарский), если вспомнить о древних связях скифов с «италиками»[16], то соответствие осет. t æ r x o n — этрусско-лат. T a r c h o n оказывается в том же ряду, что осет. W æ r g o n — лат. V o l c ā n u s или легенда о рожденных от волка (resp. вскормленных волчицей) близнецах, которую мы находим у осетин и у римлян.

[15] Mélanges linguistiques offerts à Emile Benveniste. Paris, 1975, pp. 1—3.

[16] В. Н. А б а е в, Скифо-европейские изоглоссы. На стыке Востока и Запада. М., 1965, с. 27—29, 86—97, 129—131.

საენათმეცნიერო კრებული—Лингвистический сборник
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—АН Грузинской ССР

1979

ზ. ალექსიძე

შუშანიკი — ინტერნაციონალური წმინდანი

შუშანიკი ქართველთა და სომეხთა საერთო წმინდანია. იგი წარმოშობით სომეხი იყო („ასული ვარდანისი სომეხთა სპაჲპეტისაჲ“), მაგრამ აღიზარდა საქართველოში, ცხოვრების უდიდესი ნაწილი აქ გაატარა, აქ აღესრულა მოწამებრივად და აქვე დაიმარხა. ქართველთათვის სომეხი ქალი გახდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ქართული სარწმუნოებისათვის თავდადების სიმბოლო. ამიტომ ეცილება ამ ორი ხალხის ეკლესია და მწერლობა ერთმანეთს მათი საერთო წმინდანის ცხოვრებისა და მოწამეობის აღწერის პრიორიტეტში და იმაშიც კი, თუ სად არის დღეს მისი სათლავი — ახპატსა თუ მეტეხში. როგორ და რატომ მოხდა; რომ ერთი და იგივე მოწამე მონოფიზიტურმა ეკლესიამაც თავის წმინდანად შერაცხა და დიოფიზიტურმაც?

ძვ. წ. I საუკუნეში სომხეთის მეფემ ტიგრან დიდმა მცირე და წინა აზიის უდიდეს ტერიტორიაზე გადაჭიმულ თავის იმპერიას ჩრდილოეთით ქართლის სამეფოს სამხრეთი პროვინციებიც შესძინა, რომელთა შორის იყო გუგარეთის (ბერძნ. Γωγαρηνή. სომხ. Գուգարք) საპიტიახშო, სადაც მოგვიანებით „შუშანიკის მარტვილობაში“ აღწერილი ტრაგედია დატრიალდა. ეს პროვინცია ქართლის სამეფოს მთლიანად მხოლოდ ახ. წ. 387 წ. დაუბრუნდა. მას შემდეგ, რაც სომხეთი ბიზანტიამ და ირანმა შუაზე გაიყვეს, გუგარეთის პიტიახში ქართლის პიტიახშიც გახდა და სახელმწიფო იერარქიაში მეფის მომდევნო ადგილი დაიკავა.

გუგარეთი სომხეთსა და საქართველოს შორის სასაზღვრო ქვეყანა იყო, პოლიტიკურად ხან ერთ სახელმწიფოს ეკუთვნოდა,

ხან მეორეს. ამიტომ არის, რომ ამ ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად სომხებიც სახლობდნენ. ცურტავის საეპისკოპოსოში სომხურ მოსახლეობას ჰყავდა თავისი თემი მონასტრებით, ბერებით, სოფლის მღვდლებით (ეპისტოლეთა წიგნი). გუგარეთის სომხურ მოსახლეობაში ორივე სოციალური ფენა იყო — აზნაურობა და გლეხობა. ზედა ფენა გამრავლდა და გაძლიერდა სომხეთის 451 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, როდესაც სომეხ წარჩინებულთა ოჯახებმა თავი ქართლს შემოაფარეს. ნაწილი, როგორც ცნობილია, მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნდა და ქვეყნის განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში (ვაჰან მამიკონიანი), ნაწილი კი, ალბათ, გუგარეთში დამკვიდრდა საბოლოოდ.

ქართლის პიტიახშის მეუღლე რომ გახდა, შუშანიკმა საგანგებოდ იზრუნა ცურტავის სამწყსოს სომხურ თემზე, მისთვის ეროვნული სახის შენარჩუნებაზე და ცურტავის საეპისკოპოსოში ქართული ენის გვერდით მღვდელთმსახურებაში სომხურიც დააკანონა თუ განიზრახა მისი დაკანონება. ასე ყოყმანით იმიტომ ვწერთ, რომ წყაროები იმასაც გვაუწყებენ, რომ თვითონ შუშანიკმა დააწესა სომხურ ენაზე მღვდელთმსახურების აღსრულება ცურტავში და იმასაც, რომ შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ მის საპატიოდ შემოიღეს აქ ეს ახალი წესი. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ შუშანიკი ორ ენაზე მღვდელთმსახურების შემოღებას თვითონ აპირებდა და თუ ეს უფრო გვიან მოხდა, შემდეგში მხოლოდ აღასრულეს მისი სურვილი.

შუშანიკიდან მოკიდებული ცურტავის სამწყსოში დამკვიდრებულა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც სამღვდლოდ მოსამზადებლად განკუთვნილ ჭაბუკებს ქართულ მწიგნობრობასაც ასწავლიდნენ და სომხურსაც. ამ დროიდან მოკიდებული ცურტავის ეპისკოპოსებსაც ორენოვნება მოეთხოვებოდათ. სომხური წარმოშობის პირი ქართულ ენასა და მწერლობას აქვე, ქართულ გარემოში სწავლობდა, ქართველი კი სომხეთში იგზავნებოდა სომხური ენისა და მწერლობის დასაუფლებლად, რადგან ადგილზე ამის პირობები, როგორც ჩანს, არ არსებობდა (ეპისტოლეთა წიგნი).

ცურტავის სომხური სამწყსოს ასეთმა მფარველობამ და მისი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ზრუნვამ შუშანიკს ადგილობრივ სომხურ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. მისი მოწამეობის შემდეგ მარტვილის კულტი გუგარეთიდან თანდათან სრულიად სომეხთა ეკლესიაშიც გავრცელდა. VII ს-ის

დამდეგს საქართველოს და სომხეთის ეკლესიების მესვეურთა მიმოწერიდან ჩანს, რომ შუშანიკი სომხური ეკლესიისათვის უკვე წმინდანია. დროთა განმავლობაში, როგორც ეს X საუკუნის სომხურ წყაროშია დადასტურებული (უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან"), შუშანიკის განსასვენებელი სომხეთიდან ჩამოსულ პილიგრიმთა მოსალოც ადგილად ქცეულა. მაგრამ სომხური ეკლესია ამით არა კმაყოფილდება. X საუკუნის მიწურულს იგი ცურტავში აგზავნის ისტორიკოს უხტანესს, რათა მან ადგილზე შეკრიბოს წერილობითი და ზეპირი ცნობები შუშანიკის მოწამეობის შესახებ. მართლაც, უხტანესი გასცნობია იაკობ ხუცესის თხზულებას და მოუნახულებია შუშანიკის წამების ადგილები. არ არის გამორიცხული, რომ „შუშანიკის მარტვილობის" სომხური ვერსიის წარმოშობა უხტანესის ამ მისიას უშუალოდ უკავშირდებოდეს.

გუგარეთი აღმოჩნდა ის დენთის საწყობი, სადაც იფეთქა განხეთქილებამ ქართულსა და სომხურ ეკლესიებს შორის VII საუკუნის დამდეგს. ცურტავის ეპისკოპოსმა, წარმოშობით სომეხმა, მოსემ და მისი მრევლის სომხურმა თემმა მხარი არ დაუჭირეს ქართლის ეკლესიის ქალკედონურ და პრობიზანტიურ ორიენტაციას, რადგან მასში ქართული ეროვნული პოლიტიკის გატარების ენერგიული ცდა დაინახეს. ქართლის კათალიკოსმა, როგორც ჩანს, მიზნად დაისახა ამ შერეული მოსახლეობის პროვინციის გაქართველება და მღვდელთმსახურებაში სომხური ენის მოშლა, თუმცა კი ხმამაღლა ამას იგი არ აღიარებდა. კირონ ქართლის კათალიკოსმა კარგად იცოდა, რომ სომხურ ენაზე მღვდელთმსახურების შემოღებას ცურტავში შუშანიკის სახელს უკავშირებდნენ და სანამ მისი საფლავი სომეხ სამღვდელოთა მოსალოც ადგილად რჩებოდა, გუგარეთში ამ პოლიტიკის განხორციელება გაძნელდებოდა. ამიტომ, შესაძლოა, მართალია ზეპირი გადმოცემა ქართლის კათალიკოსის მიერ შუშანიკის ნეშტის თბილისში გადმოსვენების შესახებ, თუმცა სომხურმა ეკლესიამ ამ გადმოცემას თავისი ტრადიცია დაუპირისპირა შუშანიკის ნეშტის ახპატში გადასვენების შესახებ. ასეა თუ ისე, ორივე ცნობით შუშანიკის ნეშტი რაღაც პერიოდში ცურტავიდან გადაუსვენებიათ. საკითხავი ახლა ის არის, როდის მოხდა ეს და რით იყო გამოწვეული? უხტანესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, X საუკუნის ბოლოს ცურტავში კიდევ უჩვენებდნენ შუშანიკის განსასვენებელ ადგილს, სადაც იგი თვითონ მრავალჯერ ყოფილა მოსალოცად. მაგრამ ამ ცნობაში ავტორი შესაძლოა ყოფილ განსასვენებელს გულის-

ხმობდეს. ჩვენ ბევრი შემთხვევა ვიცით, როდესაც მოწამის ნეშტს სხვაგან გადაასვენებდნენ ხოლმე, მაგრამ ძველი საფლავი იმგვარსავე, ხშირად უფრო მეტ მნიშვნელობას ინარჩუნებდა, ვიდრე იძენდა ახალი.

ამრიგად, ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილება შუშანიკის სახელს დაუკავშირდა. საქართველოში მოსახლე სომხობისათვის ის გახდა სომხური მშობლიური სარწმუნოების სიმბოლო, ხოლო მისი განსასვენებელი ამ სიმბოლოს მატერიალური გამოსახულება. ქართული ეკლესია ამ სიმბოლოს მოხსნას შეეცადა, მაგრამ ისე, რომ შუშანიკის ხსოვნისათვის მცირეოდენი ბიწიც არ მიუყენებია. პირიქით, მან შუშანიკი ქართული ეროვნული წმინდანების პირველ რიგებში ჩააყენა. ამას, როგორც ჩანს, ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, შუშანიკის ბრძოლა ქმრისა და მისი ოჯახის გამაზდეანების წინააღმდეგ ქართული სახელმწიფოს მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში რეალურად სწორედ ქართული ეროვნული საქმისათვის თავგანწირვას ნიშნავდა და ქართულმა ეკლესიამ ჯეროვნად დააფასა ეს მისი თავდადება. მეორეც, შუშანიკის ქართულ ეროვნულ წმინდანად შერაცხვა მის სამარტვილეში მაინცადამაინც სომხური მღვდელმსახურების არსებობის აუცილებლობას ხსნიდა.

მაგრამ ყველაფერი ეს ეროვნული საკითხებია, რომელსაც თავისი იდეოლოგიური მხარეც აქვს.

სომხეთი და ქართლი თითქმის ერთდროულად (IV საუკუნის დასაწყისში) გაქრისტიანდნენ. კავკასიური ტრადიციით ამ ქვეყნების განმანათლებლები (გრიგოლ პართელი და ნინო კაპადოკიელი) ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულები — ეს იყო ერთი მისიის ორი განშტოება. ორივე განმანათლებლის კულტი შესულია ორთავე ხალხის ეკლესიაში და ორივე ენაზე არსებობს როგორც მათი ცხოვრებები, ისე მათზე საგალობლები.

ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებით კავკასიის ქვეყნები დაუპირისპირდნენ მაზდეანურ ირანს, ხოლო უფრო გვიან, მთელი ათი საუკუნის განმავლობაში, ისინი თითქმის სრულიად მარტონი იმყოფებოდნენ მუსლიმანურ გარემოცვაში. მაგრამ კავკასიაში უპირატესობისათვის ბრძოლის დროს ერთმანეთის გავლენისაგან თავდაცვის საჭიროება საერთო იდეოლოგიის შიგნით განსხვავებასაც მოითხოვდა. ამიტომ ქართლისა და სომხეთის ეკლესიებმა ქრისტიანობის იმ განშტოებათაგან, აღმოსავლე-

თის ეკლესიაში V საუკუნის შუა ხანებში რომ ჩამოყალიბდნენ, სხვადასხვა მიმდინარეობა აირჩიეს.

სომხები ქრისტიანობის აღიარებით ირანს კი დაუპირისპირდნენ, მაგრამ მისი აღმოსავლური სახის — მონოფიზიტობის არჩევით ბიზანტიასაც გაემიჯნენ. ამით მათ ძლიერი ერთმორწმუნე მოკავშირე დაკარგეს. სამაგიეროდ ეკლესიამ მთლიანად ეროვნული ხასიათი მიიღო, დაკარგული სახელმწიფოებრიობის შეცვლა შეძლო და, უფრო გვიან, მთელ მსოფლიოში სომხური დიასპორის გაერთიანება მოახერხა.

კავკასიოლოგიაში გავრცელებულია შეხედულება, რომ 451 წლიდან VII საუკუნის დამდეგამდე ქართული ეკლესიის ოფიციალური მრწამსი მონოფიზიტობა იყო და სომხურ ეკლესიასთან იდეოლოგიური ერთიანობა ამ ბაზაზე ხორციელდებოდა. შუშანიკის კულტის ორივე ეკლესიაში არსებობა თითქოს ამ თეზისის დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგივე ფაქტი ამ თეზისს უარყოფს კიდეც: რატომ არ წაშალა ქართულმა ქალკედონურმა ეკლესიამ თავისი ძველი მონოფიზიტობის კვალი და რატომ არ აიღო ხელი სომხურ ეკლესიასთან საერთო წმინდანებზე?

საქმე ის არის, რომ ქალკედონური ისტორიოგრაფიის შეხედულებით დვინის საკათალიკოსომ მონოფიზიტობა მიიღო მხოლოდ 551 წლის დვინის II ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე. მანამდე იგი დასაბამიდან მართლმადიდებლური იყო ქართლის ეკლესიასთან ერთად. ამიტომ არის, რომ ქართული და საერთოდ ქალკედონური ეკლესია სცნობს ყველა იმ საეკლესიო მოღვაწესა და წმინდანს, რომლებიც სომხეთში 551 წლამდე მოღვაწეობდნენ. ამიტომვე არ ეშინია მას, რომ ვინმე მონოფიზიტობაში ჩაუთვლის, თუ კი ამ ხანების მოღვაწეთა შორის სომხურ ეკლესიასთან საერთო წმინდანები აღმოაჩნდება. მაგრამ ეს იყო ქართული ეკლესიის სუბიექტური შეხედულება კავკასიის ქვეყნების საეკლესიო ისტორიაზე. როგორი იყო ვითარება სინამდვილეში?

საისტორიო წყაროები გვიჩვენებენ, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის ქვეყნები იმდენად იყვნენ დაკავებულნი ირანისა და მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლით, რომ მონოფიზიტურ-დიოფიზიტურ პოლემიკაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ კამათმა ჩვენს ქვეყნებამდე მოაღწია მხოლოდ VI საუკუნის დამდეგს და ისიც ზენონ კეისრის შემარიგებლური „ჰენოტიკონის" დონეზე.

ამრიგად, შუშანიკის წამება და მისი კულტის აღმოცენება და-

ემთხვა კავკასიის ეკლესიების ნეიტრალობას მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის კამათისადმი. თვითონ მოწამემ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ეროვნულ ეკლესიას მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო სომხურს — ცურტავის ეპარქიის სომხური თემის გაძლიერებაში. ყოველივე ამან შუშანიკს სრულიად კავკასიის წმიდანის სახელი მოუპოვა. მაგრამ ვინაიდან აგიოგრაფიამ მისი მხოლოდ ქართული ეკლესიის წინაშე დამსახურება ასახა, შუშანიკიც მხოლოდ საქართველოში აღმოჩნდა ეროვნულ გმირთა სიაში.

დღეს უკვე ძნელია კონკრეტულად წარმოვიდგინოთ, რა ხდებოდა ქართლის სამეფოში V საუკუნის 60—70-იან წლებში, მაგრამ ის კი აშკარა უნდა იყოს, რომ ქვეყნის პირველი რანგის მოხელე და უდიდესი სასაზღვრო პროვინციის განმგებელი ვარსქენ პიტიახში სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის გზაზე დამდგარა.

იაკობ ხუცესის თხზულებაში ქართლის მეფე სრულიად არა ჩანს. ვარსქენი თავისი მხარის სრულუფლებიანი განმგებელია. იგი დამოუკიდებლად ამყარებს საგარეო-პოლიტიკურ კონტაქტებს და შორეულ ლაშქრობებშიც მონაწილეობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვარსქენმა დამოუკიდებლობის მისაღწევად ისარგებლა ვახტანგ გორგასლის იმ ხანებში სპარსეთში ყოფნით. ასეა თუ ისე, სპარსეთის წინააღმდეგ 484 წლის აჯანყების წინ ვახტანგ გორგასალმა ვარსქენი მოაკვლევინა, უეჭველია იმიტომ, რომ იგი ხელს უშლიდა „ყოველი ქართლის" გაერთიანებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დიდ საქმეს. ჩვენ არ ვიცით, გააზრებული ჰქონდა თუ არა შუშანიკს, რომ თავისი მოწამეობით დიდ პოლიტიკურ კოლიზიებში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სომეხი ქალი ერთიანი ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიისათვის თავდადებულთა ბანაკში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, შუშანიკი და ვარსქენი იყვნენ პირველი მსხვერპლნი ვახტანგ გორგასლის მეთაურობით დაწყებული დიდი საერთო კავკასიური აჯანყებისა, ოღონდ შუშანიკი ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა და ასე დარჩა სამუდამოდ, ვარსქენს კი წილად ხვდა სამშობლოს და მამა-პაპათა მრწამსის მოღალატის სახელით შეხვედროდა თანამედროვეთა და ისტორიის განაჩენს.

З. Н. АЛЕКСИДЗЕ

ШУШАНИК — ИНТЕРНАЦИОНАЛЬНАЯ СВЯТАЯ

Резюме

Мученичество Шушаник и возникновение ее культа совпали с нейтральным отношением кавказских церквей к спору между монофизитами и диофизитами. Сама мученица оказала большую услугу с одной стороны грузинской национальной церкви в ее борьбе против маздеизма, с другой же — армянской церкви в укреплении армянской общины цуртавской епархии. Благодаря этому Шушаник приобрела имя всекавказской святой и была причислена к лику святых как диофизитской, так и монофизитской церкви.

საენათმეცნიერო კრებული—Лингвистический сборник
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—АН Грузинской ССР

1979

თ. გამყრელიძე

ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“

1. ენობრივი სისტემა წარმოადგენს ორი ძირითადი დონისაგან შემდგარ ოდენობას — შინაარსისა და გამოხატულების პლანისაგან, ანუ ლოგიკურ-სემანტიკური და გრამატიკული დონისაგან, რომელთა შორის გარკვეული შესაბამისობა არსებობს: სემანტიკური დონის ერთეულები გამოიხატება ამა თუ იმ წესის საშუალებით გრამატიკულ დონეზე, გრამატიკული დონის ერთეულებით — მორფოლოგიური ელემენტებით თუ სინტაქსური საშუალებებით.

შინაარსის პლანის, ანუ ენის ლოგიკურ-სემანტიკური დონის ისეთი ერთეულები, როგორიცაა პრედიკატი P, სუბიექტი S, ობიექტი O, ანუ მოქმედების, მდგომარეობისა თუ თვისების (უფრო ზოგადად: პროცესის ან სიტუაციის) გამომხატველი და ამ პროცესის ან სიტუაციის მონაწილე ოდენობები — სუბიექტი და ობიექტი — უნივერსალური კატეგორიებია, რომლებიც რალაც სახით, სხვადასხვა გრამატიკული საშუალებებით გამოხატულია ნებისმიერ ენობრივ სისტემაში. ენები განსხვავდება ერთმანეთისაგან არა ამ კატეგორიათა არსებობა-არარსებობით, არამედ ამ უნივერსალურ ლოგიკურ-სემანტიკურ კატეგორიათა განსხვავებული გამოხატვით გარკვეული მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკური საშუალებებით. მაშასადამე, განსხვავებები ამ თვალსაზრისით ენებს შორის შეეხება ენათა ე. წ. „ზედაპირულ სტრუქტურებს“ და არა „სიღრმისეულ სტრუქტურებს“, რომლებიც ზოგადობით და უნივერსალობით ხასიათდებიან.

სუბიექტი S და ობიექტი O, როგორც სიტუაციის ან პროცესის მონაწილენი, წარმოდგენილია ყველა ენის შინაარსეულ სისტემაში.

ობიექტი, როგორც სემანტიკური კატეგორია, შესაძლებელია
დიფერენცირებულ იქნეს როგორც „პირდაპირი ობიექტი“ O^d, ანუ
ობიექტი, რომელზედაც უშუალოდ გადადის სუბიექტის — Agens’-ის
მიერ ჩადენილი მოქმედება, ან რომელიც ამ მოქმედების შედეგს
წარმოადგენს, და „ირიბი ობიექტი“ O^{ind}, ანუ ობიექტი, რომელიც
სხვადასხვა როლს ასრულებს პროცესსა ან სიტუაციაში და შესაძ-
ლებელია დახასიათდეს როგორც ა დ რ ე ს ა ტ ი[1] O^A, დ ე ს ი გ-
ნ ა ტ ი[2] C^D, ე ქ ს ე კ უ ტ ო რ ი[3] $O^{Exs.}$, ლ ო კ ა ტ ი უ რ ი ო ბ ი-
ე ქ ტ ი[4] O^L და სხვ.[5]

2. აღნიშნული სემანტიკური ერთეულები გამოიხატება ენის
გრამატიკულ სტრუქტურაში ზმნა-პრედიკატთან დაკავშირებული
სახელების თუ ნაცვალსახელების საშუალებით, რომელთაც შესაძ-
ლებელია გარკვეული მორფოლოგიური გაფორმება ჰქონდეთ (სპე-
ციფიკურ ბრუნვის ნიშანთა სახით).

ამგვარად, ენის ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურის ყოველ
სემანტიკურ ერთეულს შეესაბამება ენის გამოხატულების პლანის,
ენის გრამატიკული სტრუქტურის გარკვეული ერთეული; სემანტიკუ-
რი ერთეულები გამოხატულების პლანში შესაბამისი ლექსიკურ-
გრამატიკული ერთეულებით არის წარმოდგენილი; ლოგიკურ-სემან-
ტიკური სუბიექტი S და პირდაპირი O^d და ირიბი ობიექტი O^{ind} წარ-
მოდგენილია ენის გამოხატულების პლანში შესაბამისად გრამა-
ტიკული სუბიექტით {S} (ანუ „ქვემდებარით“) და გრამატიკუ-
ლი პირდაპირი {O^d} და ირიბი ობიექტით {O^{ind}} (ანუ პირდაპირი და
ირიბი „დამატებით“). სემანტიკურ ერთეულთა ეს შესატყვისი გრა-
მატიკული {S}, {O^d} და {O^{ind}} ერთეულები მორფოლოგიურად
სახელს ან ნაცვალსახელს წარმოადგენენ.

---

1 ირიბი ობიექტის ეს სემანტიკური ფუნქცია გამოხატულია ისეთ ქართულ
წინადადებაში, როგორიცაა, მაგალითად, „ბავშვი წერილს სწერს მ ა მ ა ს“.

2 შდრ. „დედა წერილს უწერს ბ ა ვ შ ვ ს“.

3 შდრ. „დედა წერილს აწერინებს ბ ა ვ შ ვ ს“.

4 შდრ. „დედა ქუდს ახურავს ბ ა ვ შ ვ ს“.

5 შესაძლებელია გამოიყოს ირიბი ობიექტის როგორც უნივერსალური სემან-
ტიკური კატეგორიის კიდევ უფრო მეტი სახეობა. სემანტიკურ კატეგორიათა ამგვა-
რი ზოგადი კლასიფიკაცია უნივერსალური გრამატიკის ამოცანაა, რომელიც შეის-
წავლის ზოგად სემანტიკურ კატეგორიებს და მათ გამოვლენას ენის „სიღრმისეულ
სტრუქტურაში“.

გარკვეულ შემთხვევებში პირველადი შესაბამისობა ენის ლოგიკურ-სემანტიკური და გრამატიკული დონის ერთეულებს შორის შეიძლება დაირღვეს და „პირდაპირი შესაბამისობის“ ნაცვლად: $S \rightarrow \{S\}$, $O \rightarrow \{O\}$, რაც დამახასიათებელია „სიღრმისეული სტრუქტურისათვის“, გარკვეული გარდაქმნების შედეგად ენის „ზედაპირულ სტრუქტურაში“ განსხვავებული სახის შესაბამისობას ვიღებთ (მაგალითად, „შებრუნებულ შესაბამისობას“: $S \rightarrow \{O\}$, $O \rightarrow \{S\}$; შდრ. „ინვერსიული წყობა“, „პასიური კონსტრუქცია“ და სხვ.)[6]

3. სახელთან და ნაცვალსახელთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ ენის სემანტიკური დონის ერთეულთა — სუბიექტისა და ობიექტის — რეპრეზენტანტებს გრამატიკულ დონეზე, დგება საკითხი პირის კატეგორიისა და ამ კატეგორიის გამოხატვის შესახებ ენობრივ სისტემაში.

პირის კატეგორია ერთ-ერთი უნივერსალური სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც სხვადასხვა სახით გამოხატულებას პოვებს ენობრივ სისტემაში. იგი უშუალოდ გამომდინარეობს ენობრივი კომუნიკაციის აქტიდან და აღნიშნავს ამ აქტის მონაწილეთა დამოკიდებულებას ენობრივი კომუნიკაციისადმი.

ენობრივი კომუნიკაციის აქტი გულისხმობს „მეტყველს“, ანუ სამეტყველო აქტის ავტორს, „მსმენელს“, სამეტყველო აქტის ადრესატს, და რაღაც მესამე ოდენობას, რასაც შეეხება სამეტყველო კომუნიკაცია, მაგრამ რაც არ იღებს მასში უშუალო მონაწილეობას როგორც „მეტყველი“ ან „მსმენელი“. ჩვეულებრივ ეს სამი ოდენობა სამეტყველო კომუნიკაციისა ხასიათდება შესაბამისად როგორც პირველი, მეორე და მესამე პირი, რაც ბერძნული გრამატიკული ტრადიციიდან მომდინარეობს: შდრ. πρόσωπον πρῶτον, δεύτερον, τρίτον. სემანტიკურად დაპირისპირებულ სამ ოდენობას, სამ „პირს“ შორის რთული ბინარული კორელაციები არსებობს, რომლებიც ერთმანეთს ფარავენ. ერთი მხრივ, „მეტყველი“, ანუ პირველი, „ჩემეული“ პირი, ego უპირისპირდება იმას, რაც „ჩემს“ გარეშეა — კორელაცია სუბიექტურისა და არასუბიექტურის; ხო-

---

[6] შდრ. მაგალითად, ქართულში: (1) *კაცი დათვს კლავს* და (2) *კაცს დათვი მოუკლავს*, სადაც (1) წინადადებაში წარმოდგენილია სემანტიკურ-გრამატიკულ ელემენტთა „პირდაპირი შესაბამისობა“:

$$\begin{matrix} S & O & P, \\ \downarrow & \downarrow & \downarrow \\ \{S\} & \{O\} & \{P\} \end{matrix}$$

ხოლო (2) წინადადება, სადაც „შებრუნებული შესაბამისობა“ გვაქვს, არის შედეგი „ინვერსიული ტრანსფორმაციისა“.

ლო, მეორე მხრივ, „მეტყველი“ და „მსმენელი“, პირველი და მეორე, ანუ „ჩემეული“ და „შენეული“ პირი უპირისპირდება იმას, რაც არც „მეტყველია“ და არც „მსმენელი“ — კორელაცია პერსონალურისა და არაპერსონალურის.

პირის კატეგორია, როგორც უნივერსალური სემანტიკური კატეგორია, გამოიხატება ენობრივ სისტემაში სპეციფიკური ნაცვალსახელების სახით, რომლებიც განარჩევენ მინიმუმ სამ ფორმას — პირველი, მეორე და მესამე პირისა — შესაბამისად სამეტყველო კომუნიკაციით შეპირობებული სამი ოდენობისა.

პირის კატეგორია ურთიერთკავშირშია სუბიექტისა და ობიექტის კატეგორიასთან იმ აზრით, რომ ეს კატეგორიები ენის სემანტიკურ დონეზე არ ვლინდება ცალ-ცალკე და ყოველთვის ერთმანეთთან კომბინაციაშია მოცემული. არ არსებობს საზოგადოდ S სუბიექტი ან O ობიექტი, არამედ პირის კატეგორიის თვალსაზრისით განსაზღვრული სუბიექტი—S_1, S_3, S_3—და ობიექტი — O_1, O_2, O_3. ამ კატეგორიათა გამომხატველი ოდენობები ენის გრამატიკულ დონეზე — შესაბამისად $\{S\}_1$, $\{S_2\}$, $\{S_3\}$ და $\{O_1\}$, $\{O_2\}$, $\{O_3\}$. საკუთრივ სახელებს ან ნაცვალსახელებს წარმოადგენენ. კერძოდ, $\{S_1\}$, $\{S_2\}$ და $\{C_1\}$, $\{O_2\}$ ყოველთვის ნაცვალსახელებია, ხოლო $\{S_3\}$ და $\{O_3\}$, ნაცვალსახელთან ერთად, შესაძლებელია საკუთრივ სახელის სახით იყოს გამოხატული. ამგვარად, სახელი შესაძლებელია მხოლოდ S_3 და O_3 სემანტიკურ ოდენობებს წარმოგვიდგენდეს ენის გამოხატულების სტრუქტურაში, მაშინ როდესაც S_1, S_2 და O_1, O_2 სემანტიკური კატეგორიები მხოლოდ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა სახით გამოიხატება.

4. სუბიექტისა და ობიექტის სხვადასხვა სახეობათა აღმნიშვნელი სახელები ან ნაცვალსახელები გარკვეული ფორმით უკავშირდებიან პროცესის ან სიტუაციის გამომხატველ გრამატიკულ ერთეულს — ზმნა-შემასმენელს — და ქმნიან სინტაქსურ ერთიანობას, რომელსაც შეიძლება „წინადადების ბირთვი“ ეწოდოს. მაშასადამე, წინადადების ბირთვი განისაზღვრება როგორც ზმნური ფორმა მასთან გარკვეული წესით დაკავშირებული სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებით ან ნაცვალსახელებით. იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა ზმნა, რა სემანტიკური შინაარსისა და სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველია იგი, ზმნური ფორმა შეიძლება წარმოგვიდგეს წინადადების ბირთვში უსახელოდ (ე. ი. მას სტრუქტურულად არავითარი სახელი არ

შეეწყოს: შდრ. ქართ. თ ო ვ ს, წ ვ ი მ ს, ქ უ ხ ს; ლათ. pluit და სხვ.), ან მას ერთი, ორი ან მეტი სახელი (resp. ნაცვალსახელი) დაუკავშირდეს, რითაც იქმნება სინტაქსური სტრუქტურული მთლიანობა, რასაც „წინადადების ბირთვი“ ეწოდება. წინადადების ბირთვი ამდენად შეიძლება განვიხილოთ როგორც ზმნური ფორმა, განსაზღვრული რაოდენობა ცარიელი სინტაქსური უჯრედებით, რომლებიც შესაძლებელია გარკვეული ფორმის სახელებით (resp. ნაცვალსახელებით) შეივსოს გრამატიკულად სწორი წინადადების მისაღებად.

წინადადების ბირთვის ცენტრალურ სინტაქსურ ელემენტად ამ თვალსაზრისით გვევლინება ზმნა-შემასმენელი, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით შეეწყობა სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი ოდენობები — სახელები ან ნაცვალსახელები.

ზმნური ფორმის უნარს შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელთა) ანუ „აქტანტების“ განსაზღვრული რაოდენობა შეიძლება ზმნის „ვალენტობა“ ეწოდოს (L. Tesnière). მაშასადამე, მოცემული ზმნური ფორმის „სინტაქსური ვალენტობა“ განისაზღვრება წინადადების ბირთვში თავისუფალ უჯრედთა რაოდენობით. ამის მიხედვით ზმნა შეიძლება იყოს ნულვალენტიანი („თ ო ვ ს“), ერთვალენტიანი („ — წევს“), ორვალენტიანი („— — კ ლ ა ვ ს“), სამვალენტიანი („— — — ს წ ე რ ს“) და ა. შ.[7]

სინტაქსური უჯრედების რაოდენობა წინადადების ბირთვში განისაზღვრება ზმნური ფორმის სტრუქტურით: შდრ., მაგალითად, შემდეგი სტრუქტურის წინადადებები: ქართ. თ ო ვ ს, — წ ე ვ ს, — — კ ლ ა ვ ს, — — — ს წ ე რ ს; რუს. —идёт, — —бьёт, — — — даёт და მისთ. აქტუალურად წარმოდგენილ გრამატიკულად სწორ წინადადებაში შეიძლება ყველა სინტაქსური უჯრედი შევსებულიც არ იყოს სათანადო სახელებით (resp. ნაცვალსახელებით). მაგრამ ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა ამგვარი სინტაქსური კონსტრუქციის „შევსებისა“ სრულ ბირთვამდე.

---

[7] ქართული ზმნა ვალენტობის თვალსაზრისით მოთავსდება დიაპაზონში 0...4, ე. ი. ზმნური ფორმა ქართულში შეიძლება იყოს როგორც უაქტანტო (შდრ. თ ო ვ ს, წ ვ ი მ ს, ქ უ ხ ს და სხვ. — ნულვალენტიანი ზმნები ქართულში, ისე როგორც სხვა ენებში, ძირითადად მეტეოროლოგიურ მოვლენებს გამოხატავს), ისე ერთ-, ორ-, სამ- და ოთხაქტანტიანი, ანუ მაქსიმალური რაოდენობა სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებისა (resp. ნაცვალსახელებისა), რომლებიც შეიძლება ზმნურ ფორმას შეეწყოს წინადადების ბირთვში, არის ოთხი.

სხვადასხვა ტრანსფორმაციული წესების შემოღებით შესაძლებელია აღიწეროს ენის სინტაქსურ კონსტრუქციათა გარდაქმნები ზმნური ფორმის ვალენტობის გარდაქმნისდა შესაბამისად. ასე, მაგალითად, ორვალენტიანი ზმნური ფორმა (ე. ი. ზმნური კონსტრუქცია ქვემდებარით და პირდაპირი დამატებით) ქართულში გარდაიქმნება სამვალენტიან ზმნურ კონსტრუქციად ზმნური ფორმის ტრანსფორმაციით კაუზატიური ან ვერსიის (სათავისო, სასხვისო ან საზედაო)[8] კატეგორიის მიხედვით:

(1) მამა წერილს წერს $\xrightarrow{T_{caus.}}$ მამა ბავშვს წერილს ა-წერ-ინ-ებ-ს

$\{S\}$ $\{O^d\}$ V_{tr} — $\{S\}$ $\{O^{Exs.}\}$ $\{O^d\}$ $V_{caus.}$

(2) მამა წერილს წერს $\xrightarrow{T_{V_{ob.}}}$ მამა ბავშვს წერილს უ-წერ-ს

$\{S\}$ $\{O^D\}$ $\{O^d\}$ $V_{V_{ob.}}$

(3) მამა წერილს წერს $\xrightarrow{T_{V_{sup.}}}$ მამა წერილს მისამართს ა-წერ-ს.

$\{S\}$ $\{O^L\}$ $\{O^d\}$ $V_{V_{sup.}}$

სამვალენტიანი ზმნური ფორმა (ე. ი. ზმნური კონსტრუქცია ქვემდებარით და პირდაპირი და ირიბი დამატებით) ამავე ტრანსფორმაციებით გარდაიქმნება ოთხვალენტიან ზმნურ კონსტრუქციად ირიბი ობიექტის გამომხატველი სახელის ბრუნვის შეცვლით:

(1) მამა ბავშვს წერილს სწერს $\xrightarrow{T_{caus.}}$ (1)′ მამა დედას ბავშვთან

$\{S\}$ $\{O^A\}$ $\{O^d\}$ $V_{tr.}$ — $\{S\}$ $\{O^{Exs.}\}$ $\{O^A\}$

წერილს ა-წერ-ინ-ებ-ს

$\{O^d\}$ $V_{caus.}$

(2) მამა ბავშვს წერილს სწერს $\xrightarrow{T_{V_{ob.}}}$ (2)′ მამა დედას ბავშვთან

$\{S\}$ $\{O^D\}$ $\{O^A\}$

წერილს უ-წერ-ს

$\{C^d\}$ $V_{V_{ob.}}$

---

[8] ქცევა და სიტუაცია როგორც ცალკეულ სტრუქტურაში ერთმანეთთან შეუთავსებელი კატეგორიები შეიძლება ერთი საერთო კატეგორიის ვარიანტებად მივიჩნიოთ და „ვერსიის“ კატეგორიაში გავაერთიანოთ: სუბიექტური, ობიექტური და საზედაო (სუპერესიული).

ამოსავალი კონსტრუქციის O^A კატეგორიის გამომხატველი ირიბი დამატება, რომელიც მიცემით ბრუნვაშია, ტრანსფორმირებულ (1)′ და (2)′ სინტაქსურ კონსტრუქციებში თანდებულიან ბრუნვაში წარმოგვიდგება, ხოლო მიცემითი ბრუნვის ფორმას კონსტრუქციის დამატებითი წევრი იღებს. ტრანსფორმირებულ კონსტრუქციებში ირიბი ობიექტის გამომხატველი თანდებულბრუნვიანი სახელი, რომელიც ამოსავალი კონსტრუქციის შესაბამისი უთანდებულო მიცემითბრუნვიანი სახელის გარდაქმნას წარმოადგენს, წინადადების ბირთვის ისეთსავე აქტანტად უნდა იქნეს განხილული, როგორც ამავე კონსტრუქციის ზმნურ ფორმასთან დაკავშირებული დანარჩენი უთანდებულბრუნვიანი წევრები.

ამ თვალსაზრისით ინვერსიული ტრანსფორმაცია არ ცვლის ზმნური კონსტრუქციის ვალენტობას:

$$\text{(3) მამა ბავშვს წერილს სწერს} \xrightarrow{T_{inv.}} \text{(3)′ მამას ბავშვისთვის წერილი მი-უ-წერ-ია.}$$

$$\{S\} \quad \{C^A\} \quad \{O^d\} \quad V^{III}_{tr.}$$

ინვერსიული ტრანსფორმი (3)′ ვეღარ გარდაიქმნება ქცევის კატეგორიის მიხედვით (მსგავსად I და II სერიის ზმნური ფორმებისა), რამდენადაც III სერიის ზმნური პარადიგმები წარმოშობით I სერიის სასხვისო ქცევის ფორმები უნდა იყოს (ე. ი. I სერიის ზმნურ პარადიგმათა სასხვისო ქცევის ტრანსფორმები), რომელთაც დაკარგეს ვერსიის გაგება და ახალი ფუნქციონალური შინაარსით დაიტვირთნენ. ამდენად, ინვერსიული ტრანსფორმაცია წარმოშობით შეიძლება განვიხილოთ როგორც I სერიის ზმნურ კონსტრუქციათა ობიექტური ვერსიის ტრანსფორმაცია.

6. წინადადების ბირთვში ზმნასთან დაკავშირებულ სახელსა თუ ნაცვალსახელს, სუბიექტისა ან ობიექტის გამომხატველს, შეუძლია ზმნურ ფორმაში თავისი ნიშანი გააჩინოს, რითაც ეს სინტაქსური კავშირი—„კონექსია" — ზმნურ და სახელურ ფორმას შორის მატერიალურ გამოხატულებას იძენს. ეს ნიშნები ზმნურ ფორმაში ერთგვარი რეპრეზენტანტები, „ექსპონენტებია" სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებისა ან ნაცვალსახელების, რომლებიც ზმნას წინადადების ბირთვში გარკვეული ფორმით უკავშირდება; ე. ი. $\{S\}\,\{O\}\,V$ წინადადების ბირთვში ზმნური სტრუქტურა V შესაძლებელია შეიცავდეს $\{S\}$ და/ან $\{O\}$ სახელის გამომხატველ $/S/$ და/ან $/O/$ ნიშნებს აფიქსების სახით. ამით S და O კატეგორიათა ამ-

სახველ სახელებსა (resp. ნაცვალსახელებსა) და ზმნურ ფორმას შორის არსებული სინტაქსური კავშირი — კონექსია — მორფოლოგიურ გამოხატულებას იძენს.

სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა ამსახველ სახელთან ან ნაცვალსახელთან დაკავშირებული ამგვარი /S/ და /O/ ნიშნები ზმნურ ფორმაში შესაძლებელია ამ ერთეულთა სხვადასხვა კატეგორიებს გამოხატავდნენ:

1) ნაცვალსახელის (resp. სახელის) პირს — ასეთ შემთხვევაში ზმნურ ფორმაში წარმოდგენილი სახელური ნიშნები იცვლება ზმნასთან დაკავშირებული ნაცვალსახელის პირის მიხედვით ცვლის შესაბამისად;

2) სახელის (resp. ნაცვალსახელის) კლასს — ასეთ შემთხვევაში ზმნურ ფორმაში წარმოდგენილი სახელური ნიშნები იცვლება გარკვეული სემანტიკური ჯგუფების მიხედვით კლასიფიცირებულ სახელთა შესაბამისად.

პირველ შემთხვევაში გვაქვს ზმნის სისტემა პიროვანი უღვლილებით;

მეორე შემთხვევაში — ზმნის სისტემა კლასოვანი უღვლილებით[9].

შესაძლებელია მესამე, შერეული ტიპიც — ზმნის სისტემა პიროვან-კლასოვანი უღვლილებით.

7. ქართული ენის ზმნური სისტემა წარმოადგენს სტრუქტურულ ტიპს მკვეთრად გამოხატული პიროვანი უღვლილებით. ზმნური ფორმა წინადადების ბირთვში არა მხოლოდ შეიწყობს გარკვეული რაოდენობის სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველ სახელებს — რაც განისაზღვრება ზმნური ფორმის სინტაქსური ვალენტობით, არამედ წარმოგვიდგენს ზმნურ სტრუქტურაში ამ სახელთა რეპრეზენტანტ ნიშნებს, რომლებიც მოცემული სახელების (resp. ნაცვალსახელების) პირის კატეგორიას გამოხატავენ.

ზმნა-შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთაგან (resp. ნაცვალსახელთაგან) სათანადო ნიშანს ზმნურ ფორმაში აჩენს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის გამომხატველი სახელები (resp.

---

[9] შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კლასოვანი უღვლილების ენებში არ არის გამოხატული პირის კატეგორია. პირის კატეგორია, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უნივერსალური სემანტიკური კატეგორიაა, გამოიხატება ამ ტიპის ენებში ზმნურ ფორმასთან სინტაქსურად დაკავშირებული ნაცვალსახელების საშუალებით, რომლებიც სამი პირის ფორმას განარჩევენ.

ნაცვალსახელები), ე. ი. {S}, {O^d} და {O^{ind}}—გრამატიკული სუბიექ-ტი (ქვემდებარე) და გრამატიკული პირდაპირი და (მიცემით ბრუნვა-ში წარმოდგენილი) ირიბი ობიექტი, რომლებიც პირებისდა მიხედ-ვით ცვლის შესაბამისად სამ ნიშანს განარჩევენ:

$/S_1/\rightarrow$ ჾ-, $/S_2/\rightarrow$ ხ-; $/S_3/\rightarrow$-ს;
$/O_1{}^d/\rightarrow$ მ-, $/O_2{}^d/\rightarrow$ გ-, $/O_3{}^d/\rightarrow$ ხ-$//\varnothing$-;
$/O_1{}^{ind}/\rightarrow$ მ-, $/O_2{}^{ind}/\rightarrow$ გ-, $/O_3{}^{ind}/\rightarrow$ ხ-

ქართული ზმნური სტრუქტურა ამ მხრივ განსხვავდება მორ-ფოლოგიურად ისეთი ენების ზმნური სტრუქტურისაგან, როგორი-ცაა, მაგალითად, ბერძნული, ლათინური, გერმანული, რუსული და სხვ., სადაც ზმნა-შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთაგან (resp. ნაცვალსახელთაგან) სათანადო ნიშანს ზმნურ ფორმაში მხოლოდ გრამატიკული სუბიექტი აჩენს, ხოლო გრამა-ტიკული ობიექტი ზმნაში აღუნიშნავი რჩება[10].

ამ თვალსაზრისით ქართული ზმნა შესაძლებელია როგორც სუბიექტ-ობიექტური წყობის ზმნა დახასიათდეს, განსხვავებით სუბიექტური წყობის ზმნური სტრუქტურისაგან, რომელიც ზმნურ ფორმაში მხოლოდ სუბიექტურ ნიშანს წარმოაჩენს.

მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული მახასიათებელი სუბიექტ-ობიექტური წყობის ქართული ზმნისა ის არის, რომ არა ყველა სახელი (resp. ნაცვალსახელი), წინადადების ბირთვში ზმნას-თან სინტაქსურად დაკავშირებული, ავლენს ერთდროულად შესა-ბამის მორფოლოგიურ ნიშანს ზმნურ ფორმაში. რამდენი სახელიც

---

[10] ამ მხრივ განსხვავებულ სტრუქტურას გვიჩვენებს, მაგალითად, თანამედრო-ვე ფრანგული, რომელშიც ჩამოყალიბდა როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის მაჩვენებელი პრეფიქსული ნიშნები ზმნაში. ისეთ კონსტრუქციებში, როგო-რიცაა je le lui donne „მე მას მას ვაძლევ", je-le-lui- ერთეულები არ წარმოადგე-ნენ დამოუკიდებელ ნაცვალსახელებს და ზმნურ კონსტრუქციაში სათანადო სუ-ბიექტ-ობიექტური აქტანტების მარკერებად გვევლინებიან.

ანალოგიური სტრუქტურა გვაქვს აგრეთვე უნგრულში, სადაც ზმნურ ფორ-მაში გამოხატულია მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა (resp. ნაცვალსა-ხელთა) როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ნიშანი. შდრ. უნგრული სუბი-ექტური და ობიექტური უღვლილების სტრუქტურები:

სუბიექტური		ობიექტური	
1. én lát-ok	„მე ვხედავ"	1. én lát-om	„მე მას ვხედავ"
2. te lát-sz	„შენ ხედავ"	2. te lát-od	„შენ მას ხედავ"
3. ö lát	„იგი ხედავს"	3. ö lát-ja	„იგი მას ხედავს"

არ უნდა იყოს წარმოდგენილი წინადადების ბირთვში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული (მაქსიმალური რაოდენობა ასეთი სახელებისა ქართულში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ოთხს უდრის — ოთხვალენტიანი ზმნის შემთხვევაში), აქტუალურად გამოვლენილ მორფოლოგიურ ნიშანთა რაოდენობა ზმნურ სტრუქტურაში არ აღემატება ორს.

ამგვარად, „პირიანობის“ თვალსაზრისით, ე. ი. ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა (ნაცვალსახელთა) პირის გამომხატველი ნიშნების რაოდენობის თვალსაზრისით ზმნურ ფორმაში, ქართული ზმნა შეიძლება დახასიათდეს როგორც ე რ თ პ ი რ ი ა ნ ი („მონოპერსონალური“) ან — გარკვეულ შემთხვევებში — ო რ პ ი რ ი ა ნ ი („ბიპერსონალური“) სტრუქტურა.

არსებობს გარკვეული სტრუქტურული წესები იმისა, თუ ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან (resp. ნაცვალსახელთაგან) კონკრეტულად რომელი ერთეული გამოავლენს ზმნურ ფორმაში შესაბამის მორფოლოგიურ ნიშანს და რომელი ერთეულები რჩება ზმნაში მორფოლოგიური გამოხატულების გარეშე (ა. შანიძე)[11].

---

[11] არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ზმნის სინტაქსური „ვალენტობა“, ანუ ზმნური ფორმის უნარი შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელების) გარკვეული რაოდენობა, და ზმნის „პირიანობა“, ანუ ზმნურ ფორმაში ამ სახელთა (resp. ნაცვალსახელთა) პირის გამომხატველი მორფოლოგიური ნიშნის წარმოდგენა.

ის, რაც „პირიანობად“ გაიგებოდა, უნდა გულისხმობდეს არა პირის ნიშანთა გამოვლენას ზმნურ ფორმაში, არამედ ზმნური ფორმის სინტაქსურ უნარს, შეიწყოს წინადადებაში გარკვეული რაოდენობა სახელებისა თუ ნაცვალსახელების, რომელნიც სუბიექტ-ობიექტურ მიმართებებს გამოხატავენ, ე. ი. ზმნის სინტაქსურ „ვალენტობას“.

ამას ემყარება ქართული ზმნის დახასიათება როგორც „მრავალპირიანი“ (ორ-, სამ- და ოთხპირიანი) ზმნისა: მაგ., ვ ა ძ ლ ე ვ მე მას მას. მაგრამ ამ თვალსაზრისით რომელიმე რუსული — — —даю, ან გერმანული — — —gebe სტრუქტურები, რომელთაც სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სამი ნაცვალსახელი შეეწყობა (я-ему-то; ich-es-ihm), დახასიათდებოდა აგრეთვე როგორც „მრავალპირიანი“.

საქმე ისაა, რომ ყველა ეს ზმნური ფორმა (როგორც ქართული, ისე რუსული და გერმანული) ს ა მ ვ ა ლ ე ნ ტ ი ა ნ ი ა (ზმნურ ფორმასთან სუბიექტ-ობიექტური მიმართებების გამომხატველ აქტანტთა შეწყობის თვალსაზრისით), მაგრამ ე რ თ პ ი რ ი ა ნ ი (ზმნურ ფორმაში პირის ნიშანთა გამოვლენის თვალსაზრისით). საზოგადოდ ქართული ზმნა განსხვავდება რუსულისა ან გერმანულისაგან არა იმით, რომ ქართული ზმნა მრავალპირიანია, ხოლო რუსული და გერმანული— ერთპირიანი, არამედ იმით, რომ ქართული ზმნა სუბიექტ-ობიექტური წყობისაა

ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ენათა ტიპოლოგიური დაჯგუფება მოვახდინოთ, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება აქტანტთა მორფოლოგიური ასახვა ზმნურ ფორმაში; ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს სუბიექტური, სუბიექტ-ობიექტური და ობიექტური წყობის ენები (შდრ. ზემოთ).

სუბიექტ-ობიექტური წყობის ენათა ჯგუფში შესაძლებელია გაირჩეს ენათა რამდენიმე ქვეკლასი იმის მიხედვით, თუ რა შესაბამისობა არსებობს ზმნის ისეთ ურთიერთდამოკიდებულ კატეგორიებს შორის, როგორიცაა ზმნის სინტაქსური „ვალენტობა" და ზმნის მორფოლოგიური „პირიანობა", „ნაწილობრივია" ეს შესაბამისობა თუ „სრული".

ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ა შესაბამისობა იმ შემთხვევაში, როდესაც არა ყველა პოტენციურად შესაძლებელი სუბიექტ-ობიექტური აქტანტის ნიშანია აქტუალურად წარმოდგენილი ზმნურ ფორმაში (შდრ. ქართული ენობრივი სისტემა);

ს რ უ ლ ი ა შესაბამისობა ზმნის ვალენტობასა და ზმნის პირიანობას შორის საზოგადოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადების ბირთვში ზმნასთან პოტენციურად დაკავშირებული ყოველი სახელი (resp. ნაცვალსახელი) თავის წარმომადგენელ მორფოლოგიურ ნიშანს აჩენს ზმნურ ფორმაში[12].

(ე. ი. ქართულ ზმნურ ფორმაში წარმოდგენილია ერთ-ერთი პირის ნიშანი — სუბიექტისა ან ობიექტის, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში — ორივესი ერთად), ხოლო რუსული და გერმანული ზმნა — სუბიექტური წყობის (ე. ი. ზმნურ ფორმაში წარმოდგენილია მხოლოდ სუბიექტის ნიშანი).

ამ თვალსაზრისით ზმნის „პირიანობა" და ზმნის „ვალენტობა" არსებითად განსხვავებულ სტრუქტურულ მახასიათებლებს წარმოადგენს, რომლებიც ასახავენ ზმნური კონსტრუქციის შესაბამისად მორფოლოგიურ აგებულებას და სინტაქსურ კავშირებს. მაგრამ ამ მახასიათებლებს შორის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება არსებობს, რომელიც განსაზღვრავს მათ შორის შესაბამისობის ხასიათს სხვადასხვა ენათა ზმნურ სისტემაში.

[12] ენათა ასეთ სტრუქტურულ ტიპს უახლოვდება აფხაზური, სადაც წინადადების ყოველი პოტენციური აქტანტი სათანადო მარკერით არის წარმოდგენილი ზმნურ კონსტრუქციაში: შდრ. ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა ꙃ-უ-ზ-ლგ-ს-თოꙃტ „მივცემ" (რაღაცას შენთვის მას მე); ꙃ-უ-ზ-ლგ-რ-თოꙃტ „მისცემენ" (რაღაცას შენთვის მას ისინი) და მისთ.

აქტანტთა გამომხატველ ნიშნებს აფხაზურ ზმნურ ფორმაში ძირისა და ერთმანეთის მიმართ მკაცრად განსაზღვრული ადგილი უჭირავთ, რაც აისახება პრეფიქსულ მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაში. ერთი და იმავე ფონემური შედგენილობის მორფემები სულ სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობისაა (სუბიექტური ან ობიექტური პირის გამომხატველია), ე. ი. არსებითად განსხვავებული გრამა-

8. ყოველი მორფემა ზმნურ სტრუქტურაში მკაცრად განსაზღვრულ ადგილს იკავებს ზმნური ძირისა და სხვა მორფემების მიმართ, რაც ქმნის ზმნური ფორმის მორფემათა „რანგობრივ სტრუქტურას“.

ზმნური სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ზმნის ძირი -R- განსაზღვრული რაოდენობა ცარიელი მორფოლოგიური უჯრედებით ძირის წინ და მის მომდევნოდ. თითოეული ასეთი უჯრედი შეივსება მხოლოდ ერთი განსაზღვრული პრეფიქსული თუ სუფიქსური მორფემით, რის შედეგადაც წარმოიქმნება ენის ზედაპირულ სტრუქტურაში ესა თუ ის ზმნური ფორმა სრული მორფოლოგიური გაფორმებით.

პირის პრეფიქსული მორფემები ძველი ქართული ზმნის სტრუქტურაში, როგორც წესი, მხოლოდ ერთ უჯრედს იკავებენ, რომელიც მოთავსებულია ქცევის, კაუზატივისა და ვნებითის მაწარმოებელ პრეფიქსთა უჯრედის წინ[13]. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეფიქსული პირის ნიშნები სტრუქტურულად შეუთავსებელია ერთმანეთთან პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში. რამდენი სახელიც არ უნდა დაუკავშირდეს სინტაქსურად ზმნას წინადადების ბირთვში, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის ნიშანი ჩაჯდება ზმნურ სტრუქტურაში პირის პრეფიქსულ მორფემათათვის განკუთვნილ მორფოლოგიურ უჯრედში. ძველი ქართული ზმნის სტრუქტურაში შეინიშნება მკაცრად განსაზღვრული იერარქია ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა (resp. ნაცვალსახელთა) პრე-

---

ტიკული ერთეულებია, პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში მათი განსხვავებული ადგილისდა შესაბამისად; მათი შინაარსობლივი სხვაობა ძირითადად განსხვავებულ რანგობრივ სტრუქტურაში გამოიხატება. ამდენად „მორფემა“ საზოგადოდ უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ მისი გრამატიკული მნიშვნელობისა და ფონემური შედგენილობის საფუძველზე, არამედ აგრეთვე „რანგობრივი“ სტრუქტურის გათვალისწინებით. ამგვარ დეფინიციებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ შემთხვევებში, როდესაც გარკვეულ გრამატიკულ მიმართებათა გამომხატველი ერთეულები ემთხვევა ერთმანეთს ფონემური შედგენილობის მხრივ.

[13] ქართული ზმნის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს სამი პრეფიქსული უჯრედი: $\underset{3}{__}\,\underset{2}{__}\,\underset{1}{__}\,R$. პირველი უჯრედი არის უჯრედი ვერსიისა და ვნებითის მაწარმოებელი პრეფიქსებისა. მეორე უჯრედი პირის ნიშნის უჯრედია, ხოლო მესამე უჯრედს — ე. ი. ყველაზე დაცილებულს ძირისაგან იმ შემთხვევაში, თუ პირველი და მეორე უჯრედი შევსებულია — იკავებენ პრევერბები. თუ ამგვარ უჯრედებს განვსაზღვრავთ, როგორც მორფემათა რანგებს, შესაბამისი მორფოლოგიური ერთეულები დახასიათდება როგორც პირველი, მეორე და მესამე პრეფიქსული რანგის მორფემები.

ფიქსული ნიშნების აქტუალურად გამოვლენისა ზმნურ ფორმაში; ზმნურ სტრუქტურაში მხოლოდ ის აქტანტები აჩენენ სათანადო ნიშანს, რომლებიც წარმოადგენენ წინადადების ბირთვში შესაბამისად გრამატიკულ სუბიექტს, პირდაპირ ობიექტს ან ირიბ ობიექტს (მიცემით ბრუნვაში დასმულს).

მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი ირიბი ობიექტი თავისი ფუნქციით შეიძლება იყოს ადრესატი, დესიგნატი, ექსეკუტორი ან ლოკატიური ობიექტი. წინადადების ბირთვში ამავე ფუნქციით ნახმარი თანდებულბრუნვიანი სახელი, რომელიც მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი ირიბი ობიექტის ტრანსფორმს წარმოადგენს და აქტანტად უნდა ჩაითვალოს, ზმნურ ფორმაში ნიშანს არ აჩენს და, ამდენად, არავითარ მონაწილეობას არ იღებს ზმნური სტრუქტურის გაფორმებაში. ამიტომაა, რომ სამ- და ოთხვალენტიან ზმნებში, რომელთა ერთ-ერთი აქტანტი თანდებულბრუნვიან ფორმაშია წარმოდგენილი, ივარაუდება მხოლოდ იმ აქტანტების ნიშანთა კომბინირება, რომლებიც წარმოგვიდგენენ გრამატიკულ სუბიექტს, პირდაპირ ობიექტსა და (უთანდებულო) მიცემით ბრუნვაში დასმულ ირიბ ობიექტს.

ნიშანთა კომბინირების ეს წესები სქემატურად შემდეგი სახით ჩამოყალიბდება:

A: ორვალენტიან ზმნურ სტრუქტურებში:

(1) $/S_1//O_2^d/ \Longrightarrow /O_2^d/\text{-}R \rightarrow$ გ-R
(2) $/S_2//O_1^d/ \Longrightarrow /O_1^d/\text{-}R \rightarrow$ მ-R
(3) $/S_2//O_3^d/ \Longrightarrow /S_2/\text{-}R \rightarrow$ ხ-R
(4) $S_3//O_1^d/ \Longrightarrow /O_1^d/\text{-}R\text{-}/S_3/ \rightarrow$ მ-R-ს
(5) $/S_3//O_2^d/ \Longrightarrow /O_2^d/\text{-}R\text{-}/S_3/ \rightarrow$ გ-R-ს
(6) $/S_3//O_3^d/ \Longrightarrow /O_3^d/\text{-}R\text{-}/S_3/ \rightarrow$ ხ-$//\varnothing$-R-ს

B: სამვალენტიან ზმნურ სტრუქტურებში:

(1) $/S_1//O_2^{ind}//O_3^d/ \Longrightarrow /O_2^{ind}/\text{-}R \rightarrow$ გ-R
(2) $/S_2//O_1^{ind}//O_3^d/ \Longrightarrow /O_1^{ind}/\text{-}R \rightarrow$ მ-R
(3) $/S_2//O_3^{ind}//O_3^d/ \Longrightarrow /S_2/\text{-}R \rightarrow$ ხ-R
(4) $/S_3//O_1^{ind}//O_3^d/ \Longrightarrow /O_1^{ind}/\text{-}R\text{-}/S_3/ \rightarrow$ მ-R-ს
(5) $/S_3//O_2^{ind}//O_3^d/ \Longrightarrow /O_2^{ind}/\text{-}R\text{-}/S_3/ \rightarrow$ გ-R-ს
(6) $/S_3//O_3^{ind}//O_3^d/ \Longrightarrow /O_3^{ind}/\text{-}R\text{-}/S_3/ \rightarrow$ ხ-R-ს

ამგვარად, ზმნასთან დაკავშირებული აქტანტების პირის ნიშანთა აქტუალურად გამოვლენის თვალსაზრისით ქართული ზმნა

უნდა დახასიათდეს ძირითადად როგორც მ ო ნ ო პ ე რ ს ო ნ ა ლ უ რ ი (ერთპირიანი) ზმნური სტრუქტურა. ბიპერსონალურია (ორპირიანია) იგი იმ შემთხვევაში, თუ $\{S_3\}$ აქტანტი, რომელიც სუფიქსური ნიშნით გამოიხატება, კომბინირებს წინადადების ბირთვში პრეფიქსული ნიშნით გამოხატულ ობიექტურ პირთან, შდრ. (4), (5), (6) სტრუქტურები.

ამ შეზღუდვით შეიძლება ვილაპარაკოთ ქართული ზმნის „პრეფიქსულ მონოპერსონალიზმზე". ამ პრინციპის შესაბამისად ზმნასთან დაკავშირებულ აქტანტთა პოტენციურად შესაძლებელ პრეფიქსულ ნიშანთაგან ზმნურ ფორმაში აქტუალურად გამოვლინდება მხოლოდ ერთი ნიშანი.

პრეფიქსულ ნიშანთა მიმდევრობიდან გარკვეული პრეფიქსის ზმნურ ფორმაში აქტუალურად წარმოჩენის თვალსაზრისით შეიძლება შემოვიტანოთ სუბიექტ-ობიექტური პირის ნიშანთა „სიმძლავრის" ცნება.

ამ მხრივ გრამატიკული სუბიექტისა და ობიექტის გამომხატველი პრეფიქსები ზმნურ კონსტრუქციაში განისაზღვრება როგორც ერთი და იმავე „სიმძლავრის" მქონე ნიშნები, რამდენადაც ამ ნიშანთა კომბინირებისას გარკვეულ კონსტრუქციებში ვლინდება მხოლოდ სუბიექტური ნიშნები, ხოლო სხვა კონსტრუქციებში — მხოლოდ ობიექტური პირის ნიშნები ($\{O_1\}$ და $\{O_2\}$ აქტანტთა სუბიექტურ $\{S_{1,2}\}$ აქტანტთან კომბინირების შემთხვევაში).

ერთგვარი განსხვავება იჩენს თავს „სიმძლავრის" თვალსაზრისით პირდაპირი და ირიბი ობიექტის ამსახველ აქტანტებსა და მათ შესაბამის პრეფიქსულ ნიშნებს შორის. ირიბი ობიექტი ამ მხრივ უფრო „მძლავრია" პირდაპირ ობიექტთან შედარებით, რამდენადაც მათი კომბინირება წარმოაჩენს ზმნურ ფორმაში მხოლოდ ირიბი ობიექტის პრეფიქსულ ნიშანს.

ისეთ სინტაქსურ სტრუქტურებში, სადაც $O_3{}^d$ ობიექტის ამსახველი აქტანტი კომბინირებს $O_3{}^{ind}$ ობიექტის ამსახველ აქტანტთან, ზმნის სტრუქტურაში აისახება აქტუალურად მხოლოდ $\{O_3{}^{ind}\}$ ხ-პრეფიქსის სახით, ხოლო $/O_3{}^d/$ ნიშანი არ წარმოიდგინება:

$$/S_3//O_3{}^{ind}//O_3{}^d/ \Longrightarrow /O_3{}^{ind}/\text{-}R\text{-}/S_3/ \rightarrow \text{ხ-}R\text{-ს}$$

ამგვარ კონსტრუქციებს უნდა შეეწყო ხელი $/O_3{}^d/$ ნიშნის (ე. ი. მესამე პირდაპირ-ობიექტური /ხ-/ პრეფიქსის) ნულთან გათანაბრებისათვის ($/O_3{}^d/ \rightarrow \varnothing$) ისეთ კონსტრუქციებშიც, სადაც იგი არ

კომბინირდება მესამე ირიბ-ობიექტურ პირთან და სადაც იგი ამდენად კანონზომიერად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი /ხ-/ პრეფიქსის სახით. ამით დაირღვა მანამდე სისტემაში არსებული სტრუქტურული პარალელიზმი პირდაპირ- და ირიბ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველ აქტანტებს შორის, რომლებიც პირველ, მეორე და მესამე პირის ფორმებში მათთვის საერთო /მ-/, /გ-/ და /ხ-/ პრეფიქსებით გამოიხატებოდა.

ძველი ქართული ზმნის იმ სისტემაში, რომელიც ასახულია „ხანმეტ" ძეგლებში, გაბატონებულ ნორმად შეიძლება ჩაითვალოს უკვე $\{O_3^d\}$ აქტანტის ნიშნად ზმნაში $\varnothing$-მორფემის ხმარება.

მაგრამ ძველი სისტემა $/O_3^d/ \rightarrow$ხ- პრეფიქსით ჯერ კიდევ თავს იჩენს გარკვეულ კონსტრუქციებში[14].

/ხ-/ პრეფიქსის ოდინდელი არსებობა მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშნად, როდესაც $/O_3^d/ \rightarrow$ხ- ქართული ზმნის სტრუქტურაში ნორმა უნდა ყოფილიყო, შეიძლება დავინახოთ „ი-ნიანი ვნებითის ფორმებში, რომლებიც პასიურ ტრანსფორმებს წარმოადგენენ შესაბამისი აქტიური კონსტრუქციებისა მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის გამომხატველი /ხ-/ პრეფიქსით. **ი**-ნიანი ვნებითის კონსტრუქციებში ეს **ხ**-პრეფიქსი (წარმოშობით მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის გამომხატველი ნიშანი) არ გაუთანაბრდა ნულს, რამდენადაც $/O_3^d/$ ხ- $\rightarrow \varnothing$- პროცესის განხორციელების დროს აქტიურ კონსტრუქციებში მორფოლოგიური კავშირი **ი**-ნიანი ვნებითის გარკვეულ ფორმებსა და შესაბამისი მოქმედებითი გვარის პირდაპირ-დამატებიან კონსტრუქციებს შორის გაწყვეტილი უნდა ყოფილიყო; აქტიურ კონსტრუქციებში $/O_3^d/$ხ-$\rightarrow\varnothing$ პროცესის დაწყებისათვის შესაბამის პასიურ კონსტრუქციათა /ხ-/ პრეფიქსი აღარ გაიგებოდა როგორც $/O_3^d/$ ნიშანი.

9. სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი აქტანტებისა და მათ შესაბამის ნიშანთა შეპირისპირება ძველი ქართული

---

[14] ამგვარი ევოლუცია პირდაპირი ობიექტის ნიშნისა (ე. ი. $/O_3^d/$ხ-$\rightarrow\varnothing$), რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო $/O_3^d//O_3^{ind}/ \longrightarrow /O_3^{ind}/$-R კონსტრუქციებს, არ შეხებია პირველი და მეორე პირდაპირ-ობიექტური პირის /მ-/ და /გ-/ ნიშნებს, რამდენადაც გამორიცხული იყო სტრუქტურულად პირველი და მეორე პირის შემთხვევაში (განსხვავებით მესამე პირისაგან) პირდაპირ- და ირიბ-ობიექტურ ნიშანთა კომბინირება (წინადადების ბირთვში ზმნას არ უკავშირდება ერთსა და იმავე კონსტრუქციაში $\{O_1^d\}$ $\{O_1^{ind}\}$ და $\{O_2^d\}$ $\{O_2^{ind}\}$ აქტანტები).

ზმნის სტრუქტურაში საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთი შინაგანი რეკონსტრუქცია მოვახდინოთ სტრუქტურათა უნიფიცირებულ ტიპებზე დაყვანით. ამ შემთხვევაში საკითხი შეეხება სუბიექტ-ობიექტურ მიმართებებს პირველი სუბიექტური პირის გამომხატველ ორ- და სამვალენტიან ზმნურ სტრუქტურებში.

ძველი ქართული ზმნის პრეფიქსული მონოპერსონალიზმის პრინციპი, რომელიც გატარებულია უცილობლად ზმნური სტრუქტურის ყველა პარადიგმატული ერთეულის მიმართ, ირღვევა ზოგ ისეთს ზმნურ ფორმაში, სადაც წინადადების ბირთვში მესამე ობიექტური პირის ამსახველი სახელი უკავშირდება პირველ სუბიექტურ პირს. ასეთ შემთხვევაში ორივე ეს აქტანტი სათანადო აქტუალურად გამოვლენილი პრეფიქსული ნიშნით არის წარმოდგენილი ზმნურ ფორმაში: შდრ. „ხანმეტი“ ფორმები შ ე-ხ-ჳ-ა ბ თ, ა ღ-ხ-ჳ-მ ა რ თ ე და მისთ.

ამ ფორმებში წარმოდგენილია, წინააღმდეგ „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპისა, როგორც $\{S_1\}$, ისე $\{O_3\}$ აქტანტთა გამომხატველი პრეფიქსული ელემენტები /ჳ-/ და /ხ-/, რაც /ხ- ჳ-/ მიმდევრობას გვაძლევს: $/O_3//S_1/$.

ამგვარი სტრუქტურული შეუსაბამობის ელიმინირება და უძველესი ქართული ზმნური სტრუქტურის სუბიექტ-ობიექტურ ნიშანთა აქტუალურად გამოვლენის თვალსაზრისით უნიფიცირებულ ტიპზე დაყვანა შესაძლებელი ხდება /ხ-ჳ-/ მიმდევრობის ერთიან მორფემად განხილვის შემთხვევაში, სახელდობრ /ხჳ-/ ელემენტად, რომელიც უნდა განიხილებოდეს როგორც პირველი სუბიექტური პირის გამომხატველი $/S_1/$ ნიშანი. მაშასადამე, მიმდევრობები $/S_1//O_3^{1}/$ და $/S_1//O_3^{d}//O_3^{ind}/$, ისე როგორც მიმდევრობები $/S_2/$ $/O_3^{d}/$ და $/S_2//O_3^{d}//O_3^{ind}/$ (იხ. ზემოთ), უნდა გამოხატულიყო აქტუალურ სტრუქტურაში — თანახმად „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპისა — მხოლოდ სუბიექტური პირის $/S_1/$ და $/S_2/$ ნიშნების სახით.

ამგვარი დაშვების შედეგად ზმნურ ფორმაში მივიღებდით პირის ნიშანთა აქტუალურად გამოვლენის შემდეგ სქემას, რომელშიც სრულად აისახება ზმნის „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი:

A:

$/S_1//O_2^{d}/ \Longrightarrow /O_2^{d}/$-R→გ-R	$/S_1//O_3^{d}/ \Longrightarrow /S_1/$-R→ხჳ-R
$/S_2//O_1^{d}/ \Longrightarrow /O_1^{d}/$-R→მ-R	$/S_2//O_3^{d}/ \Longrightarrow /S_2/$-R→ხ-R

B:

$/S_1//O_2^{ind}//O_3^{d}/ \Longrightarrow /O_2^{ind}/\text{-R} \rightarrow$ გ-R

$/S_1//O_3^{ind}//O_3^{d}/ \Longrightarrow /S_1/\text{-R} \rightarrow$ ხჳ-R

$/S_2//O_1^{ind}//O_3^{d}/ \Longrightarrow /O_1^{ind}/\text{-R} \rightarrow$ მ-R

$/S_2//O_3^{ind}//O_3^{d}/ \Longrightarrow /S_2/\text{-R} \rightarrow$ ხ-R

ამგვარად, პირველი სუბიექტური პირის გამომხატველი $/S_1/$ ნიშანი უძველესი ქართული ზმნის სტრუქტურაში აღდგება შინაგანად როგორც /ხჳ-/ (და არა /*ჳ-/) პრეფიქსი (ივ. ჯავახიშვილი). იგი შემდგომ დაიშალა /ხ-/ და /ჳ-/ ნიშნებად, ე. ი. გაგებულ იქნა როგორც $\{O_3\}$ და $\{S_1\}$ აქტანტთა გამომხატველი ნიშნები ზმნაში, რითაც დაირღვა ქართული ზმნური სტრუქტურისათვის თავდაპირველად დამახასიათებელი პრეფიქსული მონოპერსონალიზმი, რომელიც ჯერ კიდევ „ხანმეტ" ძეგლებში ასახული ძველი ქართულის დონეზე უცილობლად გატარებულია ყველა დანარჩენ სუბიექტ-ობიექტურ პირთა კომბინირებისას[15].

პრექართულისათვის, ე. ი. ქართული ენის განვითარების იმ ეტაპისათვის, რომელიც წინ უსწრებს უძველეს წერილობით ძეგლებში ასახულ ენობრივ მდგომარეობას, შესაძლებელია ვივარაუდოთ პრეფიქსული მონოპერსონალიზმის შესაბამისი ზმნური სტრუქტურა პირველი სუბიექტური პირის $/S_1/\rightarrow$*ხჳ- მარკერით.

ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე უნდა მომხდარიყო ამგვარ სტრუქტურათა პირველი სუბიექტური პირის /ხჳ/-R ფორმის გააზრიანება როგორც ზმნური ფორმისა, რომელშიც გამოხატულია აგრეთვე მესამე ობიექტური პირი O_3/ხ-/ პრეფიქსის სახით; 1. *მ ი-ხ ჳ-ე ც- ~ 3. *მ ი - ხ - ც - ა ტიპის პარადიგმებში ხდება *მ ი-ხ ჳ-ე ც ფორმის დაშლა *მ ი -ხ- ჳ - ე ც სტრუქტურად; წარმოშობით ერთიანი პირველი სუბიექტური პირის /*ხჳ-/ პრეფიქსი რეინტერპრეტირებულ იქნა როგორც O_3^{ind} /ხ-/ და S_1/ჳ-/ პრეფიქსთა კომბინაცია.

რომელიმე *მი-ხჳ-ეც სტრუქტურა (წინადადების ბირთვი: $\{S_1\}\ \{O_3^{ind}\}\ \{O_3^{d}\}$ V) მესამე ობიექტური პირის მ ი - ხ - ც - ა სტრუქტურის გავლენით, სადაც კანონზომიერად წარმოდგენილია O_3^{ind} /ხ-/ პრეფიქსი, გააზრიანებულ იქნა როგორც მ ი - ხ - ჳ - ე ც სტრუქტურა,

---

[15] შდრ. აგრეთვე შინაგანად რეკონსტრუირებული S_1 /*ხჳ-/ ნიშნის ფონემური მიმართება S_2 /*ხ-/ ნიშანთან, რომელიც ანალოგიურია O_1^{pl} /*გჳ-/ ნიშნის ფონემური მიმართებისა O_2 /*გ-/ ნიშანთან, ე. ი. S_1: *ხჳ-კ ლ ა ვ ~ S_2: *ხ-კ ლ ა ვ და O_1^{pl}: *გ ჳ-კ ლ ა ვ ~ O_2: *გ-კ ლ ა ვ.

ე. ი. როგორც ისეთი ზმნური ფორმა, რომელშიც /*ხჳ-/ პრეფიქსის /*ხ-/ ელემენტი მიჩნეულია $\{O\}_3$ სახელის გამომხატველ ნიშნად, მსგავსად /ხ-/ პრეფიქსისა მი-ხ-ც-ა ტიპის სტრუქტურებში, სადაც იგი კანონზომიერად $\{O_3\}$ სახელის (resp. ნაცვალსახელის) გამომხატველია. ამით ერთგვარად დაირღვა ზმნურ ფორმათა პრეფიქსული მონოპერსონალიზმის აბსოლუტური ხასიათი ძველი ქართული ზმნის სისტემაში.

პირველი სუბიექტური პირის /*ხჳ-/ პრეფიქსის ამგვარ გააზრიანებას მესამე პირის ობიექტურ-პრეფიქსიან ფორმათა გავლენით, მის მიჩნევას O_3 /*ხ-/ ელემენტის შემცველ მიმდევრობად უნდა გამოეწვია თავდაპირველი S_1/*ხჳ-/ პრეფიქსის /*ჳ-/ პრეფიქსად გამარტივება იმ პარადიგმებშიც, სადაც არ იყო წარმოდგენილი მესამე სუბიექტური პირის ფორმაში ობიექტის გამომხატველი C_3^{ind} /ხ-/ პრეფიქსი (ე. ი. ერთვალენტიან სუბიექტური წყობის ზმნებში, აგრეთვე ნაწილობრივ ორვალენტიან ზმნებში პირდაპირი ობიექტის ამსახველი სახელით); *ხჳ-არ ტიპის სტრუქტურას უნდა მოეცა *ჳ-არ, ხოლო ხჳ-კლავ ტიპის სტრუქტურა უნდა გარდაქმნილიყო S_1: *ჳ-კლავ ფორმად.

/S_1/ პრეფიქსის ამგვარი გამარტივება /*ხჳ-/→/*ჳ-/ აღნიშნულ პარადიგმებში შეიძლება დავახასიათოთ როგორც /-ხ-/ელემენტის „მორფოლოგიური დაკარგვა“ თავდაპირველად ერთიანი /*ხჳ-/ პრეფიქსის გააზრიანების გამო გარკვეულ სტრუქტურებში როგორც /O_3/ /S_1/→/*ხ-*ჳ-/ პრეფიქსთა მიმდევრობისა[16]. ეს ეტაპი ქართული ზმნის განვითარებისა ასახულია უკვე „ხანმეტი“ ძეგლების ენაში, სადაც $\{S_1\}$ ნაცვალსახელის გამომხატველი ნიშანი ზმნის სტრუქტურაში რეგულარულად ვ/ჳ- პრეფიქსის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო პრეფიქსული /ხ-ჳ-/ წარმოადგენს /O_3/ /S_1/ ნიშანთა მიმდევრობას ზმნურ ფორმაში.

---

16 ანალოგიური დაკარგვა გ- ელემენტისა O_1^{pl} */გჳ-/ პრეფიქსში O_2 /გ-/ პრეფიქსის გავლენით არ უნდა მომხდარიყო იმის გამო, რომ O_1 და O_2 ობიექტები ვერ შეეწყობა ერთმანეთს საერთო პრედიკატთან, და ამდენად გამოირიცხება $\{O_1\}$ და $\{O_2\}$ ნაცვალსახელთა ნიშნების ზმნურ ფორმაში კომბინირების შესაძლებლობა.

Т. В. ГАМКРЕЛИДЗЕ

«ВАЛЕНТНОСТЬ» И «ПЕРСОНАЛЬНОСТЬ» ГЛАГОЛА

Резюме

В работе эксплицируются понятия глагольной валентности и персональности. «Валентность» определяется как способность глагола присоединять к себе в ядре предложения определенное количество имен-актант в конкретной падежной форме, тогда как «персональность» — это характеристика глагольной формы по признаку появления в ней показателей-экспонентов таких актант. Таким образом, «валентность» — синтаксическая категория глагола, тогда как «персональность» — категория чисто морфологическая.

На основании устанавливаемого префиксального монoперсонализма грузинского глагола проводится внутренняя реконструкция его древнейших личных показателей.

საენათმეცნიერო კრებული—Лингвистический сборник
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—АН Грузинской ССР

1979

გ. გიგინეიშვილი

ცხვრის აღმნიშვნელი უძველესი ქართული სიტყვა

ცხოვ- ძირიდან ქართულში ნაწარმოებია არაერთი სახელური თუ ზმნური ფორმა: **ცხოვ-ელ-ი, ცხოვარი/საცხოვარი, ცხოვ-ნ-დ-ა, ცხოვ-რ-ება/ცხო-რ-ება** და სხვა. ამჟამად ჩვენ განვიხილავთ მეტ-ნაკლებად მსგავსი სემანტიკის მქონე სახელურ ფორმებს. ესენია: **ცხოველი, ცხოვარი, საცხოვარი.**

ცხოველი ძველ ქართულში, როგორც წესი, ნიშნავს „ცოცხალს", „სულიერს" ზოგადად, თუმცა იშვიათ შემთხვევაში დასტურდება უფრო ვიწრო მნიშვნელობაც, რომელიც თანამედროვე ქართულში აქვს ამ სიტყვას — „პირუტყვი". ეს მნიშვნელობაა წარმოდგენილი შატბერდის კრებულის ერთ ადგილას: და მე მიხილავს საყოფელსა კაცთასა სამწყსოჲ **ცხოვართაჲ** გინა თუ სხუათა **ცხოველთაჲ** (S—1141, 46vb).

საცხოვარი-ს ძირითადი მნიშვნელობაა „საქონელი", „პირუტყვი", „ჯოგი"[1], მაგრამ რიგ შემთხვევაში იგი ცხვრის მნიშვნელობითაც გვევლინება.

ს ა ც ხ ო ვ ა რ ი — „საქონლის", „პირუტყვის" მნიშვნელობით

1. და რაჲამს ჭეშმარიტად ვინმე გამოეძიებდეს სახელსა მას, ლუგჳროს სახელი არს **საცხოვრისა**, რომელსა ლუგჳრონ ჰრქჳან, რომელ არს ფერი ველურისა მის ზროხისაჲ, მსგავს წითლისა დეაკეულისა. S—1141 (შატბერდის კრებული), 66rb.

---

[1] განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 79.

2. და აბრაჰამ იყო მდიდარ ფრიად **საცხოვრითა** და ვეცხლითა და ოქროჲთა. შეს. 13,2—0.

სომხურში იკითხება: ***անասնով*** „საქონლითა“, „პირუტყვითა“.

3. და თავადი მაგისგან სუმიდა და ძენი მისნი და **საცხოვარი** მისი. ი. 4,12 C.

4. ხოლო ესენი, ვითარცა პირუტყუნი **საცხოვარნი**, შობილნი ბუნებითა მოსასრველად და განსარყუნელად ...ჴრწნილებითა მათითა განირყუნენ. პეტრესი სამოციქულოჲ II, 2,12.

სომხ. ***զանխօս անասունս*** „პირუტყვი **ცხოველები**“.

5. მფრინველთაგან ცისათა **მისაცხოვრამდე** შესულ-ბეს. იერ. 9,10.

ბერძნ. ἕως κτηνῶν „ვიდრე ცხოველებამდე“.

სომხ. ***մինչեւ ցանասունս*** „ვიდრე ცხოველებამდე“.

6. მაშინ რისხვაჲ იგი მღდელთა და დიაკონთა ზედა მოიწეოდეს და ვითარცა **საცხოვარნი** პირუტყუნი ეკლესიათა შინა დაიკლვოდეს. წარტყ. (ნ. მარის გამოცემა), 17,16.

7. ითქუმის ეშმაკიცა ლომ და ლეკუ ლომის მტაცებელისა და **მჴეცობისა** და **საცხოვრის სახისა** მისთჳს. S—1141 (შატბ. კრ.) 77.

აქ **საცხოვრის სახისა** ნიშნავს „ცხოველური შესახედაობის“, რასაც უპირისპირდება მომდევნო: ... ითქუმიან მოწაფენიცა მისნი **ცხოვრად** ყუდროვებისა და სიმშჳდისათჳს.

ს ა ც ხ ო ვ ა რ ი — „ცხოვრის“, „ცხვრის ფარის“ მნიშვნელობით

1. დამწყსენ **საცხოვარნი** ჩემნი, ი. 21,16 C.

DE: **ცხოვარნი**

სომხ.: ***ոչխար*** „ცხვარი“.

2. ვმწყსიდი მე **საცხოვართა** მამისა ჩემისათა. ფსალმ. 151,1.

ბერძნ. τα πρόβατα „ცხვრებს“ (აკუზატივში).

3. ... მწყემსმან კეთილმან თავი თჳსი დადვის **საცხოვართა** თჳსთა ზედა, ხოლო სასყიდლითი იგი არა არნ მწყემსი, რომლისაჲ არა არიედ თჳსნი **ცხოვარნი**: ვითარცა იხილის მგელი მომავალი, დაუტევნის **საცხოვარნი**

და ივლტინ ... რამეთუ სასყიდლით დადგინებულ არნ და არარაჲ [ჰჭი]რნ **ცხოვართა** მათთჳს. ი. 10, 11—13 C.

DE რედაქციაში ყველგან **ცხოვარი** გვაქვს, ხოლო ადიშის რედაქციაში დასტურდება **ცხოვარ**-ისა და **საცხოვარ**-ის მონაცვლეობა, რაც მათი ეკვივალენტობის მაჩვენებელია.

ამრიგად, **საცხოვარი** და **ცხოვარი** ძველ ქართულ ტექსტებში ძირითადად განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება, მაგრამ არის სინონიმური ხმარების ფაქტებიც და ასეთ შემთხვევაში ორივე ფორმას უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს — საკუთრივ **ცხვრისა.**

სამეცნიერო ლიტერატურაში **ცხოვარი** მიაჩნიათ მეგრული **შხური** და ჭანური **მჩხური/ჩხური** ფორმების შესატყვისად. ეს აზრი საყოველთაოდაა გაზიარებული ქართველოლოგების მიერ[2]. ამასთანავე, არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ სომხური *ոչխար* „ცხვარი“ ზანური დიალექტებიდან უნდა იყოს შეთვისებული. საკითხი ისმის: რატომაა სომხური ფორმა ესოდენ განსხვავებული როგორც მეგრული, ისე ჭანური შესაბამისი ფორმებისაგან? უპირველეს ყოვლისა, თვალში გვხვდება სხვაობა ძირეული მორფემის გახმოვანებაში: ზანურში — **უ**, სომხურში — **ა**. თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ზანურ ძირებში წარმოდგენილ **უ**-ს განიხილავენ თავდაპირველი *ა-საგან მიღებულად განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ხოლო **ა**-ს სომხურ *ոչխար*-ში უფრო ადრინდელი ვითარების ანარეკლად. აქედან გამომდინარე, სომხური *ոչխար* იმ დროის ნასესხობად მიიჩნევა, როცა ზანურში ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი **ა→ო** გადაწევა[3]. აქ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ აქამდე ცნობილი ნასესხობანი ზანურიდან სომხურში ჩვეულებრივ იმ პერიოდს განეკუთვნება, როცა ხმოვანთა გადაწევა ზანურ დიალექტებში უკვე მომხდარია. ამის მაგალითებად გამოდგება სომხური **ճանճ** (←***ճանջ**; შდრ. მეგრ. **ჭანჯი,** ჭან. **მჭაჯი,** ამოსავალია საერთოქართველური ***მწ₁ერი**), ზმნური სუფიქსი *-ում* (←ზან.-**უმ**;

---

[2] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942, გვ. 163; მისივე, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938, გვ. 80; K. H. Schmidt. Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache. Wiesbaden, 1962, გვ. 150; Г. А. Климов. Этимологический словарь картвельских языков. Москва, 1964, გვ. 231; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი, 1965, გვ. 149—150.

[3] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 149—150.

ამოსავალია საერთოქართველური -*ამ[4]) და სხვა. ამიტომ ბუნებრივი იქნება ზანურ-სომხური ენობრივი კონტაქტები ვივარაუდოთ ზანური ხმოვანთგადაწევების მომდევნო პერიოდში და გამონაკლისი არ დავუშვათ *ոչխար* სიტყვის შემთხვევაში. ამას გარდა, ვფიქრობთ, ჯერ უნდა გაირკვეს მიმართება ქართულ **ცხოვარ**-სა და მის შესატყვისად მიჩნეულ ზანურ ფორმებს შორის, ხოლო შემდეგ — სომხური *ոչխար*-ის წარმომავლობა, მით უფრო, რომ ქართული და ზანური ფორმების ფონემური შესატყვისობის მხრივ ყველაფერი რიგზე არაა. ქართული ცხოვარის დაკავშირება მეგრულ **შხური** და ჭანურ **მჩხური** ფორმებთან ეჭვს იწვევს შემდეგი მიზეზის გამო:

1. ქართული ა-ს შესატყვისად მეგრულ-ჭანურში უ-ს გამოვლენა არაა მოსალოდნელი, თუ ეს ხმოვანი უშუალოდ ან შუალობით არ ემეზობლება ბაგისმიერ თანხმოვანს. დაშვება რედუცირებული ***ცხვრ-** ამოსავალი ფორმისა ნაკლებ საალბათოა, რადგან ორი ხმოვნის ერთდროული სინკოპე ზანურისათვის არაა დამახასიათებელი.

2. არ ჩანს რამდენადმე დამაჯერებელი ახსნა იმ ფაქტისა, თუ რატომ გვაქვს მეგრულში სპირანტი **შ** ქართული ც-ს შესატყვისად. რამდენადაც ცნობილია, მეგრულს აფრიკატთა სპირანტიზაცია არ ახასიათებს.

პირველ უცნაურობას კ. შმიდტი ასე ხსნის: ქართული **ცხოვარი**-ს შესატყვისად ზანურში უნდა გვქონოდა ***ჩხოვარი**, რომელმაც ასეთი ევოლუცია განიცადა: *ჩხოვარი→ *ჩხოვორი→ *ჩხუვორი→ *ჩხუორი→ *ჩხვორი→*ჩხვური→ჩხური[5]. ამ ახსნას მთელი რიგი სუსტი რგოლები აქვს. ჯერ ერთი, ***ჩხუვორი**-საგან ***ჩხუორი**-ს გავლით ***ჩხვორი**-ს მიღება ნაკლებ საფიქრებელია, რადგან მსგავსი კომბინატორული პროცესები ზანურს არ ახასიათებს. მეორეცაა და, ***ჩხვორი**-საგან უთუოდ მივიღებდით ***ჩხორი** და არა ***ჩხვური** ფორმას. ეს გზა უნდა გამოირიცხოს. კიდევაც რომ მიგვეღო იგი, მეგრულში სპირანტიზაციის ახსნას მაინც ვერ შევძლებდით.

დასკვნა: 1) ქართული **ცხოვარი** არ წარმოადგენს კანონზომიერ ფონემურ შესატყვისს ზანური **შხური/მჩხური** ფორმებისას; 2) სომხური *ոչխար* ვერ გამოიყვანება „ცხვრის“ მნიშვნე-

---

[4] ამის შესახებ იხ. ა. შანიძის «Два чано-мегрельских суффикса в грузинском и армянском языках» (ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1957, გვ. 24—27).

[5] K. H. Schmidt, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

ლობის მატარებელი ზანური სიტყვების ვერც ახლანდელი და ვერც ადრინდელი სავარაუდებელი ფორმებისაგან.

ქართულში **ცხოვ-** ძირისაგან ნაწარმოები ზემოხსენებული სამი ლექსემიდან **ცხოველ**-ს მოეპოვება კანონზომიერი შესატყვისი მეგრულში **ჩხოუ/ჩხუუ** ფორმების სახით, რომლებსაც „ძროხის“ მნიშვნელობა აქვთ. დაკავშირება ამ ფორმებისა ი. ყიფშიძეს ეკუთვნის[6], მაგრამ მას **ჩხოუ** ფორმაში ჩამოკვეცილი ჰგონია **-ლი**. სინამდვილეში, აქ არაფერია ჩამოკვეცილი: ქართული **-ელ** მიმდევრობის კანონზომიერი შესატყვისი სიტყვის ბოლოს ზანურში არის **-უ**, რაც დაასაბუთეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა[7].

შესატყვისი უნდა ჰქონოდა ქართულ **საცხოვარ**-საც. ტ. გუდავას გონებამახვილური მიგნებით, ეს შესატყვისი შემოგვრჩა ზანურიდან ნასესხებ სომხურ **ოჩხარ** სიტყვაში. სომხური ფორმის თავკიდური **ო**, რომელიც ცხოვართან შეპირისპირებისას დაბრკოლებას წარმოადგენდა, **საცხოვართან** დაკავშირების შემთხვევაში სავსებით კანონზომიერია: ქართულ **სა—არ** ცირკუმფიქსს ზანურში უნდა მოეცა **ო—ორ** (ან **ო—ო/ნ/ჯ**). ასე, რომ, **სა-ცხოვ-არ**-ს უნდა მოეცა **ო-ჩხოვ-ორ**. ბუნებრივია, ორ **ო**-ს შორის ჩავარდნილიყო **ვ**. რაც გამოიწვევდა ორი **ო**-ს მოხვედრას უშუალო მეზობლობაში. ტ. გუდავა ვარაუდობს, რომ აქ თავი იჩინა მეგრული კომბინატორიკის ცნობილმა წესმა, რომლის მიხედვითაც **ო+ო** მიმდევრობა გრძელ **ა**-ს გვაძლევს. **ā** ფონემატური ღირებულებისა არაა: მას თავისუფლად შეიძლება შეენაცვლოს მოკლე **ა**. ამრიგად ***ოჩხოორ** ფორმიდან მივიღებდით ***ოჩხაარ/ოჩხარ** ფორმებს, რომელთაგან ერთ-ერთი ფიქსირებულია სომხურში. დარჩა ერთადერთი ფორმა, რომლის შესატყვისიც ზანურში არ იძებნება. ესაა **ცხოვარი**. თუ დავუკვირდებით ამ სიტყვის აგებულებას, შევნიშნავთ, რომ იგი ერთგვარი გამონაკლისია ქართული სიტყვაწარმოების თვალსაზრისით: ოდენსუფიქსური წარმოება ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ ეს არ ეხება **-არ** სუფიქსს, რომელიც ცალკე, პრეფიქსის გარეშე დასტურდება მხოლოდ წარმომავლობის აღმნიშვნელ ეთნიკურ-გეოგრაფიულ სახელებში, რომლებიც, ა. შანიძის აზრით, ჭანურ-მეგრული ტიპის წარმოებას გვიჩვენებენ[8]. სა-

---

[6] И. Кипшидзе, Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка с хрестоматиею и словарем. С.-Петербург, 1914, გვ. 368.

[7] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88—91.

[8] ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20—24.

კუთრივ ქართული წარმოების სიტყვებში კი **-არ** მხოლოდ პრეფიქსებთან კომბინაციაში გვხვდება. ე. ი. გვაქვს **მ—არ, მა—არ, სა—არ, ნა—არ** და სხვა, მაგრამ არ ჩანს ოდენ **-არ** სუფიქსიანი ფორმები. ამ თვალსაზრისით **ცხოვ-არ** უნიკალური ფორმაა. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ მისი მეორეულობა. შეიძლება დავუშვათ, რომ იგი მიღებულია **საცხოვარ** ფორმის გამარტივების შედეგად. ამის მიზეზი, საფიქრებელია, ყოფილიყო არა ფონეტიკური ცვლილება, არამედ ფორმის მეტაანალიზი: **საცხოვარ** შეიძლებოდა გააზრებული ყოფილიყო, როგორც ოდენპრეფიქსიანი წარმოება. ამგვარი გადააზრების გარდა, გაჩნდა მოთხოვნილება მნიშვნელობის დიფერენციაციისა: **საცხოვარი** დარჩა ზოგადად „საქონლის", „პირუტყვის" აღმნიშვნელად, ხოლო მისგან წარმოქმნილმა **ცხოვარმა** მიიღო უფრო კონკრეტული მნიშვნელობა **ცხვრისა,** რადგან ამ პერიოდისათვის საკუთრივ **ცხვრის** სემანტიკის მქონე ტერმინი, რომელიც ზანურ ფორმათა კანონზომიერ შესატყვისს წარმოადგენდა, ქართულში უკვე დაკარგული იყო ზეპირ მეტყველებაში. თუ ამგვარ ახსნას მივიღებთ, სავსებით გასაგებია, რატომ არ მოეპოვება ეკვივალენტი **ცხოვარ** სიტყვას ზანურში. **ცხოვარი** საკუთრივ ქართულ ნიადაგზეა წარმოქმნილი და უფრო შორეული ფესვები არა აქვს.

რა შეეფარდებოდა ზანურ **შხური/მჩხური** ფორმებს ქართულში ისტორიულად? ვცადოთ ზანური სიტყვების მიხედვით სავარაუდებელი ქართული სიტყვის აღდგენა შესატყვისობათა იმ ფორმულების მიხედვით, რომელიც ცნობილია ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურიდან. ზანური **უ** ამ პოზიციაში შეიძლება წარმოადგენდეს მოკლე ***ა** და ***ო** ხმოვნების ან ***უ̂** სონანტის რეფლექსს, მეგრული **შ**-ს შესატყვისად ქართულში მხოლოდ და მხოლოდ **ს** შეიძლებოდა გვქონოდა, **ხ** ამ პოზიციაში (**ს**-ს შემდეგ) აგრეთვე მხოლოდ **ხ**-ს გვავარაუდებინებს ქართულში. ჭანური ფორმის თავკიდური **მ** ძველიც შეიძლება იყოს და განვითარებულიც, მეგრულში კი **მ** თანხმოვნის წინ ანლაუტში ვერ გაძლებდა (ტ. გუდავა). ჭანურ თავკიდურ მ-ს უნდა მიეწეროს თავდაპირველი **შ** სპირანტის აფრიკატიზაცია. მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია ჭანურში: ჭან. **მცხული←*მსხული** (შდრ. ქართ. **მსხალი,** მეგრ. **სხული**), ჭან. **მჩხუ←*მშხუ** (შდრ. ქართ. **მსხვილი,** მეგრ. **შხუ**) და სხვა. მართალია, თვით ეს **მ** დღეს მერყევია, რიგ კილოებში დაკარგულიცაა ან ფაკულტატურად იხმარება, მაგრამ ზემოაღნიშნულ მაგალითებში

ისტორიულად ძველია. ამრიგად, მეგრული და ჭანური ფორმების მიხედვით ქართულისათვის სავარაუდებელია ***მსხარი, *მსხური** ან ***მსხორი.** საინტერესოა, რომ ამგვარი ფონემური შედგენილობის მქონე სიტყვა დასტურდება უძველეს ქართულ მრავალთავებში — ხანმეტურსა და სინურში, პირველში **მსხორად,** ხოლო მეორეში — **მსხოვრად** ფორმით. მოვიტანთ სათანადო ადგილებს:

> გარნა აწ ესრე შუენის აღსრულებად ყოველი სიმართლჱ, რამეთუ **მსხორად** ნათესავისა მის კაცთაჲს(ა) მოსრულ ვარ, რაჲთა თანანადები იგი მათი გარდავიჴადო. და ვითარცა კრავი ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოვედ დაკლვად. ხანმ. მრ. 130,12.

> გარნა აწ ესრე შუენის აღსრულებად ყოველი სიმართლჱ, რამეთუ **მსხოვრად** ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოსრულ ვარ, რაჲთა თანანადები იგი მათი მე გარდავიჴადო; ვითარცა კრავი ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოვედი დაკლვად. სინ. მრ. 81,17.

სხვა მრავალთავთაგან ხანმეტურისა და სინურის წაკითხვას ერთგვარად მხარს უჭერს პარხლის მრავალთავი, რომელშიაც შესაბამის ადგილას წერია **მსტოვრად,** რაც, სრულიად აშკარად, **მსხოვრად** ფორმის შეცდომით ჩაწერის შედეგია: საქმე გვაქვს **ხ**-ანისა და **ტ**-არის გრაფიკულ აღრევასთან.

უდაბნოს მრავალთავს ფურცელი, რომელზედაც ჩვენთვის საინტერესო ადგილი უნდა ყოფილიყო, აკლია. სვანური მრავალთავი გვაძლევს წაკითხვას **მაცხოვრად,** ხოლო მე-13 საუკუნის ერთი მეტაფრასი — **მსახურებად** ფორმას. ა. შანიძე ხანმეტი მრავალთავის ტექსტზე დართულ გამოკვლევაში მიმოიხილავს სხვა მრავალთავების ჩვენებას და ყველას მცდარად მიიჩნევს; ამასთანავე ვარაუდობს, რომ აქ ალბათ, **მსახურად** უნდა ყოფილიყო[9]. ამ მხრივ შეიძლება საგულისხმო იყოს ერთი ადგილი ნეშტთა I წიგნიდან, სადაც აგრეთვე წარმოდგენილია **მსხოვრ** ფუძე (უკვე მოქმედებით ბრუნვაში). ეს წაკითხვა დასტურდება A—570, A—646, H—885 ხელნაწერებში, რომელთაგან უძველესი (A—570) მე-15 საუკუნისაა. აი ეს ადგილი:

> და განუყვნა იგინი დავით უფალსა მდღევრად

---

[9] ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 123.

მსხოვრით ძეთა ლევისთა: კაათს და მერარს. I ნეშტთა 23,6.

აქ საუბარია იმაზე, რომ დავითმა დაუწესა ღმრთისმსახურების რიგი ლევის შვილებს. ბერძნულში სათანადო ადგილას იკითხება ἐφημερίας, რაც ნიშნავს რიგს ღმრთისმსახურების რიტუალში, ხოლო სომხურში—*պաշտամունք*, რაც აგრეთვე „ღმრთისმსახურების წესია“. ეს ჩვენებანი თითქოს იმ ვარაუდის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდნენ, რომ **მსხორად** წავიკითხოთ **მსახურად** ან **მსახურებად.** მაგრამ ამას გარკვეული დაბრკოლებები ხვდება:

1. თუ დავუშვებთ, რომ **მსხორად/მსხოვრად** უნდა წავიკითხოთ **მსახურად,** ივარაუდება, დაქარაგმებულ სიტყვასთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელშიაც ამოღებულია **ა; უ** შეცვლილია ერთგან ო-თი, ხოლო მეორეგან **ოვ** მიმდევრობით, ქარაგმის ნიშანი კი გადამწერს დავიწყებია.

Следует подчеркнуть, что на картвельском материале может быть даже прослежена и характерная для многих представителей активного строя фреквенталия — лексическая противопоставленность глаголов одушевленного и неодушевленного действия. Она проявляется в хорошо известном картвелистике феномене дублетности группы глагольных лексем, до сих пор в большей или меньшей степени ориентированной на подлежащее активного (одушевленного) или инактивного (неодушевленного) классов. Ср., напр., следующие пары грузинских соотносительных глаголов:

---

[4] Ср. А. Г. Шанидзе, указ. соч., с. 313—319 (на груз. яз.).

[5] См. С. Л. Быховская, Объективный строй verba sentiendi (предварительный очерк). «Язык и мышление», т. VI—VII (1936), с. 19—42; А. Г. Шанидзе. Грамматический субъект при некоторых непереходных глаголах в грузинском. «Труды кафедры древнегрузинского языка ТГУ», 7, 1961 (на груз. яз.).

Одушевленные		Неодушевленные	
çola	'лежать'	deba	'лежать'
çakcewa	'падать'	dawardna	'падать'
daxrčoba	'тонуть'	čaʒirwa	'тонуть'
moxuceba	'стареть'	moʒweleba	'стареть'
berwa	'дуть'	krola	'дуть'
šemorṭqma	'окружать'	šemowleba	'окружать' и др.

Должно быть естественным, что в настоящее время такое противопоставление выдерживается, конечно, не очень строго. Тем не менее, до сих пор нередко встречаются особенно показательные с точки зрения реализации принципов активного состояния случаи облигаторного сочетания глаголов одушевленного действия с субстантивами, обозначающими не только людей и животных, но и растения: ср., напр., груз. wazi çews 'лоза лежит' при kwa dews 'камень лежит', xe çaikca 'дерево упало' при kwa dawarda 'камень упал'.

Аналогичные глагольные дублеты засвидетельствованы по всем картвельским языкам. Особенно интересна их принадлежность к единой семантической сфере при нередком использовании этимологически уже разных основ. Ср. следующие мегрельские пары:

Одушевленные		Неодушевленные	
ǯira	'лежать'	ʒuna	'лежать'
dontxapa	'падать'	dolapa	'падать'
škwidapa	'тонуть'	donçqwala	'тонуть'
rčinapa	'стареть'	daǯwešeba	'стареть'
barua	'дуть'	rkuala	'дуть'
rṭqapa	'окружать'	goluapa	'окружать'и др.

Последнее обстоятельство должно указывать на продолжавшееся в какой-то мере действие семантической детерминанты активного строя и в период существования уже отдельных картвельских языков. Сравнение подобных дублетов по языкам приводит к выводу, что в прошлом их число должно было быть выше: в каждом из них наблюдается ха-

рактерный для номинативизации структуры процесс обобщения одной из таких парных лексем за счет другой (ср., в частности, наличие в лазском уже единого глагола o-bar-u 'дуть').

Можно привести по крайней мере два аргумента, говорящих в пользу существования в протокартвельском такой импликации активного строя, как оппозиция инклюзивной и эксклюзивной лексем местоимения 1-го лица множ. числа (она обусловлена рассмотрением адресата речи с точки зрения его активного участия или неучастия в описываемой ситуации). Один из них образует оставленные ею проекции на морфологическом уровне — различение двух аналогичным образом дифференцированных глагольных показателей 1-го лица множ. числа в сванском и отражение обоих в древнегрузинском. Другой следует усматривать в факте материальной гетерогенности здесь лексемы 'мы', выражающейся в генетической несопоставимости грузинско-занского *čwen 'мы' и сванского näj 'мы', на котором основывается реконструкция Т. В. Гамкрелидзе двух общекартвельских местоимений — инклюзивного *čwen(a) и эксклюзивного *na[6].

В качестве прямого наследия норм активной типологии можно трактовать и специфику лексем возвратных местоимений 'сам' и 'свой' (которые, будучи однозначно ориентированными на передачу субъектно-объектных отношений, неразвиты в структуре активного строя). Если генетическая связь первой из них с местоимением 3-го лица по языкам еще вполне очевидна, то вторая вообще в большинстве случаев пока находится в фазе формирования. История становления обоих хорошо иллюстрируется и памятниками древнегрузинского языка[7].

В лексической структуре картвельских языков особое

---

[6] Ср. Т. В. Гамкрелидзе, Сибилянтные соответствия и некоторые вопросы древнейшей структуры картвельских языков, Тб., 1959, с. 46—47 (на груз. яз.).

[7] См. А. Г. Мартиросов, Возвратные притяжательные местоимения в картвельских языках, «Иберийско-кавказское языкознание», т. XIV (1964); H. Vogt, Remarques sur le pronom possessif réfléchi du vieux géorgien. Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap. Vol. 26. Oslo, 1972.

внимание обращают на себя факты, по-видимому, свидетельствующие о том, что действие семантической детерминанты активного строя не прекратилось полностью и на более поздних этапах их исторического развития. К ним прежде всего относится целый ряд глагольных дублетов, соотнесенных с одушевленным или неодушевленным объектом (отчетливая объектная интенция должна указывать на их относительно позднее происхождение). Ср. груз.:

Одушевленные		Неодушевленные	
daçwena	'класть'	dadeba	'класть'
aqwana	'брать'	aγeba	'брать'
moqola	'нести'	moṭana	'нести'
cnoba	'знать'	codna	'знать'
šecodeba	'жалеть'	dananeba	'жалеть'
banwa	'мыть'	recxwa	'мыть'

(в прошлом число подобных пар было, вероятно, большим: ср., в частности, существовавшее в древнегрузинском противопоставление лексем mocikwaj 'посылать (одушевл.)' и moʒγunaj 'посылать (неодушевл.)'. Далее следует упомянуть противопоставление в сванском двух местоимений 'наш' — инклюзивного gu(i)šgwej и эксклюзивного nišgwej: интересно, что эта характерная для представителей активного строя оппозиция проводится здесь в разряде уже таких лексем поздней формации, каковыми являются притяжательные местоимения. Часто проводимая в активных языках оппозиция одушевленного и неодушевленного начал налицо и в другой группе лексем позднего образования — в verba habendi: ср. груз. qola 'иметь (одушевл.)' ~ kona 'иметь (неодушевл.)', мегр. 'una 'иметь (одушевл.)' ~γwena 'иметь (неодушевл.)', сван. li-qēn-e 'иметь (одушевл.)' ~ li-γwēn-e 'иметь (неодушевл.)'. Тождественное по своему содержанию противопоставление лежит и в основе различения здесь парных прилагательных типа сван. mečī 'старый (одушевл.)' ~ ǯwinel 'старый (неодушевл.)', или лазск. badi 'старый (одушевл.)' ~ mǯweši 'старый (неодушел.)', genǯi 'молодой' ~ aγne 'новый' и т. п. Естественно, что в плане излагаемой гипотезы особенное внимание обращают на себя атрибутивы, отражающие

трактовку названий растений как одушевленных имен: ср. лазск. badi ḳoči 'старый человек', badi mtxa 'старая коза', badi binexi 'старая лоза' при mǯweši oxori 'старый дом' (в позиции определения к именам одушевленных референтов лазские aγne и mǯweši имеют, соответственно, преимущественную семантику 'недавний' и 'прежний').

Наконец, интересно, что и такой разряд лексем поздней формации, как масдар, сохраняет в картвельских языках в большинстве случаев диффузную с точки зрения передачи субъектно-объектных отношений интенцию: ср. груз. çwa 'жечь', гореть', trewa 'волочить, тащиться', gamoγwiʒeba 'будить, просыпаться', xmoba 'сушить, сохнуть' и др.

На синтаксическом уровне к элементам наследия активной типологии здесь прежде всего могут быть отнесены многочисленные пережитки функционирования активной конструкции предложения, особенно очевидные в случаях, когда сказуемое выражено аористными (а в лазском — и другими) формами интранзитивного глагола. Ср., напр., груз. deda-m čaaxwela 'мать кашлянула', ḳac-ma čaapurtxa 'человек плюнул', dro-m ganwlo 'время прошло', ʒaγl-ma daiqepa 'собака залаяла' или meḳare-m burt-s mousçro 'вратарь подоспел к мячу', ḳuç-ma gul-s sʒlia 'желудок одолел сердце' и т. п., где при интранзитивных глаголах активного действия подлежащее выступает в форме так наз. «повествовательного» падежа, обычно типологически приравнивающегося к эргативу языков эргативного строя. Между тем, в приведенных примерах не приходится говорить об эллипсе прямого дополения, поскольку все приведенные предложения — структурно полные. Безуспешными остаются попытки отдельных авторов реконструировать в составе подобных построений историческое прямое дополнение. Ср., в частности, попытку Н. Я. Марра возвести груз. man šexeda mas 'он взглянул на него' к историческому man šexeda mas tuali 'он вперил в него глаза' (между тем, и в других картвельских языках глагольные лексемы семантики 'взглянуть' требуют «повествовательного» падежа подлежащего, не предполагая при этом наличия

прямого дополнения)[8]. Естественно, что построения с транзитивным глаголом-сказуемым и подлежащим в форме этого же падежа также могут продолжать активную конструкцию предложения, так как данные глаголы составляют одну из основных групп исторически активных[9].

Другую синтаксическую реминисценцию активного состояния должны составлять в картвельских языках черты «аффективной» конструкции предложения, не мотивированной в структуре эргативного строя. В виду имеются некоторые формальные особенности схемы предложения с целым рядом глаголов непроизвольного действия и состояния (специфика морфологической структуры глагольной словоформы, инвертированный словопорядок). Будучи наиболее ощутимыми в построениях с глаголом-сказуемым в формах презенсной серии времен, эти особенности снимаются при его других временных формах: последнее обстоятельство связано, вероятно, со вторичностью темпоральных градаций в картвельском глаголе.

Как и следовало ожидать, в соответствии с консервативным положением морфологии в плане контенсивно-типологической схемы пережитки активного строя особенно легко могут быть прослежены в морфологической системе картвельских языков. В равной степени интересный в этом отношении материал представлен здесь как в глагольном, так и в именном словоизменении.

В сфере картвельской глагольной морфологии обращает на себя внимание уже в целом одноличный принцип спряжения, вскрывающийся здесь по общепринятому признанию за относительную инновацию субъектных суффиксов 3-го лица, и нехарактерный для представителей эргативной типологии, как правило, следующих его двухличному спряжению (на-

---

[8] Об историческом отсутствии прямого дополнения у медиоактивных глаголов см. Л. М. Нозадзе. О некоторых вопросах образования медиоактивных глаголов в грузинском языке. — ИКЯ, т. XIX. Тб., 1974, с. 47—48, 53.

[9] О логической связи транзитивности с одушевленностью см., напр., J. Lyons. Introduction to Theoretical Linguistics. Cambridge, 1971, с. 358—359.

против, одноличный принцип спряжения весьма распространен в активных языках).

Однако, с точки зрения предлагаемой гипотезы значительно более интересен тот факт, что сама схема функционирования личных аффиксов картвельского глагола исторически оказывается во многом аналогичной схеме глагольного спряжения в рамках активной типологии. Прежде всего, здесь легко реконструируются две их серии, обычно неточно квалифицируемых в специальной литературе как субъектная и объектная[10]:

Субъектная серия		Объектная серия	
1 лицо	*xw-	1 лицо	*m-
2 лицо	*x-	2 лицо	*g-
3 лицо	*∅	3 лицо	*∅

Если бы общекартвельское состояние было бы эргативным, то в соответствии с его принципами в роли субъектных показателей интранзитивного глагола должны были бы выступать аффиксы объектной серии. Между тем, фактически во всех картвельских языках в этой роли выступают личные аффиксы субъектной серии. Иначе говоря, вместо ожидавшихся в первом случае словоформ типа *aγ-m-deg 'я встал', *mo-g-wed 'ты пришел' и т. п. в действительности реконструируются словоформы типа *aγ-(x)w-deg и *mo-x-wed. С другой стороны, в «двухличном» транзитивном глаголе в тех же лицах должен был выступать аффикс объектной серии 3-го лица. Однако на деле и здесь имеем обратную картину, т. е. формы с аффиксами субъектной серии типа сван. xw-i-ḳed 'я беру (то)', x-i-ḳed 'ты берешь (то)' (последнее несоответствие построения картвельского глагола принципам эргативности также отмечалось К. Х. Шмидтом[11]). Особенно резко противоречит соответствующим

10 Это обстоятельство справедливо подчеркнуто в работе: G. Pätsch. Das georgische Präsens — Indoeuropäischer Einfluss oder eigengesetzliche Entwicklung? — Bedi Kartlisa. Revue de kartvélologie. № 52—53. Paris, 1967, с. 144.

11 См. K. H. Schmidt, Probleme der Typologie (Indogermanisch/Kaukasisch). Homenaje a Antonio Tovar, ofrecido por sus discipulos, colegas y amigos. Madrid, 1972, c. 452.

нормам эргативного строя построение словоформ картвельских «трехличных» транзитивных глаголов типа груз. mo-m-c-a 'он дал мне (то)', как и все предыдущие также восходящих к общекартвельской модели. В них представлены показатели подлежащего и косвенного дополнения, но отсутствует прежде всего ожидавшийся в эргативной системе показатель прямого дополнения. Все эти факты вместе с тем означают, что морфологическая структура как транзитивного, так и интранзитивного глагола в картвельских языках обнаруживает отношения, характерные для глагола представителей активной типологии, где любой активный глагол оформляется личными аффиксами активного ряда. В свою очередь столь же интересную аналогию структуре стативных глаголов активных языков, включающих лишь личные показатели инактивного ряда, здесь образуют «статические страдательные» глаголы, исторически содержавшие только личные аффиксы объектной серии. Казалось бы, в одном пункте картвельский глагол все же знает построенные по нормам эргативности: ср. словоформы семантически транзитивного глагола 3-го лица субъекта при 1-ом и 2-ом объектных лицах: ср. груз. m-cem-s (<*m-cem) 'меня бьет (он)', g-cem-s (<*g-cem) 'тебя бьет (он)'. Но и это явление находит свои аналогии в активных, а не эргативных языках. Одну из них образуют формы типа xe-nupã 'меня бьет (он)' и nde-nupã 'тебя бьет (он)' в языке тупи (объектное согласование связано с недостаточной развитостью в последних показателя 3-го лица), другая же состоит в том, что подобно картвельским языкам в них личные аффиксы прямого и косвенного объекта формально не разграничены.

В связи с затронутыми особенностями системы спряжения картвельского глагола нельзя не вспомнить следующего высказывания С. Л. Быховской: «... в американских языках система спряжения гораздо последовательнее. Возможно, что такая система была некогда и в яфетических языках. Дело в том, что в мегрельском и чанском языках, в так называемых вторых и третьих, т. е. прошедших временах, все глаголы, переходные и непереходные, имеют так наз. пассивную конструкцию. В яфетидологической литературе это явление раньше объяснялось влиянием аналогии переходных

глаголов, но, может быть, правильнее сказать, что корень этого глубже — возможно, что здесь мы имеем пережиток такого же строя глагола, как в только что приведенных североамериканских языках...»[12]

В связь с недостаточной развитостью показателя 3-го лица в активных языках может быть поставлено и то, что некоторые картвельские интранзитивные глаголы типичной стативной семантики обнаруживают исторически безличную структуру (ср. др.-груз. ax-s<*ax 'близко находится', çit-s<*çit 'краснеет' и др.), что опять-таки дает отклонение от морфологической структуры интранзитивного глагола в эргативных языках.

В картвелистике справедливо признается связь форманта пассивного залога i- с материально идентичным ему показателем субъектной версии глагола. В свете излагаемой гипотезы напрашивается выведение обеих морфем из единого источника — из показателя исторической нецентробежной версии активного глагола, что составило бы яркую типологическую параллель развитию в индоевропейском. К этому же общему знаменателю легко сводится и префикс i-, выступающий в картвельских интранзитивных глаголах типа груз. i-rbina 'он бегал', i-ṭira 'он плакал', i-cura 'он плыл' и т. п. С другой стороны, естественно предположение, что второй картвельский версионный показатель a-, аналогичным образом функционирующий как в транзитивном, так и интранзитивном глаголе (ср. груз. a-ḳetebs 'он делает (то)' при a-dgas 'он стоит (на том)' и т. п.), исторически восходит к былому показателю центробежной версии активного глагола.

Общепринятое в картвелистике положение о позднем становлении в картвельских языках категории времени на базе преобразования более древних аспектных противопоставлений также лучше всего согласуется с гипотезой об их активном прошлом (если в эргативных языках темпоральные характеристики в глаголе в этом, по-видимому, преобладают над аспектуальными, то в активных наблюдается обратная картина).

---

[12] С. Л. Быховская, К вопросу о происхождении склонения. Известия АН СССР. VII сер. Отделение гуманитарных наук № 4 (1930), с. 289—290.

Один из способов действия—пермансив, передающий длительность протекания действия, отчетливо засвидетельствован еще в древнегрузинском. «Вневременный характер пермансива и функциональное сродство его с настоящим временем отмечено в специальный литературе (А. Шанидзе, Г. Деетерс). Формирование категорий времени в спряжении, естественно, должно было повлечь за собой ослабление позиций пермансива (его уже нет в новогрузинском литературном языке так же, как и в большинстве грузинских диалектов), но процесс вытеснения категории аспекта категорией времени и поныне нельзя считать законченным...»[13]. В свете этого положения возникает возможность истолковать в картвельских языках и некоторые тематические и иные глагольные суффиксы (ср. сванск. li-b-em 'связывать', li-g-em 'ставить', lī-kw-isg 'говорить', li-d-ēsg 'класть' и др.) как наследие наличествовавшего разнообразия показателей способа действия.

С нарисованной картиной хорошо согласуются и факты картвельской именной морфологии. Один из наиболее ярких из них — то, что так наз. «повествовательный» падеж еще и поныне функционально совпадает с активным падежом языков активной типологии. Как явствует уже из приведенных на с. 137—138 примеров, это падеж подлежащего не только при транзитивных, но и при очень большом числе интранзитивных, обозначающих активное действие. Представляется поэтому небезосновательной недавно высказанная А. Г. Шанидзе мысль квалифицировать его в качестве «действовательного» (груз. mokmedebiti)[14].

Интересна статистическая характеристика употребления этого падежа: еще в современных языках (возможно, кроме мегрельского) он в огромном большинстве случаев оформляет «одушевленное» подлежащее независимо от транзитивности ~ интранзитивности связанного с ним глагола-сказуемого. Так, в лазских текстах Г. А. Картозиа на примерно 2925 случаев оформления падежом на -k «одушевленных»

---

[13] А. С. Чикобава, указ. соч., с. 145.

[14] См. А. Г. Шанидзе, Основы грузинской грамматики. I. Морфология (изд. 2-ое). Тб., 1973, с. 46.

подлежащих имеется всего лишь 37 случаев оформления им «неодушевленных». Аналогичные подсчеты дают в «Лазских сказках» Ж. Дюмезиля цифры 528 : 1, в его же «Лазских рассказах» — 929 : 20. В опубликованных С. М. Жгенти лазских текстах имеем соответственно соотношение 2175 : 24, а в текстах, изданных А. С. Чикобава в 1929 г. — 1649 : 50[15]. Следует заметить к тому же, что в примерах употребления этого аффикса в словоформах неодушевленных имен отчетлива персонифицирующая метафоризация, характерная уже для представителей номинативного строя. Напротив, попытка соотнесения картвельского «повествовательного падежа» подлежащего с наличием в предложении транзитивного глагола наталкивается на совершенно непреодолимые трудности (в частности, его не допускает сказуемое, выраженное страдательной формой транзитивного глагола). Поэтому и количественное соотношение случаев употребления, например, в том же лазском подлежащего на -k с транзитивными и интранзитивными глаголами-сказуемыми оказывается мало выразительным.

Предположение об исторически активной, а не эргативной функции картвельского narrativ'a более удовлетворительным образом объясняет и хорошо известный факт распространения окончания -k на любое подлежащее в построениях с аористными формами глагола-сказуемого в мегрельском. Если бы он являлся приметой эргатива, то вследствие своей значительно более низкой по сравнению с флексией активного падежа встречаемости, особенно падающей в условиях характерного для картвельских языков процесса номинативизации языковой структуры, он имел бы для подобного обобщения весьма невысокие шансы.

Характерному для представителей активного строя не-

---

[15] См. Г. А. Картозиа, Лазские тексты. Тбилиси, 1972; G. Dumézil. Contes Lazes. Travaux et Mémoires de l'Institut d'Ethnologie. XXVII. Paris, 1937; Он же. Récits Lazes (Dialecte d'Arhavi). Documents Anatoliens sur les langues et les traditions du Caucase. IV. Paris, 1967; С. М. Жгенти. Чанские тексты (архавский диалект). Тбилиси, 1938; А. С. Чикобава. Чанские тексты. I. Хопский диалект. Тбилиси, 1929.

различению глагольных личных показателей прямого и косвенного дополнений в имени здесь соответствует наличие единого для обоих падежного окончания -s (в построениях с глаголом в форме презенсных времен).

С точки зрения определения направленности типологической перестройки структуры картвельских языков очень показательно постепенное преодоление в них скрытой, т. е. немаркированной какими-либо классными показателями, оппозиции активных (одушевленных) и инактивных (неодушевленных) имен, часто неадекватно интерпретирующейся в качестве противопоставления «категории» человека и вещи. Этот процесс очевиден, если учесть значительно большую роль, отводившуюся данной оппозиции еще в древнегрузинском состоянии. Так, для обозначения исходного пункта действия в последнем использовались в зависимости от одушевленности ~ неодушевленности две разных падежных формы: ср. cxen-is-gan gardaiçra 'упал с лошади' при zec-it gardmowarda 'упал с неба'. По-разному передавалось в нем в этом плане направительное (ср. miwida misa 'пришел к нему' при miwida saxl-ad 'пришел домой') и другие отношения. Заслуживает внимания и догадка Н. Я. Марра о том, что два именных аффикса множественности -n и -eb в древнегрузинском первоначально должны были соотноситься соответственно с «существами» активного и пассивного классов[16]. Вместе с тем, складывается впечатление, что в древнегрузинских текстах интранзитивные глаголы (медиоактивные), обусловливающие постановку подлежащего в «повествовательном» падеже (ср. mat daidumnes 'они молчали', man iwno 'он пострадал' и т. п.) занимали большее место, чем в современном языке.

Отмеченная выше совокупность черт дономинативного состояния образует в картвельских языках некоторую целостную систему, основанную на различении активного и инактивного начал, часто приближающемся к оппозиции

---

[16] См. N. Marr, M. Briere, La langue géorgienne, Paris, 1931, с. 60—61; К. Д. Дондуа. О двух суффиксах множественности в грузинском. «Язык и мышление», I (1933); С. Л. Быховская. Показатели множественности как классовые показатели в грузинском и баскском языках. Сб. «Академия наук академику Н. Я. Марру». Л., 1936, с. 179 и след.

одушевленного и неодушевленного, и скорее всего соотносится со структурой активного строя. Напротив, в них не видно явлений, которые могли бы сколько-нибудь однозначным образом мотивироваться системой эргативной типологии. Очень широкая представленность здесь пережитков импликаций и фреквенталий активности даже на лексическом уровне позволяет думать, что эти факты демонстрируют процесс преобразования активной типологии непосредственно в номинативную (несколько раньше автору представлялось, что структурная перестройка этих языков была опосредована скоротечной фазой эргативности[17].

Если высказанные здесь соображения адекватны, то они создают возможность провести еще одну глубокую типологическую аналогию между общекартвельским и общеиндоевропейским древнейшего периода, характеризующую и наиболее общие тенденции их последующей структурной эволюции[18] (принципиально отличный путь развития имеет место, по-видимому, в автохтонных языках Северного Кавказа, иллюстрирующих эргативное состояние). Не будет, очевидно, преувеличением сказать, что в плане контенсивной типологии основное различие современных картвельских и индоевропейских языков сводится к различной степени реализации единого процесса номинативизации исторически активного строя (промежуточная позиция картвельской языковой структуры между абхазско-адыгской и нахско-дагестанской может быть усмотрена только в плане формальной типологии, точнее — характерологии).

---

[17] См. Г. А. Климов, Очерк общей теории эргативности, М., 1973, с. 247—248.

[18] Впервые интересный типологический параллелизм общекартвельского и общеиндоевропейского был вскрыт на уровне фонологии и морфонологии в монографии Т. В. Гамкрелидзе и Г. В. Мачавариани, Система сонантов и аблаут в картвельских языках. Типология общекартвельской структуры. Тбилиси, 1965 (на груз. яз.); была установлена аналогия в структуре картвельского и индоевропейского стиха: см. Г. В. Церетели. Метр и рифма в поэме Руставели «Витязь в барсовой шкуре». Тбилиси, 1973, с. 52—54 (на груз. яз.).

საენათმეცნიერო კრებული—Лингвистический сборник
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—АН Грузинский ССР

1979

ა. ლეკიაშვილი

წმინდა გიორგის ქართული კულტის საკითხისათვის

წმინდა გიორგის ქართული ხალხური კულტის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ამ წმინდანთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახელებსა თუ ზედწოდებებს. მათი წარმომავლობისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევა უთუოდ შუქს მოჰფენს წმინდა გიორგის კულტის რაობასა და გენეზისს.

ქვემოთ შევჩერდებით დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ზოგ ტერმინზე.

წმ. გიორგის სვანური სახელწოდების — ჯგგრა̄გ-ის ეტიმოლოგიის საკითხი კარგა ხანია მკვლევართა ყურადღებას იქცევს. მისი გარკვევა ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცადა ნ. მარმა. მან გენეტიკურად საერთო არაფერი დაინახა ჯგგრა̄გსა და სახელწოდება გიორგის შორის. იგი სვანურ სახელში რომელიღაც წარმართული ღვთაების სახელის კვალს ეძიებდა და ამის შესაბამისად ჯგგრა̄გში სიტყვა მუხა (წმინდა მუხა) ამოიკითხა. მარის მიხედვით, სვანური ჯგგრა̄გ იშლება ასე: ჯ გ გ („მუხა“) და რ ა̄ გ — სვანურ-ადიღეური მრავლობითი რიცხვის ნიშანი, სუფიქსი. ამავე დროს მან სვ. ჯგგრა̄გი დაუკავშირა მეგრულ ჯგერაგუნას, მეფუტკრეობის მფარველის სახელს[1]. მარისეული ეტიმოლოგია ჯგგრა̄გისა მოკლებულია დამაჯერებლობას. ამ სიტყვაში მის მიერ გამოყოფილი ძირი — ჯგგ (მუხა) არ დასტურდება ქართველურ ენებში და არც მისი რეკონსტრუქციის რაიმე რეალური საფუძველი ჩანს. მაგრამ მარის ცდაში ძალზე ფასეულია სვანური სახელის დაკავშირება მეგრულ ჯგერაგუნასთან. შეიძლება

[1] Н. Марр, О религиозных верованиях абхазов; ХВ, IV, 1915, с. 136, 139.

ითქვას, რომ ამით მან სწორად მიაგნო გარკვეულ პარალელს, რომლის ჯეროვანი ანალიზი მოგვცემს ჯგჷრა̄გის ეტიმოლოგიის გასაღებს.

ჯგჷრა̄გის ეტიმოლოგიის ამოხსნა სცადა ვ. აბაევმაც. მან იგი მეგრულიდან შეთვისებულ სიტყვად მიიჩნია. მისთვის ამოსავალია მეგრული ჯ გ ჷ რ ა („კარგი", „კეთილი") და გ ე გ ე — („გიორგი"), რომელსაც მოკვეცილი აქვს ბოლო ნაწილი ე გ ე. ამ მოკვეცით აიხსნება ჯგჷრა̄გში ა ხმოვნის სიგრძეც: იგი წარმოადგენს კომპენსაციას ორი მომდევნო ხმოვნის დაკარგვისათვის. ამრიგად, სვანური სახელწოდების თავდაპირველი მნიშვნელობაა „კეთილი გიორგი"[2].

ვ. აბაევის ეტიმოლოგიის კრიტიკული შეფასება მოცემული აქვს აკად. ა. შანიძეს ამავე საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში. იგი წერს: „ვ. აბაევის ახსნა ჯ გ ჷ რ ა̄ გ სიტყვისა ერთი შეხედვით საკითხს მართებულად წყვეტს, მაგრამ ორი რამ არის დამაფიქრებელი: მეგრულში ჯ გ ი რ ა კი არ არის, არამედ ჯ გ ი რ ი. ამას გარდა, ხმოვნის მოკვეცის შედეგად სვანურში წინა ხმოვანი არ გრძელდება... მაგრამ იმისი ვარაუდი, რომ სვანური ჯგჷრაგ კომპოზიტია და რომ მის პირველ ნაწილად ჯგირი უნდა ვიგულისხმოთ, სინამდვილეს შეეფერება"[3].

თავის მხრივ, ა. შანიძე გვთავაზობს რამდენადმე განსხვავებულ ეტიმოლოგიას: მისთვის ამ სახელის პირველ ნაწილს შეადგენს ჯ გ ი რ ი, რომლის თავდაპირველ მნიშვნელობას მართებულად აღადგენს: „ჯ გ ი რ ფუძე ამჟამად მეგრულში „კარგს, კეთილს" ნიშნავს, მაგრამ ძველად მას „წმინდის" მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა". საკვლევი სახელწოდების მეორე ნაწილში „რაღაც მოხეური გივარგი-სებრი ფორმა" არის საგულვებელი. მკვლევრის საბოლოო დასკვნით, „საფიქრებელია, რომ ჯ გ ჷ რ ა გ ი-ს მისაღებად გამოსავალია ჯგირ(ი) გივარგი („წმ. გიორგი"), სადაც შეკვეცილია გ ი ვ მარცვალი და დარჩენილ ჯგირარგი-ში მეორე რ ჩავარდნილია და სამაგიეროდ ხმოვანი დაუგრძელებია: ჯ გ ი რ გ ი ვ ა რ გ ი — ჯ გ ი რ ა რ გ ი — ჯ გ ი რ ა გ ი — ჯ გ ჷ რ ა გ ი — ჯ გ ჷ რ ა გ"[4].

---

[2] В. И. Абаев, Происхождение древнерусского х о р с и сванского ǯgərāg «Св. Георгий», Осетинский язык и фольклор, М.-Л., 1949, с. 595-596.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, სვანური კულტის ტერმინი ჯგჷრა̄გ, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 2, გვ. 115—116.

[4] იქვე, გვ. 118.

აქ წარმოდგენილი ეტიმოლოგიის სისწორე ეჭვს იწვევს თუნდაც იმის გამო, რომ ამოსავალი ფორმა გ ი ვ ა რ გ ი ძალზე ლოკალური დიალექტური ფორმაა, რომელიც უცხოა ძველი ქართულისათვის. გარდა ამისა, გივარგისაგან აგ-ის მიღების აქ მითითებული ფონეტიკური ცვლილებების პროცესი ერთობ რთული, ხელოვნური და არარეალური გვეჩვენება.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ა. შანიძეს უყურადღებოდ არ დარჩენია ნ. მარის მიერ მითითებული კავშირი სვანურ ჯგგრაგ-სა და მეგრულ ჯგერაგუნას შორის. ოღონდ მას რატომღაც ეს სახელწოდება მიაჩნია წმ. გიორგის დღესასწაულის აღმნიშვნელად და მისგან გამოჰყავს საკუთრივ წმინდანის სახელი ჯ გ ე რ ა გ ე[5].

მაგრამ, როგორც ახალი ეთნოგრაფიული მონაცემებიც აშკარად ცხადყოფს, მეგრული ჯ გ ე რ ა გ უ ნ ა თვით წმინდანის აღმნიშვნელი სახელია და სწორედ მასშია საძებნი სვანური ჯგგრაგის ეტიმოლოგიის გასაღებიც.

ქართული ხალხური მეფუტკრეობის კულტურა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები საგანგებოდ შეისწავლა პროფ. ალ. რობაქიძემ[6]. მის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემებითაც მეფუტკრეობის მფარველად სამეგრელოში ჯგერაგუნა წარმოგვიდგება. მეგრელი მეფუტკრეები მას შესთხოვენ ფუტკრის მომრავლებას, მოშენებასა და ბარაქას. საამისოდ განკუთვნილი სალოცავი დღე „სკაში ხვამა“ მოდის ამაღლებაზე. ამ დღეს გარკვეული რიტუალი სრულდება ჯგერაგუნას სახელზე, რომელსაც მიმართავენ საგანგებო ლოცვა-ვედრებით:

„ჯგერაგუნა დიდებულო, გამიმრავლე ფუტკარი“ ან „დიდებულო ჯგერაგუნა, შემისრულე დანაპირი“, ანდა „ჯგერაგუნა დიდებულო, ჩემი ფუტკარი ერთი ასად გამიმრავლე“. საუკეთესო სკა მიჩნეულია ჯგერაგუნას კუთვნილებად: „ეს ჯგერაგუნას ფუტკარი არისო“. მთხრობელთა განმარტებით, „ჯგერაგუნა სკის ღმერთი იყო“. ამასთან ჯგერაგუნა „ნიშნავს დიდ ხვავიან მოსავალს“[7].

მეფუტკრეობის ამ მფარველის კონკრეტული ვინაობის თვალ-

---

[5] ა. შ ა ნ ი ძ ე, სვანური კულტის ტერმინი ჯგგრაგ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 2, გვ. 112.

[6] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მეფუტკრეობის წარმოშობა და მისი ადგილი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში, თბ., 1955, ხელნაწერი (სადოქტორო დისერტაცია); მისივე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960.

[7] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. დისერტაცია, გვ. 242—246.

საზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ს. კურცხელში ჩაწერილი ლოცვის ტექსტი:

„ჯგეგე — ჯგერაგუნა! ჩემი ფუტკარი გაამრავლე, დაილოცოს შენი სახელი“[8]. აქ, როგორც ვხედავთ, მეფუტკრეობის მფარველის ჩვეულ სახელს წინ უძღვის „ჯგეგე“: მაგრამ, ჯგეგე ხომ მეგრულად გიორგის აღნიშნავს. მაშასადამე, აქ ჩვენ გვაქვს მეფუტკრეობის მფარველის სრული სახელი: გიორგი ჯგერაგუნა! ეს კი სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა წმ. გიორგი, რომელსაც სამეგრელოში მოიხსენიებენ ეპითეტით — ჯგერაგუნა. მეფუტკრეობის მფარველის ამ სახელწოდების ქვეშ რომ აღნიშნული წმინდანი იგულისხმება, ამას სათანადო პარალელური მონაცემებიც ადასტურებს. როგორც ალ. რობაქიძემ დაადგინა, თითქმის მთელ საქართველოში მეფუტკრეობის მფარველად უმთავრესად სწორედ წმინდა გიორგი გვევლინება[9].

წმინდა გიორგის მეგრული ეპითეტი ჯგერაგუნა შედგენილი სიტყვაა. მის დასაწყისში გამოიყოფა მეგრული სიტყვა ჯ გ ი რ ი, ჯ გ გ რ ი, რომელიც ამჟამად აღნიშნავს „კარგს, კეთილს“, ხოლო ადრე აგრეთვე „წმინდასაც“ აღნიშნავდა, როგორც ეს არაერთ მკვლევარს აქვს მითითებული[10]. მაშასადამე, მეგრული ჯ გ ე რ ა გ უ ნ ა იგივეა, რაც წმინდა აგუნა. მაგრამ ეს ერთადერთი მაგალითი როდია, როცა ქრისტიანული წმინდანის სახელს წინ უძღვის ეპითეტი ჯ გ ი რ ი. ჩვენ ვიცით მეორე მაგალითიც, ესაა ჯგირ ივანე, ამ სახელითაა ცნობილი სამეგრელოში იოანე მახარობელი[11]. საგულისხმოა, რომ სვანურში მას შეესატყვისება ჯ გ ი რ ვ ა ნ-ი, შესაბამისად მისი დღეობის სახელწოდებაა ჯგირვანაშ „ჯგირვან“-ისა[12]. როგორც ჩვენ დავადგინეთ, მეგრულ ჯგგრაგუნას ზუსტი შესატყვისი მოეპოვება გურული „წმინდა აგუნას“ სახით, რომელიც აქ ბარაქიანი მოსავლიანობისა და კეთილდღეობის მფარველად გვევლინება. ენათმეცნიერის დ. იმნაიშვილის ცნობით, მაგ., არყის ხდის დროს არყის ბლომად გამოსვლის შემთხვევაში ჩვეულებრივ ასე იტყვიან: „წმინდა აგუნა ხომ

---

[8] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. დისერტაცია, გვ. 245.

[9] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, გვ. 174—198.

[10] ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 116; თ. ს ა ხ ო კ ი ა, წმ. გიორგის კულტი და ღვთის სამართალი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 63, სქოლიო.

[11] „ჯგირ ივანე იყო მახარობელი“. მთხრობელი: ნოე გრიგოლის ძე სალაყაია, 65 წლის, ს. ბათარაია. მასალა ჩაიწერა ეთნოგრაფმა მ. შილაკაძემ.

[12] ს. კ ვ ი ც ი ა ნ ი, სვანური დღეობა ჯგირვანაშ, ძეგლის მეგობარი, 34.

არ შეგვეწიაო“. იგივე დაგვიდასტურა პროფ. პროკლე კეკელიძემ. მისი სიტყვით, ძველად არყის გამოხდაზე ან ღომის ცეხვაზე სცოდნიათ დალოცვა: „შეგეწიოს წმინდა აგუნა!“. გარდა ამისა, ახალ წელს სცოდნიათ ლოცვა წმინდა აგუნას სახელზე: „წმინდა აგუნა, გვაშორე ჭირი, გვიმრავლე საქონელი, დაამყარე კაცთა მშვიდობა...“

ამრიგად, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ სვანური ჯგჷრäგ-ის ამოსავალი ფორმაა მეგრული ჯ გ გ რ ა გ უ ნ ა, რომლის ზუსტი შესატყვისია გურული „წ მ ი ნ დ ა ა გ უ ნ ა“ და გასარკვევი ისღაა, თუ რას ნიშნავს სიტყვა ა გ უ ნ ა.

ამ თვალსაზრისით ძალზე საგულისხმოა სამეგრელოში აქა-იქ შემორჩენილი წარმოდგენა ჯგგრაგუნაზე, როგორც „ახოვან და გამორჩეულ ვაჟკაცზე“[13]. ზოგან ჯგგრაგუნა ამგვარი მამაკაცის მეტსახელადაც იხმარება[14].

აქედან ბუნებრივია, რომ სიტყვა აგუნაში შესაბამისი შინაარსის ზედწოდება ვეძიოთ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მეგრული ხალხური რწმენა-წარმოდგენებით, წმინდა გიორგი ამგვარი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა. სახოკიას სიტყვით, „მეგრელები ამ წმინდანს წარმოგვიდგენენ, როგორც ფიზიკურად მშვენიერსა და ღონიერ ვაჟკაცს, თავისსავე, ლამაზსა და ღონიერ, თეთრ რაშზე მჯდომარეს და საგმირო საქმეთა მოქმედს... ბრძოლაში წმ. გიორგი სულ მუდამ თავში სდგომია მეგრელთა ჯარს... ახლა მისი ჯირითი და ჭიდაობა ბრძანეთ!.. თურმე ყველას ჰშურდა წმ. გიორგის ვაჟკაცობა, ყველა იმას შეჰნატროდა“[15].

კითხვა ისმის, დასტურდება თუ არა მეგრულსა და გურულში სიტყვა ა გ უ ნ ა ცალკე, ამ კომპოზიტის გარეშე. მეგრულში ჩვენ ეს სიტყვა ცალკე ვერ დავადასტურეთ. სამაგიეროდ, გურულ დიალექტში და აგრეთვე სამტრედიის რაიონის ზოგი სოფლის მკვიდრთა მეტყველებაში სიტყვა ა გ უ ნ ა საკმაოდ გავრცელებულია და მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად: ა. ძლიერი, აზრიალებული (ცეცხლის ეპითეტად: „აგუნა ცეცხლი“). ბ. მოუსვენარი, გალიზიანებული, აგზნებული (იხმარება როგორც ადამიანის, ისე საქონლის მიმართ). გ. ძლიერი, ღონიერი, ათლეტური (სამტრედიის სო-

---

[13] ცნობა მოგვაწოდა თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა ნ. აჭოლავამ. იგივე დაგვიდასტურა ეთნოგრაფმა ი. სურგულაძემ.

[14] ცნობა მოგვაწოდა ენათმეცნიერმა ლეონ ღვინჯილიამ.

[15] თ. ს ა ხ ო კ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

ფელ მელაურში და გურიაში ზოგან ფიზიკურად ძლიერ მამაკაცზე იტყვიან: „აგუნა კაციაო“)[16].

ჩვენი აზრით, სიტყვა აგუნას მოტანილი მნიშვნელობები სემანტიკურად უკავშირდება საკვლევი ტერმინის ჯ გ გ რ ა გ უ ნ ა ს — წმინდა აგუნას ძირითად შინაარსს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენ მიერ მოტანილი ბოლო მნიშვნელობა: ძლიერი, ღონიერი, ათლეტური, რაც შეესაბამება მეგრული ჯ გ გ რ ა გ უ ნ ა ს ძირითად გაგებას: ახოვანი, გამორჩეული ვაჟკაცი.

როგორც ცნობილია, ხმოვნით დაწყებული სიტყვები ქართულში მეტწილად ნასესხებია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აგუნა მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ბერძნული წარმოშობისაა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ბერძნულმა სიტყვამ ἀγών და მისგან წარმოებულმა სხვა სიტყვებმა:

ἀγών ბრძოლა, ასპარეზობა, მოღვაწეობა.

ἀγωνιστής მებრძოლი, ათლეტი, მოასპარეზე, მოღვაწე.

ἀγωνία ბრძოლა, შეურვება, ძრწოლა, მოუსვენრობა, გაღიზიანება...[17].

როგორც ვხედავთ, მოტანილი ბერძნული სიტყვების ძირითადი მნიშვნელობები ემთხვევა ა გ უ ნ ა ს ზემოდადასტურებულ ქართულ მნიშვნელობებს, რაც შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. ამდენად, ჩვენი ვარაუდი ა გ უ ნ ა ს ბერძნული წარმოშობის შესახებ არც თუ უსაფუძვლოა, მით უმეტეს, რომ მას მხარს უჭერს ამ სიტყვების ფონეტიკური მსგავსება. ქართული სიტყვა ბერძნულისგან განსხვავდება მხოლოდ ხმოვნით ო ← უ, მაგრამ, როგორც ცნობილია, ასეთი გადასვლა არც თუ იშვიათია თვით ბერძნულშიც.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯგგრაგუნა — წმინდა აგუნა აღნიშნავს წმინდა მებრძოლს, წმინდა მოღვაწეს, რაც წმინდა გიორგის ერთ-ერთი ძირითადი ზედწოდებაა.

აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ბერძნული სიტყვა ἀγών ძველთაგან სომხურ ენასაც შეუთვისებია. ამავე სიტყვისაგანაა ნაწარმოები სომხური *ագոն* ბრძოლა და *ագոնարար* მებრძოლი, მოასპარეზე[18].

---

[16] ცნობა მოგვაწოდეს ისტორიკოსმა დ. ვოგოლაძემ და ხელოვნებათმცოდნემ მ. ახობაძემ.

[17] გეორგიკა, VII, თბილისი, 1967.

[18] ჰრ. ა ჭ ა რ ი ა ნ ი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, ერევანი, 1973 წ. (სომხურ ენაზე).

დაბოლოს უნდა ითქვას, რომ სვანური ჯ გ ჷ რ ā გ მომდინარეობს მეგრული ჯ გ ჷ რ ა გ უ ნ ა-დან ბოლო „უნა“-ს მოკვეცით, რაზედაც უნდა მიუთითებდეს სვანური სიტყვის ბოლო ხმოვნის მაკომპენსირებელი სიგრძე.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში ადრიდანვე განსაკუთრებით დიდი იყო ბიზანტიური საეკლესიო მსახურების გავლენა. აქ ძველთაგანვე ფეხი მოიკიდა ბერძნულ-ბიზანტიურმა რელიგიურმა ტერმინოლოგიამ, რომლის კერძო შემთხვევას შეიძლება წარმოადგენდეს წმინდა გიორგის ზედწოდება ა გ უ ნ ა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ქართულში დადასტურებულ სიტყვა აგუნას სხვა მნიშვნელობებსაც, არ არის გამორიცხული მისი უშუალო, ბუნებრივი სესხება ბერძნულიდან რელიგიური რიტუალის გარეშეც.

А. С. ЛЕКИАШВИЛИ

К ВОПРОСУ О КУЛЬТЕ СВЯТОГО ГЕОРГИЯ В ГРУЗИИ

Резюме

Есть все основания утверждать, что сванское слово ǯgərāg («Святой Георгий») восходит к мегрельскому ǯgəraguna, что находит точное соответствие в гурийском диалекте грузинского языка: c̣minda aguna («Святой Агуна»). Такое понимание термина aguna подтверждается и другими этнографическими данными.

Термин aguna в значении подвижник, борец, атлет и т. д. можно увязать с греческим ἀγών борьба, состязание и т. д. и производными от него словами, напр., ἀγωνιστής борец, подвижник. Груз. aguna греч. ἀγών—совпадают как по значению, так и по форме. Симптоматично то обстоятельство, что aguna встречается только в западногрузинских диалектах, занском и сванском. Исходя из вышеизложенного, наименование Святого Георгия—Святой Агуна (груз. c̣minda aguna, мегр. ǯgəraguna, сван. ǯgərāg) можно интерпретировать как «Святой подвижник». Как известно, «подвижник» является одним из главных эпитетов Святого Георгия.

საენათმეცნიერო კრებული—Лингвистический сборник
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—АН Грузинской ССР

1979

ა. ონიანი

მესამე სუბიექტური პირის მორფემა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, როგორც ცნობილია, III სუბიექტური პირის[1] მორფემა, I და II სუბიექტურ პირთა მორფემებისაგან განსხვავებით, მხოლოობითსა და მრავლობითში სხვადასხვა ალომორფებით არის წარმოდგენილი, ეს ალომორფები, ამდენად, სათანადო რიცხვსაც გამოხატავენ[2].

მესამე სუბიექტური პირისა და მისი მხოლოობითი რიცხვის აღმნიშვნელად დასტურდება სამი ალომორფი — /-ს/, /-ა/ და /-ო/, რომელთა განაწილება საკმაოდ რთულ სურათს იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ განაწილების შესახებ ზოგი არსებითი მომენტი ცნობილია[3], მისი სისტემატური და ასე თუ ისე ამომწურავი დახასიათება არ გაგვაჩნია. შევეცდებით წარმოვადგინოთ ამ ალომორფთა დისტრიბუციის შეძლებისდაგვარად სრული სურათი.

---

1 ტერმინს „სუბიექტური პირი" აქ პირობით ვხმარობთ, ამ საკითხის შესახებ სპეციალურად სხვაგან გვექნება მსჯელობა.

2 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 177—178; ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 053; გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ა ნ სუფიქსისათვის ქართულში, იკე, XVI, 1968, გვ. 74—75; ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, 1969, გვ. 214—215, 219; ბ. ფოჩხუა, მრავლობითის ნარიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 54—58.

3 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 177—179, 423—441; H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, Oslo, 1971, გვ. 82, 91—92.

აღნიშნული ალომორფები, არსებითად, მწკრივთა მიხედვით ნაწილდებიან[4]—ყოველ მწკრივში თითო ალომორფია წარმოდგენილი, გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ აწმყო, მყოფადი და წყვეტილი, თითოეულ მათგანში ორ-ორი ალომორფია წარმოდგენილი. ამდენად, S_3 მორფემის ალომორფთა განაწილების შესახებ დამატებითი წესების შემოტანა მხოლოდ ამ მწკრივებშია საჭირო.

/-ს/ **ალომორფი** შემდეგ შემთხვევებში დასტურდება:

1. ის ერთადერთია კავშირებითის მწკრივებში[5]: ხატავდე-ს, შენდებოდე-ს, დახატავდე-ს, აშენდებოდე-ს, დახატო-ს, აშენდე-ს, დაეხატო-ს, აშენებულიყო-ს და ა. შ.

2. /-ს/ ალომორფი, კავშირებითის გარდა, დასტურდება მხოლოდ აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში[6], მაგრამ აქ ის არ არის ერთადერთი, გვხდება აგრეთვე /-ა/ ალომორფი. ხერხდება მათი განაწილების შემდეგი წესების დადგენა:

ა) აღნიშნულ მწკრივებში S_3 ყოველთვის /-ს/ ალომორფით აღინიშნება ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებთან: წერ-ს, აკეთებ-ს, დაწერ-ს, გააკეთებ-ს, დუღ-ს, იდუღებ-ს, ტირი-ს, იტირებ-ს და ა. შ. მაშასადამე, /-ს/ ალომორფის გამოვლენისათვის საკმარისია ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი ზმნის აწმყოს ან მყოფადის ფორმა, რაიმე დამატებითი პირობა საჭირო არ არის. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეს წესი უგამონაკლისოა.

ბ) აწმყოს მწკრივში მესამე სუბიექტური პირის მორფემის /-ს/ ალომორფი დასტურდება ზოგ ბრუნვაუცვლელსუბიექტიან ზმნასთანაც. ასეთი ვითარება გვაქვს სამ შემთხვევაში: 1) თუ ზმნის ფორმაში წარმოდგენილია /-ავ/ თემის ნიშანი, მაშინ /-ს/ დასტურდება არა მარტო ბრუნვაცვალებადსუბიექტიან, არამედ — ბრუნვაუცვლელსუბიექტიან ზმნებთანაც, მაგ., ახურავ-ს, აკრავ-ს, უჭირავ-ს, ნებავ-ს და სხვა. ამრიგად, /-ავ/ თემის ნიშნის შემ-

---

[4] ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, 1968, გვ. 163.

[5] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 425, 433 და სხვა; ა. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 14.

[6] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 423; Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, М.-Л., 1940, გვ. 90.

ცვალ ფორმათა აწმყოში S_3 მორფემა ყოველთვის /-ს/ ალომორფით არის წარმოდგენილი. 2) თუ მესამე სუბიექტური პირის ნიშანს უშუალოდ უძღვის წინ /ი/ (ფუძისეული ან პრეფიქსული), მაშინ გარდა ვნებითი გვარის სტატიკური ზმნებისა, მესამე სუბიექტური პირი ბრუნვაუცვლელსუბიექტიან ზმნებთანაც /-ს/ ალომორფით აღინიშნება, მაგ., იწვი-ს, ეწვი-ს, ისმი-ს, ესმი-ს, იძვრი-ს, ეკვრი-ს, ზი-ს, არი-ს, შვენი-ს და სხვა (შდრ. სტატიკური ვნებითის ფორმები: ყრი-ა, აგდი-ა, აფენი-ა, აბადი-ა და სხვა). 3) /-ს/ ალომორფი დასტურდება აგრეთვე მედიოპასიურ ზმნებში: დევ-ს, წევ-ს, დგა-ს, სძაგ-ს, ახსოვ-ს, შურ-ს და სხვა[7].

ბრუნვაუცვლელსუბიექტიან ზმნათა აწმყოსა და მყოფადში ყველა სხვა შემთხვევაში /-ა/ ალომორფია წარმოდგენილი.

აღნიშნულ შემთხვევათა გარდა, მესამე სუბიექტური პირის მორფემის /-ს/ ალომორფი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არ დასტურდება.

/-ო/ და /-ა/ ალომორფთა განაწილება. ა. შანიძე წერს: „...არის ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც მხოლობითში **ა**-ს ნაცვლად **ო** მოუდის. ამ ზმნების ფუძე უმეტესად უმარცვლოა და შედგება ერთი, ორი ან სამი თანხმოვნისაგან“[8]. ამის გათვალისწინებით თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის შეიძლება ჩამოვაყალიბოთ უგამონაკლისო წესი: /-ო/ დასტურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზმნის ძირეული მორფემა მესამე პირის ფორმაში ნულოვანი გახმოვანებით (ე. ი. უხმოვნოდ) არის წარმოდგენილი (ასეთი ვითარება მხოლოდ წყვეტილშია შესაძლებელი, ამიტომაა, რომ /-ო/ ალომორფი მხოლოდ ამ მწკრივში დასტურდება); მიუხედავად ამისა, ეს წესი არ არის საკმარისი /-ო/-ს გამოვლენის დასადგენად, რადგანაც უხმოვნო ძირებთან გვხვდება არა მარტო /-ო/, არამედ — /-ა/-ც.

---

[7] ზოგ მედიოპასიურ ზმნასთან გვაქვს /-ა/ ალომორფი: უნდ-ა, სჯერ-ა, სწყური-ა. მედიოპასიურ ზმნებში /-ს/ და /-ა/ ალომორფთა განაწილება არც ფონოლოგიური პოზიციით იხსნება და არც ზმნის მორფოლოგიური თავისებურებით — ზოგი ზმნური მორფემა ერთ ალომორფთან შედის კომბინაციაში, ზოგი — მეორესთან. ამგვარ განაწილებასაც მორფოლოგიურად შეპირობებულ განაწილებას უწოდებენ (იხ. მაგ., Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, М., 1959, გვ. 104—105). ასეთ შემთხვევაში ანალიზის სისრულისათვის საჭიროდ მიიჩნევენ სათანადო ენობრივი მასალის სიის შედგენას (იხ., მაგ., Л. Блумфилд, Язык, М., 1968, გვ. 229—230).

[8] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 430.

ამდენად, დასადგენია S_3 /-ო/ და /-ა/ ალომორფთა განაწილების წესები ნულოვანი გახმოვანების მქონე ძირებთან წყვეტილში. ამასთან დაკავშირებით ხერხდება ერთი წესის დადგენა: /ვ/ ფონემის მომდევნო პოზიციაში არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება /-ო/, აქ ყოველთვის /-ა/ არის წარმოდგენილი: შვ-ა, გა-უ-შვ-ა, და-წვ-ა (მან ის) და სხვა.

ამის შემდეგ S_3 მორფემის /-ო/ და /-ა/ ალომორფთა განაწილების წესების დადგენა ჩვენ მოგვიხერხდა მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რომელი თემის ნიშნით არის წარმოდგენილი სათანადო ზმნა I სერიის ფორმებში.

/-ო/ ალომორფი დასტურდება შემდეგ შემთხვევებში:

1. უხმოვნო ძირის მქონე ისეთ ბრუნვაცვალებადსუბიექტიან (აქტიურ და მედიოაქტიურ) ზმნათა წყვეტილში, რომელთაც I სერიის ფორმებში აქვთ თემის ნიშნები /-ებ/, /-ობ/ ან /-ოფ/, და მათ კონვერსიულ პრეფიქსიან ვნებითში[9], მაგალითად:

აქტიური და მედიოაქტიური		პრეფიქსიანი ვნებითი	
აწმყო	წყვეტილი	აწმყო	წყვეტილი
ა-ნთ-ებ-ს	ა-ა-ნთ-ო	ი-ნთ-ებ-ა	ა-ი-ნთ-ო
უ-ნთ-ებ-ს	ა-უ-ნთ-ო	ე-ნთ-ებ-ა	ა-ე-ნთ-ო
ა-ვს-ებ-ს	გა-ა-ვს-ო	ი-ვს-ებ-ა	გა-ი-ვს-ო
ა-ღ-ებ-ს	გა-ა-ღ-ო	ი-ღ-ებ-ა	გა-ი-ღ-ო
ი-წყ-ებ-ს	და-ი-წყ-ო	ი-წყ-ებ-ა	და-ი-წყ-ო
ა-ქ-ებ-ს	ა-ქ-ო	ი-ქ-ებ-ა	ი-ქ-ო
ა-პ-ობ-ს	გა-ა-პ-ო	ი-პ-ობ-ა	გა-ი-პ-ო
სპ-ობ-ს	მო-სპ-ო	ი-სპ-ობ-ა	მო-ი-სპ-ო
უ-ხრჩ-ობ-ს	და-უ-ხრჩ-ო	ე-ხრჩ-ობ-ა	და-ე-ხრჩ-ო
ყ-ოფ-ს	გა-ყ-ო	ი-ყ-ოფ-ა	გა-ი-ყ-ო
ა-თბ-ობ-ს	გა-ა-თბ-ო	—	—
ძლ-ებ-ს	გა-ძლ-ო	—	—

2. /-ავ/ თემისნიშნიან ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნათა წყვეტილში და მათ კონვერსიულ პრეფიქსიან ვნებითში იმ შემთხვე-

[9] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 491.

ვაში, თუ ძირეული მორფემა სამივე პირის ფორმაში ნულოვანი გახმოვანებით არის წარმოდგენილი:

და-ვ-რგ-ე	მო-ვ-რთ-ე	მი-ვ-უ-ზღ-ე	მო-ვ-ი-რთ-ე
და-რგ-ე	მო-რთ-ე	მი-უ-ზღ-ე	მო-ი-რთ-ე
და-რგ-ო	მო-რთ-ო	მი-უ-ზღ-ო	მო-ი-რთ-ო

ამგვარ ზმნებთან /-ო/-ს ზოგჯერ თავისუფლად ენაცვლება /-ა/, მაგ., მო-რწყ-ო‖მო-რწყ-ა[10].

/-ო/ ალომორფი არც ერთ სხვა შემთხვევაში არ დასტურდება.

/-ა/ **ალომორფი.** ზემოთ ვაჩვენეთ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში III სუბიექტური პირის მორფემის /-ს/ და /-ო/ ალომორფთა გამოვლენის ყველა შემთხვევა, დანარჩენ შემთხვევებში უგამონაკლისოდ /-ა/ ალომორფია წარმოდგენილი. თვით უხმოვნო ძირის მქონე წყვეტილშიც კი ზოგჯერ რეგულარულად /-ა/ ალომორფი დასტურდება. ასეთია ვითარება შემდეგ შემთხვევებში:

1. /-ავ/ თემისნიშნიან ზმნებში, თუკი ძირეული მორფემა ნულოვანი გახმოვანებით მხოლოდ III პირის ფორმაშია წარმოდგენილი, მაგ., მო-კლ-ა, შე-კრ-ა, აღ-ძრ-ა (შდრ. მო-ვ-კალ-ი, მო-კალ-ი, შე-ვ-კარ-ი, აღ-ვ-ძარ-ი, აღ-ძარ-ი) და სხვა.

2. /-ამ/, /-ემ/, /-ი/ და /-ევ/ თემისნიშნიან ზმნებში ყოველთვის[11], მაგ., და-ა-ბ-ა, და-ა-დგ-ა, მო-ი-სხ-ა, შე-ქმნ-ა, გა-ჭრ-ა, მი-ს-ც-ა, გა-ი-ხ-ა, და-ი-მსხვრ-ა და სხვა.

როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, /-ს/ და, მეორე მხრივ, /-ა/ ალომორფთა განაწილება მორფოლოგიურად არის შეპირობებული. ამ განაწილების ფონოლოგიური კრიტერიუმებით ახსნა არ ხერხდება, რადგანაც არ არსებობს ფონოლოგიური გარემოცვა (resp. პოზიცია), სადაც დასაშვები იყოს მხოლოდ /-ა/ და აკრძალული იყოს /-ს/ ან პირიქით. ერთიცა და მეორეც დასაშვებია როგორც პოზიციაში C—#, ისე პოზიციაში V—#, მაგ.:

პ ო ზ ი ც ი ა C—#: იწყებ-ს, იღებ-ს, აიტან-ს, დაწერ-ს, შეჭამ-ს, სძაგ-ს, დუღ-ს — იწყებ-ა, იღებ-ა, აიტან-ა, დაწერ-ა, შეჭამ-ა, აძაგ-ა, იდუღ-ა და სხვა.

პ ო ზ ი ც ი ა V—#: შველი-ს, უძახი-ს, ჭრი-ს, იწვი-ს, სჯო-

---

10 ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 430.

11 ნულოვანი თემის ნიშნის მქონე ზმნებთან ძირეული მორფემა ყოველთვის ხმოვნიანად არის წარმოდგენილი, ამიტომ ამგვარ ზმნებში /-ო/ ალომორფი, ცხადია, არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება: და-წერ-ა, ჭამ-ა, გა-ტეხ-ა და სხვა.

ბნი-ს, არი-ს, მორთო-ს, მოკლა-ს — მოიშველი-ა, გაჩი-ა, დაანგრი-ა, გამოიწვი-ა, გახვი-ა, შეუბნი-ა, არი-ა, დაარღვი-ა, დაანგრი-ა, გააბრუ-ა, მოატყუ-ა, იცრუ-ა და სხვა.

თითქოს დასტურდება განსხვავებული ფონოლოგიური პოზიციები, რომელთაგან ერთში უფრო ხშირია /-ა/, მეორეში—/-ს/, მაგრამ ეს შეიძლება აიხსნას თვით ამ ალომორფების განსხვავებული უნარით ძირეულ მორფემაზე გავლენის მოხდენისა: /-ა/-ს, როგორც ხმოვან ფონემას, შეუძლია გამოიწვიოს ძირეული ხმოვნის სინკოპე ან აპოკოპე (ე. ი. კუმშვა ან კვეცა), /-ს/-ს კი — არა. ამდენად, თვით ეს ალომორფები აპირობებენ ძირეული მორფემის ნაირსახეობას და არა ძირეული მორფემის ფონოლოგიური აგებულება ამა თუ იმ ალომორფის (/-ს/-ს ან /-ა/-ს) გამოვლენას.

წყვეტილის მწკრივში /-ა/ და /-ო/ ალომორფთა განაწილებას მორფონოლოგიური საფუძველი უდევს.

მესამე სუბიექტური პირისა და მისი მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელად დასტურდება ალომორფები /-ეს/, /-ან/, /-ნ/, /-ენ/, /-ნენ/. თითოეული მათგანი სრულიად განსაზღვრულ პირობებშია წარმოდგენილი:

/-ეს/ ალომორფი. ყოველთვის /-ეს/ ალომორფი დასტურდება ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნათა წყვეტილში[12]: დაწერ-ეს, მოკლ-ეს, მოიწვი-ეს, სდი-ეს, წაიყვან-ეს, იცხოვრ-ეს, იტირ-ეს და სხვა. /-ეს/ ალომორფი არც ერთ სხვა შემთხვევაში არ გვხვდება[13].

/-ან/ ალომორფი. 1) „-ან სუფიქსი გვხვდება ყოველთვის, როცა ზმნის ფუძე ი-თი თავდება: ჭრი-ან, ჭყივი-ან, გარბი-ან, იცი-ან..., იცინი-ან, თხრი-ან და მისთ"[14]. მაშასადამე, /ი/ ფონემის მომდევნო პოზიციაში ყველა შემთხვევაში /-ან/ ალომორფია წარმოდგენილი, ამასთანავე სულ ერთია ზმნა ბრუნვაცვალებადსუბიექტიანია თუ ბრუნვაუცვლელსუბიექტიანი, მაგ., თლი-ან, ასწავლი-ან, იტანჯები-ან, ბერდები-ან, იწერები-ან, ეწერები-ან, გათლი-ან, გაშლი-ან, შეის-

---

[12] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178, 429—474 და სხვა; ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 052.

[13] ბ. რუდენკოს /-ეს/ სუფიქსი სეგმენტირებულად აქვს წარმოდგენილი — ე-ს (ბ. რუდენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 91). ამის საფუძველი, როგორც ჩანს, არის ისეთი პარადიგმების არსებობა, როგორიცაა: დავწერეთ, დაწერეთ, დაწერეს. ამგვარ კვალიფიკაციაზე, ზოგ სხვა მოსაზრებასთან ერთად, ხელს გვაღებინებს ისეთი პარადიგმების არსებობა, როგორიცაა: მოვკალით, მოკალით, მოკლეს.

[14] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178, იხ. აგრეთვე ბ. რუდენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

წავლი-ან, დაიტანჯები-ან, დაბერდები-ან, გათბები-ან და სხვა. 2) ყოველთვის /-ან/ ალომორფი დასტურდება ერთპირიან ბრუნვაუცვლელსუბიექტიან ზმნათა I თურმეობითში, მაგ., დამალულ-ან, წასულ-ან, წოლილ-ან, გამთბარ-ან, შეწუხებულ-ან, გაჩერებულ-ან და სხვა. 3) /-ან/ ალომორფი დასტურდება აგრეთვე მედიოპასიურ ზმნათა აწმყოს ფორმაში[15], მაგ., ჩან-ან, სხედ-ან, დგან-ან, წვან-ან, ჰგვან-ან, ჰყვან-ან[16].

/-ნ/ ალომორფი. /ა/, /ო/ და /ე/ ხმოვანთა მომდევნო პოზიციაში ყოველთვის /-ნ/ ალომორფია წარმოდგენილი. ასეთი ვითარება გვაქვს მხოლოდ ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნათა II კავშირებითის ფორმებში[17], სადაც /-ნ/-ს წინ უძლვის მწკრივის მორფემის ალომორფები /-ა/, /-ო/ ან /-ე/, მაგ., მოკლა-ნ, გაიხსნა-ნ, დაწერო-ნ, მოაწყო-ნ, მისცე-ნ, იტირო-ნ, ირბინო-ნ და სხვა[18].

დანარჩენი ალომორფები თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში დასტურდება:

[14] XVIII საუკუნის 70-იანი წლების ლაშხურ მეტყველებაში ი. ა. გიულდენშტედტის ჩანაწერების მიხედვით თითქოს ლ>ღ'დ უკვე უ ხმოვნის წინ. ნახეთ: ქართ. Lurdschi, სვან. Jurdsch, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გიულდენშტედტს გ'ს გრაფიკული გამოსახვისათვის სატრანსკრიფციო ნიშანი არ გააჩნდა და სხვაგანაც რომელიმე ხმოვნის აღმნიშვნელი გრაფემით გადმოს-

ანალოგიური ფონეტიკური მოვლენის ამსახველ მასალიდან აქ შემდეგს დავასახელებთ:

ბალსზემოური **ჲგრთხილ** (ციდა, ციდას ზომის წვრილი ხის ღერო) გენეტურ კავშირში უნდა იყოს იმერულ-ლეჩხუმურ სახელთან **ლურტყი (ლურთხი//ლორთქი)**, რომელიც მცენარის ახლად ამოყრილ ყლორტს (ღეროს) აღნიშნავს. თუ ეს ასეა, კნინობითის ფორმით წარმოდგენილ ბალსზემოურ **ჲგრთხილ**'საც ასეთი გზა ექნება გავლილი: იმერულ-ლეჩხუმური **ლურტყი//ლურთხი>სვან. *ლგრთხილ>ჲგრთხილ.**

ბზ. ჲგთინ 'ობელისკი' უნდა მომდინარეობდეს ფორმისაგან **ლგთინ,** რომელიც ამ სახით დღემდე ლახამულურს შემოუნახავს როგორც ობელისკის, ისე გამოჩენილის, ღირსეულის მნიშვნელობით.

ბზ. ჲგთხერ<ბქ. ლგნთხერ 'მეჩხერი, დამეჩხრებული'...

მსგავსი მასალა სხვაც ბევრია, მაგრამ, ვფიქრობთ, ხსენებული ფონეტიკური მოვლენის საჩვენებლად ესეც კმარა.

როგორც ვნახეთ, ტიპოლოგიურად მსგავს ფონეტიკურ გარემოცვაში, **გ**'ს წინა პოზიციაში **ლ ჲ**'დ იქცევა ზმნაშიც და სახელშიც. ეს გარემოება, ვფიქრობთ, კიდევ მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ჲ-გთრე „სვამს" ტიპის ზმნებში **ჲ** მესამე სუბიექტური პირის აღმნიშვნელი **ლ** თავსართის პოზიციური ვარიანტია.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ამ **ლ**'ს გენეზისის გამო ბოლო დროს გამოთქმულ მოსაზრებათა შესახებ.

ადრიდანვე ცნობილი **ლ-** თავსართიანი ხუთი სვანური ზმნის ჩვენებაზე დამყარებით ნ. ანდღულაძემ თავის გამოკვლევაში „კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში" ერთ-ერთმა პირველმა სცადა ამ **ლ**'ს წარმომავლობის დადგენა. მისი დებულებებია:

„1. სვანურს მესამე სუბიექტური პირის ნიშანი არ ჰქონდა ისევე, როგორც არ ჰქონდა იგი ქართულს განვითარების გარკვეულ პერიოდში (შდრ. პირველი და მეორე პირის ფორმები).

2. სვანურის **ლ-** პრეფიქსი მესამე სუბიექტური პირის გამოხატვის საჭიროებას არ გაუჩენია შემდეგშიაც.

3. სვანური ზმნების **ლ-** პრეფიქსი ნაშთია კლასოვანი უღვლი-

ცემდა (მაგ., ბგვი — Bekgi 'მაგარი', მგხარ — Michar 'ხვალ', წგრნი — Zerni 'წითელი', მგცხი — Mitsgi 'ცივი'...), უნდა ვიფიქროთ, რომ XVIII საუკუნის ლაშხურში ამ სახელის უ>გ'ში და ლ'ს ჲ'ში გადასვლაც ამის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო.

ლებისა, რომელიც ამოსავალია ქართველურ ენათა პიროვანი უღვლილებისათვის საერთოდ.

4. ლ- პრეფიქსის დაკარგვა უნდა უკავშირდებოდეს კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ცვლილებებს ზმნის სტრუქტურაში, რაც პირველ რიგში მესამე პირის უფორმობას გულისხმობს პირის გამოხატვის თვალსაზრისით“[15].

ამ დასკვნების მიღებას გამოკვლევაში წინ უსწრებს შესავალი, სადაც დიდი ადგილი ეთმობა მსჯელობას ტიპოლოგიური ერთგვარობის ალბათობის შესახებ ოდინდელი სვანური ენისა და ზოგი ნახურ-დაღესტნური ენის ზმნის სტრუქტურაში. ავტორის აზრით, სვანური ენა „სავსებით იმეორებს ღა- გუულისა და ლაკურის ძირითად კანონზომიერებას“[16]. ავტორისათვის ცნობილ ხუთ სვანურ ზმნაში დაცული ლ- თავსართი კვალიფიცირებულია როგორც ნივთის კლასის ექსპონენტი.

რა შეიძლება ითქვას ამ თვალსაზრისის შესახებ?

პრინციპში დასაშვები ჩანს სვანური ლ- თავსართის წარმომავლობის შესახებ საკითხის იმ სახით დასმა, როგორც ეს ნ. ანდღულაძის ნაშრომში გვაქვს. ოღონდ ამ ლ- თავსართიან სვანურ ზმნებთან დაკავშირებით ბოლო დროს მოპოვებული დამატებითი მასალებისა და მათი ანალიზის საფუძველზე ჩატარებული კვლევა-ძიების ფონზე ნ. ანდღულაძის დასკვნები, ჩვენი ვარაუდით, ჯეროვნად დასაბუთებული არაა.

კერძოდ: 1. ნ. ანდღულაძე თავისი დებულებების ერთ-ერთ ძირითად საბუთად თვლის ლ- თავსართიანი ზმნების სიმცირეს სვანურში. მისი აზრით, „პირის კატეგორიით შემოფარგვლის შემთხვევაში აუხსნელი რჩება ძირითადი საკითხი: რატომ გვაქვს მხოლოდ ხუთ ზმნასთან სუბიექტური მესამე პირის ლ- პრეფიქსი?“[17] ამ ფაქტს ემყარება ნ. ანდღულაძის ერთი ძირითადი დებულება: „სვანური ზმნების ლ- პრეფიქსი ნაშთია კლასოვანი უღვლილებისაო“[18]. ამიტომ არის იგი მხოლოდ ხუთ ზმნასთან შემორჩენილიო.

---

[15] ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

[16] იქვე, გვ. 195. თუმცა, როგორც სათანადო მასალის ანალიზიდანაც ჩანს, პირის კატეგორიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის თვალსაზრისით, როგორც ამას ნ. ანდღულაძე შენიშნავს, ლაკურსა და დარგუულში „ბევრი რამ კიდევ გასათვალისწინებელი და გასარკვევია“ (იქვე, გვ. 109).

[17] იქვე, გვ. 184.

[18] იქვე, გვ. 187.

ამ დებულებასთან დაკავშირებით უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ მესამე სუბიექტური პირის ნიშანი სვანურს მხოლოდ ხუთ ზმნაში კი არ შემორჩა, როგორც ეს ნ. ანდღულაძეს ჰგონია, **ლ-** და მისი პოზიციური ვარიანტები **ნ-** და **ჲ-**, როგორც ზემოთაც ვნახეთ, რამდენიმე ასეულ ზმნაშია წარმოდგენილი. თანაც იგი გვხვდება როგორც გარდაუვალ სტატიკურ, ისე გარდამავალ დინამიკურ ზმნებშიც. გამოდის, რომ მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **ლ-** და მისი პოზიციური ვარიანტები **ნ-** და **ჲ-** გაცილებით უფრო მკვიდრად არის წარმოდგენილი სვანურში, ვიდრე მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანი ქართული ენის ზოგ დიალექტში (მაგ., იმერულში, გურულში...). ზანურში ხომ ამ პირების ნიშანი საერთოდ არა გვაქვს? შეიძლება თუ არა ამის გამო დავასკვნათ, რომ ქართულსა და ზანურში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირი პიროვანი უღვლილების არსებობის მანძილზე არასდროს გაფორმებული არ იყო? არა. ამის მტკიცების უფლებას არ იძლევა არც ქართველურ ენათა შედარებითი კვლევა-ძიების შედეგები და არც ქართული ენის 15 საუკუნოვანი წერილობითი მასალა. მაშასადამე, გარკვეული ნიშნის მქონე ზმნების სიმცირე არაა საკმარისი საბუთი იმის დასადგენად, თუ რა მდგომარეობა გვქონდა ამა თუ იმ პირში პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების შემდგომი პერიოდის ფუძეენაში. **ლ-** პრეფიქსის გადაბგერება ან სრული ამოღება სვანურში პოზიციური ხასიათისაა. თანხმოვნებთან მეზობლობა განაპირობებს მას.

2. ნ. ანდღულაძის აზრით, სვანური ენის „გარდაუვალ სტატიკურ ზმნებში იგი (იგულისხმება **ლ-** თავსართი — მ. ქ.) გამოვლინდება ნაკვთთა პირველი წყების ფორმებში, გარდამავალ ზმნებში კი — მეორე წყების ფორმებში[19]. ახალი დამატებითი მასალები მხარს არ უჭერენ ნ. ანდღულაძის ზემოწარმოდგენილ დებულებას. **ლ**'ს პოზიციური ბგერინაცვალი **ჲ-** გვხვდება ნაკვთთა პირველი წყების ფორმებში გარდაუვალ ზმნებთანაც (**ჲ**-გჩად 'წავიდა') და გარდამავალ ზმნებშიც (**ჲ**-გთრე 'სვამს', **ჲ**-გგემ 'აშენებს', **ჲ**-გრში 'საწოლს შლის'...). ასევე ნაკვთთა მეორე წყების ფორმებში **ლ**-'ს პოზიციურ ვარიანტს **ნ**-'ს ან **ჲ**-'ს ვხვდებით არა მარტო გარდამავალ ზმნებში, როგორც ეს ნ. ანდღულაძეს წარმოედგინა, არამედ გარდაუვალ ერთპირიან ზმნებშიც. ამ საკითხზე ბალსქვემოურის კალაშური მეტყველების ჩვენება ასეთია:

---

[19] ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 179.

1. ლო-ხვ-ხირნენ	ლო-ხვ-ყურდ	ლო-ხვ-ემ
‘გავჯავრდი’	‘წამოვწექი’	‘ვჭამე’
2. ლა̈-ხ-ხირნენ	ლა-ხ-ყურდ	ლა̈-ხ-ემ
3. ლა̈-**ნ**-ხირნან	ლა-**ნ**-ყურდა	ლა̈-**ნ**-ემ

ამ ზმნათაგან პირველი ორი გარდაუვალი ერთპირიანი ზმნებია, მესამე — ორპირიანი გარდამავალი. ლა̈-**ნ**-ემ ფორმა თავისი **ნ**-არით შეიძლება ობიექტური წყობის I და II პირის ფორმებს დავუპირისპიროთ და ასეთ შემთხვევაში ეს **ნ**-’ც ობიექტის ნიშანი იქნებოდა, როგორც ამას ნ. ანდღულაძე ფიქრობს, მაგრამ რა ვუყოთ მხოლოდ ადამიანის ანუ სუბიექტის მოქმედების აღმნიშვნელ ლა̈-**ნ**-ხირნან, ლა-**ნ**-ყურდა და მისთანა ზმნათა **ნ**- პრეფიქსს? იგი, როგორც გარდაუვალი ერთპირიანი ზმნების თავსართი, რანაირად შეიძლება დავაპირისპიროთ ობიექტური წყობის I და II პირის ფორმებთან? ამგვარი ზმნების **ნ**-’ს ხომ მხოლოდ სუბიექტის აღნიშვნა შეუძლია მესამე პირში როგორც ოდენ სუბიექტური წყობის მქონე ზმნაში? ამდენად, ლა̈-**ნ**-ემ ზმნის **ნ**-’ც, მიუხედავად ამ ზმნის გარდამავლობისა, იმავე ფუნქციისა უნდა იყოს სვანურში, რა ფუნქციასაც ასრულებს იგი გარდაუვალ ერთპირიან ლა̈-**ნ**-ხირნან ტიპის ზმნებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში **ნ**- მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტურ მესამე პირს შეიძლება აღნიშნავდეს, როგორც ამ პირის ოდინდელი ნიშნის **ლ**-’ს პოზიციური ვარიანტი. ამის მიხედვით **ლ**- და მისი პოზიციური ვარიანტები **ნ**- და **ჲ**- მესამე სუბიექტურ პირს უნდა ასახავდნენ არა მარტო გარდაუვალ სტატიკურ ზმნებში, არამედ გარდამავალ დინამიკურ ზმნებშიც.

3. ნ. ანდღულაძე თავის გამოკვლევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ **ლ**- პრეფიქსი მესამე პირში ვლინდება. მესამე პირის **ლ**- პრეფიქსი, ავტორის აზრით, „ნივთის კატეგორიის ექსპონენტია, ხოლო პირის რომელობის თვალსაზრისით ნივთის კლასის ისეთ სისტემაში, რომელიც ამოსავლად კლასიან სისტემას გულისხმობს, ნივთის კატეგორიის პირდაპირი ობიექტის გადმონაშთ ექსპონენტს სწორედ მესამე სუბიექტური პირის ფორმაში უნდა მოველოდეთ, რადგანაც პირველი და მეორე პირის სუბიექტის ფორმებში სუბიექტური პირის ნიშნებია წარმოდგენილი“[20]. ამას საგან-

[20] ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 196.

გებოდ გახაზავს სხვაგანაც: „პირის რომელობის თვალსაზრისით ნივთის კლასის ობიექტი მესამე პირისა შეიძლება იყოსო“[21].

ჩვენ ზემოთ უკვე მრავალგზის ვნახეთ, რომ **ლ-** და მისი პოზიციური ვარიანტები **ნ-** და **ꭇ-** დიდი რაოდენობით გვხვდება ისეთ გარდაუვალ ერთპირიან ზმნებში, რომლებიც მხოლოდ ადამიანის ანუ სუბიექტის მოქმედებას აღნიშნავენ, სადაც III პირში ნივთის ან ობიექტის არსებობაზე არც ახლა და არც წარსულში ლაპარაკიც შეუძლებელია.

4. ნ. ანდღულაძის აზრით, „სვანურს სუფიქსად მესამე პირის ნიშანი არა აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართულიდან ნასესხებ **-ს** სუფიქსს. იგივე ითქმის II ტიპის აორისტის თავისებურებათა შესახებ“[22]. ამიტომ „სუფიქსის გაჩენას ვერ დავუკავშირებთ **ლ-** პრეფიქსის ფუნქციის დაჩრდილვასო“[23].

ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი უნდა შევნიშნოთ: მართალია, სხვა მწკრივებში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად სუფიქსის კვალი არ შეინიშნება, მაგრამ კავშირებითის **-ს** და განსაკუთრებით აორისტში წარმოდგენილი ვითარება ბევრის მთქმელია. ამ უკანასკნელ მწკრივში რამდენიმე ზმნასთან (მაგ., ესსგურდ-ა 'დაჯდა', ადყურდ-ა 'დაწვა', ლჴ-ꭇ-უედ-ა 'წაიძინა'...) აორისტის ნიშანი **-ა**'ს სახით დღემდე არის შემონახული. ეს **-ა** უნდა ჰქონოდა ამ მწკრივის მესამე პირში ყველა ზმნას: გარდაუვალსაც და გარდამავალსაც. ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს ამ აწმოკვეცილი **-ა**'ს წინა პოზიციაში **ე** და **ი** ხმოვნების გაფართოება: **ე** ხმოვნისა **ა**'დ, **ი**'სი **ე**'დ. ოღონდ გარდაუვალ ზმნებში მესამე სუბიექტური პირის **-ა** ნიშანი უშუალოდ ფუძისეულ **ე** ხმოვანს მოსდევდა და უმლაუტსაც იგი განიცდიდა. მაგ.:

1. ონ-ჭვედ 'მოვედი'	ონ-ტვეხ 'დავბრუნდი'	ოთ-ვეფ 'დავიკარგე'
2. ან-ჭედ	ან-ტეხ	ათ-ვეფ
3. ან-ჭად <*ან-ჭედ-ა	ან-ტახ<*ან-ტეხ-ა	ათ-ვაფ<*ათ-ვეფ-ა...

აორისტში გარდამავალ ზმნათა მესამე სუბიექტური პირის **-ა** სუფიქსი გარდამავლობის მაწარმოებელ **-ი** სუფიქსს მოსდევდა სვა-

[21] ნ. ანდღულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

[22] იქვე, გვ. 181.

[23] იქვე, გვ. 182.

ნურში და ამ ი'ს იმსგავსებდა — ე'დ. ამის ნიმუშებად განვებ დავასახელებ ფუძეში ო უ გ ხმოვნების მქონე ზმნებს:

1.	ო-ხ-ქუ̈მ<*ა-ხვ-ქომი	ოთ-ბჷ̈რ	ოთ-ფირ
	'მოვშალე'	'დავაბნელე'	'გავახმე'
2.	ა-ხ-ქუ̈მ < *ა-ხ-ქომ-ი	ათ-ბჷ̈რ	ათ-ფირ
3.	ან-ქომ-ე < *ან-ქომ-ი-ა	ად-ბურ-ე	ად-ფგრ-ე

გარდამავალ აორისტს -ი სუფიქსი აწარმოებდა ყველა პირში. ამას ადასტურებს **ო უ გ** ხმოვნების უმლაუტი I და II პირში. ამ -ი'ს ე'დ ქცევა მესამე პირში პოზიციური ხასიათისაა. მისი მიზეზი მესამე სუბიექტური პირის -ა ნიშანია. ამ კონტექსტში გასაგები ხდება ნ. ანდღულაძის ერთი მართებული შენიშვნის არსი: „უნდა მოიხსნას აორისტში **ლ-** და სუფიქს -ე-ს ფუნქციური ექვივალენტობის საკითხი, რადგან სვან. ე ქართ. ა-ს ფონეტიკური შესატყვისი არ არისო"[24]. ოღონდ აქ ანგარიში არ ეწევა იმ გარემოებას, რომ აორისტის ნიშანი -ა ახლა მოკვეცილია, რომ დღემდე დაცული -ე სულ სხვა ფუნქციისაა და -ი'საგან მოდის. აწმოკვეცილი სვანური -ა ქართული -ა'სა და ზანური -ო>უ'ს ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისია, რაც მის დიდ ხნოვანებაზე მიუთითებს და მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ იგი **ლ-** პრეფიქსთან შედარებით გვიანდელია. -ა და სხვა სუფიქსები იმ ეპოქის მონაცემები ჩანს, როცა ქართველური ენების პირიანი უღვლილების სტრუქტურაში მოხდა დიდი გარდატეხა, რომელიც სხვა ქართველური ენების მესამე პირში სუფიქსაციის საბოლოო გამარჯვებითა და პრეფიქსაციის სრული გაქრობით დასრულდა, სვანურში კი სუფიქსაციამ თითქოს მხოლოდ აორისტის და კავშირებითის ფორმაშიღა გაიკაფა გზა და შესაძლებელი გახდა ერთდროულად ორ ნიშანს მოეყარა თავი: **ლ-** თავსართს, რომელიც ქრონოლოგიურად უწინარესი ჩანს, და -ა ბოლოსართს, რომელიც შედარებით გვიანდელია, მაგრამ ფუძეენამდე მაინც ადის, რასაც ქართ., სვან. -ა და ზან. -უ (<-ო) შესატყვისობის რეალურად არსებობა ადასტურებს.

5. ნ. ანდღულაძის თვალსაზრისით, სვანურის იმ ზმნებს, რომლებშიც ახლა მესამე სუბიექტური პირის ნიშანი არა გვაქვს, არც არასდროს ჰქონიათ იგი. „**ლ-** რომ დაკარგულიყო, მას მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქცია უნდა დაეკარგა, მაგრამ ამ ხუთ ზმნაში

---

[24] ნ. ანდღულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 181.

ხომ იგივე ფუნქციით — მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქციით შემოგვრჩა? აწმყოში რაღა ვუყოთ? აწმყოში ხომ მესამე პირი უნიშნოა... ამგვარად, პირის კატეგორიით შემოფარგვლა ამჯერად ვერ ხსნის ძირითად საკითხს, **ლ-** პრეფიქსიანი ფორმების გადაშენების საკითხს"[25]. მაგრამ კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ **ლ-** და მისი პოზიციური ბგერინაცვალი **ნ-** და **ჷ-** ასეულ ზმნაში შემოგვინახა სვანურმა ენამ. ამის შესახებ ცნობები ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ნ. ანდღულაძის ნაშრომის დაბეჭდვამდე დიდი ხნის წინ იყო გამოქვეყნებული[26].

6. ნ. ანდღულაძე **ლ-** თავსართს კლასოვანი უღვლილების ნაშთად მიიჩნევს სვანურში. კლასოვანი უღვლილება კი, მისი აზრით, „ამოსავალია ქართველურ ენათა პიროვანი უღვლილებისათვის საერთოდ"[27]. თუ ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს **ლ-** დიდი ხნოვანებისაა და, მსგავსად პირველი და მეორე პირის თავსართებისა, საერთო ქართველური მოვლენაც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ნ. ანდღულაძე რატომღაც ამ ლოგიკურად თანმიმდევრულ ვარაუდს გამორიცხავს. მისი აზრით, **ლ-**'სთან დაკავშირებული „ხანგრძლივი პროცესი სვანურში დამოუკიდებლად უნდა წარმოვიდგინოთ, რადგანაც... **ლ-** ან მისი უძველესი... ვარიანტი საერთო ქართველურ მორფოლოგიურ ინვენტარში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად არ დასტურდება"[28]. ამასვე გულისხმობს შემდეგი განცხადებაც: ქართველური ენების „დიფერენციაციის მომენტისათვის მესამე პირის ფორმა... უნიშნო იყო"[29]. ან კიდევ: „მესამე პირის ფორმა, მატერიალურად გამოხატული აფიქსის გარეშე, წარმოგვიდგენს იმ სურათს, რომელიც პირის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე გვქონდა ზმნაში"[30].

აქ წარმოდგენილ დასკვნებში შინაგანი წინააღმდეგობები შეინიშნება: 187-ე გვერდზე მოცემულია იმის მტკიცება, რომ კლასოვანი უღვლილება ამოსავალია პიროვანი უღვლილებისათვის ქართველურ ენებში. სვანური ზმნის მესამე პირში დაცული **ლ-** სწორედ ამ კლა-

---

25 ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

26 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, ჷ-ს გენეზისისათვის სვანურში, ქართვ. ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 96—100; მ ი ს ი ვ ე, სვანური ენის ბალსქვემოური კილოს ეცერული თავისებურებანი, იკე, IX—X, 1958, გვ. 215—217.

27 ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

28 იქვე, გვ. 183.

29 იქვე, გვ. 180.

30 იქვე, გვ. 191.

სოვანი უღვლილების ნაშთიაო, ხოლო 180, 183 და 191-ე გვერდებზე წარმოგვიდგენს დებულებას, რომ მესამე პირის ფორმა პირის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე უნიშნო იყო ქართველურ ენებშიო. აქედან გამომდინარეობს ნ. ანდღულაძის შემდეგი განცხადებაც: „მესამე სუბიექტური პირის ნიშნის გენეზისის საკითხი დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს ქართველურ ენათა მიხედვით“[31].

ამის მიხედვით კეთდება დასკვნა, რომ სვანური **ლ-** ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდეგდროინდელი მოვლენაა. მაგრამ როგორ შევათანხმოთ ეს დასკვნა ნ. ანდღულაძისავე დებულებასთან, რომლის მიხედვითაც „სვანური ზმნების **ლ-** პრეფიქსი ნაშთია კლასოვანი უღვლილებისა, რომელიც ამოსავალია ქართველურ ენათა პიროვანი უღვლილებისათვის საერთოდ“[32]. აკი დადგენილად ითვლება სუბიექტური I და II პირისა და ობიექტური სამივე პირის მორფემათა საერთო წარმომავლობა ქართველურ ენებში? მორფოლოგიურ ნიშანთა გენეტური კავშირი კი მონათესავე ენებში ხომ იმაზე მიუთითებს, რომ ეს ნიშნები ფუძეენაში უკვე გვქონდა? თუ ეს ასეა, როგორ ავხსნათ, რომ უკვე პიროვანი უღვლილების მქონე სვანურში მისი ქართულ-ზანურიდან გამოყოფის შემდეგ ხელმეორედ თავი იჩინა მესამე პირში კლასოვანი უღვლილების ელემენტმა? ჯერ კიდევ ფუძეენიდან გამოყოფამდე დიდი ხნის წინ გავლილ საფეხურს დაუბრუნდა სვანური? აი კითხვები და სერიოზული დაბრკოლებები, რომლებსაც ანგარიში არ ეწევათ სვანურ **ლ**'სთან დაკავშირებული დასკვნების გაკეთებისას, უამისოდ კი დამაჯერებლობას კარგავს ჩვენს საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ვარაუდები.

ფაქტობრივი მასალის ანალიზმა ჩვენ ასეთ დასკვნამდე მიგვიყვანა:

სვანურ „ზმნებში დაცული **ლ-** ნიშანი ნაშთად უნდა მივიჩნიოთ III სუბიექტური პირისა“ (ვ. თოფურია). ამ დებულებას მხარი შეუმაგრა **ლ**'ს პოზიციურ ბგერინაცვალთა (**ჲ:** ჲ-გთრე 'სვამს', ლა-ჲ-ჰემე 'მოთიბა'... და **ნ:** ლა-ნ-იშ 'დალია', ლჴ-ნ-კიდ 'აიღო'...) დიდი რაოდენობით გამოვლინებამ სვანური ენის დღევანდელ დიალექტებში.

---

[31] ნ. ანდღულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 183.
[32] იქვე, გვ. 187.

М. М. КАЛДАНИ

К ВОПРОСУ О ПОКАЗАТЕЛЕ III СУБЪЕКТНОГО ЛИЦА В СВАНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. Как известно, несколько сванских глаголов в качестве показателя III субъектного лица сохранили префикс **l**-.

2. Установлено, что этот элемент в глаголах с превербом la- претерпел фонетические изменения:

а) в ряде диалектов он в результате диссимиляции перешел в **n**- (la-**n**-iš 'выпил', lä-**n**-ṭix 'вернул себе'...), б) в других диалектах он перешел в **j** (la-**j**-q̣urda 'прилег', la-**j**-č̣eme 'скосил'...). В виде **n**- и **j**- этот элемент сохранен в сотнях глаголов.

3. В верхнебальском и лентехском диалектах наблюдается переход показателя III л. субъекта **l**- в **j**- в глаголах с начальным гласным ə (**j**-əgem 'строит', **j**-ətre 'пьет', **j**-əršі 'стелит постель'...).

4. То, что в глаголах типа **j**-ətre **j** восходит к **l**, подкрепляется аналогичным изменением в анляуте некоторых имен. Например: грузинское lurǯi 'синий' в верхнебальском диалекте сванского языка представлено в виде jəržі, где **j**, безусловно, восходит к **l**.

5. **l**- и позиционно полученные из него **n**- и **j**- встречаются во многих непереходных одноличных глаголах: **l**-i '(он, она, оно) есть', lä-**j**-c̣ərnan 'покраснел', lä-**n**-bizan 'наелся', lä-**n**-xirnan 'разозлился'.

В этих глаголах нет объектного лица и не предполагается его наличие и в прошлом. Исходя из этого, **l**-(>**n**- || **j**-) можно считать показателем лишь III субъектного лица.

საენათმეცნიერო კრებული—Лингвистический сборник
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—АН Грузинской ССР
1979

K. H. SCHMIDT

PROBLEME DER KOMPARATION

In seinem Beitrag über 'Some Universals of Grammar'[1] unterscheidet J. H. Greenberg bei dem Prozeß der Steigerung zwischen adjective (A), marker of comparison (M) und standard of comparison (S); vgl. z. B. X is larger than Y mit larg(er) als A, than als M, und Y als S. Er stellt das 'Universal' auf, daß die Wortfolge AMS in Sprachen mit Präpositionen, die Wortfolge SMA dagegen in Sprachen mit Postpositionen die übliche ist.

In vielen idg. Sprachen wird AMS (X is larger than Y) als Regel empfunden; SMA scheint jedoch beispielsweise im Tocharischen zu überwiegen, einer Sprache, in der Postpositionen die Norm bilden[2]. S steht dabei im Perlativ oder Ablativ; diese Kasusmorpheme bilden M; A bleibt unmarkiert: B Sumersa tapre 'höher als der Sumeru', kauṃ meñäntsa la$k_u$tsa 'leuchtender als Sonne (und) Mond', cisa lāre 'lieber als du', cisa oṃṣap 'mehr als du', śtwer meñtsa auṣap 'mehr als vier Monate'[3].

Veränderte Wortstellung (mit vorangestelltem A) ist jedoch nicht ausgeschlossen: A lyutār memaṣ 'über (alles) Maß',

[1] in: ed. J. H. Greenberg, Universals of Language (Cambridge Mass. 1963), 58—90, besonders 69 f.

[2] Vgl. Verf., Agglutination und Postposition im Tocharischen (MSS 25, 1969, 105—112).

[3] Beispiele aus W. Krause /W. Thomas, Tocharisches Elementarbuch, I, Grammatik (Heidelberg 1960), p. 86.

ā l y e k c w ä ṣ 'andere als du'; B a l y e k t e s a n e s a l ỹ n e 'das Anders-als-sonst-sein'[4]. Letztere Wortfolge bleibt bei Greenberg unerwähnt; sie gibt ein ASM wieder (als Allosyntagmem zu SMA), entspricht demnach nicht AMS.

Die Wortstellung SMA wird durch das Ossetische bestätigt, eine andere Sprache mit Postpositionen[5], wie beispielsweise den von M. I. Isaev[6] für den digorischen Dialekt gegebenen Beispielen (mit S im Ablativ und formal durch ein Komparativmorphem markiertem A) zu entnehmen ist:

æv z a l u æ j s a w d æ r 'schwärzer als Kohle', w o næj 's̥t u r d æ r 'angesehener als sie (Pl.)', w o m æ j[1] l æ γ u z d æ r 'schlechter als dies', j e w g u r e m æ j s u r x d æ r 'schöner als alle' (und andere Umschreibungen des Superlativs[7]) usw.

Dem Tocharischen und Ossetischen vergleicht sich das Neuostarmenische (mit überwiegendem Gebrauch von Postpositionen[8]). Die beiden von Garibjan (l. c. 72) gegebenen Beispiele zeigen die Stellung SMA: z j u n ə t ' ł t'i ç s p i t a k ē 'Schnee ist

---

[4] Vgl. K r a u s e /T h o m a s p. 89 und W. T h o m a s, Tocharisches Elementarbuch, II, Texte und Glossar (Heidelberg 1964), p. 164, vgl. weiter W. K r a u s e, Tocharisch p. 19 (Handbuch der Orientalistik IV, 3, Leiden, 1955).

[5] V. J. A b a e v, A Grammatical Sketch of Ossetic (The Hague, 1964), p. 35 stellt fest: 'In Ossetic there are only two p r e p o s i t i o n s: æd 'with' and ænæ 'without'... Constructions with æd and ænæ are often so lexicalized that they have prepositional constructions.

[6] Digorskij dialekt osetinskogo jazyka (Moskva, 1966), 45 ff.

[7] Vergleichbare Umschreibungen des Superlativs finden sich z. B. auch im Tocharischen (K r a u s e/T h o m a s, l. c. p. 158), Hethitischen (J. F r i e d r i c h, Heth. Elementarbuch, I[2], Heidelberg 1960, p. 127) und Altarmenischen: o r p'o k'r i k n ē ł y a m e n e s i n i j e z (L 9, 48, doch zeigt bei diesem von H. J e n s e n, Altarmenische Grammatik, Heidelberg 1959, p. 69 gegebenen Beispiel die griechische Vorlage ebenfalls ein ὁ γὰρ μικρότερος ἐν πᾶσιν ὑμῖν. Neuwestarmenisch sind die Bildungen mit a m e n-a- 'aller-' neben a m e n ē n (Ablativ) verallgemeinert: b a r j r 'haut': a m e n a-b a r j r 'le plus haut', a m e n ē n x e l a ç i a š a k e r t n ē 'c'est l'élève le plus intelligent' (F. F e y d i t, Manuel de langue Arménienne. Arménien occidental moderne, Paris, 1948, p. 206).

[8] Vgl. A. S. G a r i b j a n, Kratkij kurs armjanskogo jazyka (Erevan, 1958), 178.

weißer als Papier', M o s k v a n E r e v a n i ç m e c ē 'Moskau ist größer als Erevan'. Demgegenüber weist das Altarmenische Präpositionen und Stellung AMS auf: e. g. ç a n k a l i ē n a k' a n z-o s k i, k' a ł ç r ē n a k' a n z-m e ł r Ps. 18 (19), 11 'begehrenswerter ist es als Gold, süßer ist es als Honig' (Jensen, l. c. p. 185 f.). A bleibt altarmenisch in der Regel unverändert; M wird durch k ' a n 'als' bezeichnet, gefolgt von S, das (außer bei Infinitiven) im Akkusativ steht (formal bezeichnet durch die nota accusativi z-).

Andererseits ist der Typus SMA (ASM) eine idg. wohl schon grundsprachliche Erscheinung, bei der M vorwiegend im Alblativ steht: altindisch p ā́ p ī y ā n á ś v ā d g a r d a b h á ḥ 'ein Esel ist geringer als ein Pferd', avest. v ā t ō h u b a o δ ī t a r ō a n y a ē ī b y ō 'ein Wind, wohlriechender als die andern Winde', lat. t e m a i o r, griech. μᾶλλον ἑτέρον 'mehr als andere' altksl. z ъ l o z ъ l a z ъ l ě j e 'Übel schlimmer als Übel' u. a.[9] Dieser Tatbestand spricht prinzipiell gegen die allgemeine Gültigkeit von Greenbergs 'Universal', da in den genannten altidg. Sprachen Präpositionen überwiegen.

Besser läßt sich dieses (bereits im Tochar., Osset. und Neuostarmen. festgestellte) Implikations-Universale an den Kaukasussprachen (mit Postpositionen und SMA bzw. ASM) zeigen. Als Beispiele aus der ostkaukasischen Gruppe verweise ich in diesem Zusammenhang auf Tabassaranisch und Chinalugisch. Für das Tabassaranische lehrt A. A. Magometov[10], 1. die Unveränderlichkeit von A, 2. die Anfügung von M an S (in Form von Partikeln: in Norddialekten -ţ a n a, im Süden -ç̌ a n oder -d a k a n): z. B. m u i ǯ u w-u w h a t m u-ţ a n a 'dies ist besser als das' (ASM), b a ž č° e-d a k a n ǯ e h i l w u 'der Junge (b a ž) ist jünger als der Bruder' (SMA).

[9] K. B r u g m a n n /B. D e l b r ü c k, Grundriß der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen, II, 2 (Straßburg, 1911), p. 501 ff.; E. S c h w y z e r/ A. D e b r u n n e r, Griechische Grammatik, II, 1. 2 (München, 1950), p. 98 ff.; M. L e u m a n n /J. H o f m a n n/ A. S z a n t y r, Lateinische Grammatik, II, 1 (München, 1963), p. 107 ff.

[10] Tabasaranskij jazyk (Tbilisi, 1965), p. 158.

Die chinalugische Konstruktion entnehme ich einem von J. G. Deseriev[11] gegebenen Text: K ä t š s°a č i n ä m ə d ə g u s d ä r j a h a q i l l i k̦ u a z y r ə p š°a p a n m ä t r ä h ü n d ü r ǯ i g ä j ä r l ä š m y š q i ž m ä 'das Dorf Chinalug (K ä t š s°a) ist gelegen (j ä r l ä š m y š q i ž m ä) auf einem Berge (č i n ä m ə d ə g u s) als Örtlichkeit (ǯ i g ä) 2300 Meter (k̦ u a z y r ə p š°a p a n m ä t r ä) höher (h ü n d ü r) als der Meeresspiegel (d ä r j a h a q i l l i). Die Wortstellung ist hier SMA, mit d ä r j a h a-q i l l i als SM (-q i l l i bezeichnet den sog. 'Vergleichskasus'=s r a v n i t e l'n y j p a d e ž bei Deseriev, l. c. 25 f.) und h ü n d ü r 'hoch' als (unflektiertem) A. Auch h i n e l u c o z e j l u c o z i -q i l l i č x i a t m ä 'seine Kuh ist größer als meine Kuh' ist als SMA zu analysieren (mit č x i 'groß' als A: Deseriev, l. c. 25), während in č x i-d u m ä š ä b y j-q i l l i 'größer als unser Vater' (Deseriev, l. c. 25) die Stellung AMS vorliegt (mit č x i 'groß' als A).

Dieser Befund {SMA ~ ASM} findet in den südkaukasischen Kartvelsprachen seine Bestätigung. Im Lasischen und Mingrelischen steht S im Ablativ [12], im Mi. daneben auch im Genitiv; diese Morpheme dienen gleichzeitig als M: las. h a m h a m u š e m o r d e r o n (atinischer Dialekt) =a j a a j a š e n d i d i r e n (chopischer Dialekt) 'dieses ist größer als dieses', h a m b o z o d a-š k i m i š e m s k w a o n (at. Dial.) 'dieses Mädchen ist schöner als meine Schwester'[13]. Das unflektierte A kann durch Partikeln verstärkt werden[14]: h a m h a m u š e o p š a m o r d e r o n (atin.): a j a a j a š e n d i d o d i d i r e n (chop.) 'dieses ist beträchtlich größer als dieses'; der Superlativ wird durch t e l i bzw. m t e l i 'ganz, all' als S mit der Ab-

---

[11] Grammatika chinalugskogo jazyka (Moskau 1959), 208; vgl. auch ebenda, p. 25 f.

[12] In russischer Terminologie wird der Kasus O t l o ž i t e l'n y j p a d e ž genannt, auf Georgisch d a š o r e b i t i b r u n v a.

[13] Beispiele aus N. Marr, Grammatika čanskago (lazskago) jazyka (S. Peterburg, 1910), p. 18.

[14] Im Atin. o p š a, sonst d i d o 'sehr, außerordentlich' und d a h a, d a a, d a, letztere als Entlehnungen aus dem Türkischen (M a r r, l. c.).

lativendung als M umschrieben: γ o r m o t i m t e l i š e- n o- s o n o n (atin.) 'Gott ist der Weiseste (von allem)'[15].

Das Lasische unterscheidet sich von den übrigen Kartvelsprachen dadurch, daß ihm die formale Differenzierung des Komparativs von A, gegenüber dem Positiv verlorengegangen ist. Dem Mingrelischen ist sie dagegen noch ganz geläufig: č̣ i č̣ e 'klein': u-č̣ i č̣-a-š i 'kleiner', s k v a m i 'schön': u-s k v a m-a-ś i 'schöner'[16]; daneben gibt es hier einen durch u m o s i 'größer, mehr' umschriebenen Komparativ. S steht entweder a) im Genitiv oder b) im Ablativ: a) n ʒ a l i e r i š i u m o s i n ʒ a l i e- r i i r o k i ' i 'er pflegt immer stärker als der Starke zu sein', b) t e c i r a] t i c i r a š e u m o s i s k v a m i r e 'dieses Mädchen ist schöner als mein Mädchen'. Von den beiden im Mingrelischen für M vorliegenden Varianten dürfte der Genitiv älter sein: er hat seine Parallele bereits im Altgeorgischen, dem der als sekundäre Ableitung geltende Ablativ[17] gänzlich fehlt: altgeorgisch ṭ a ʒ r i s a u p r o j s i Mt. 12,6 τοῦ ἱεροῦ μετρον[18].

Neugeorgisch ist diese Genitivkonstruktion nicht mehr lebendig. An ihre Stelle tritt entweder der Typus AMS: e s k a l i u p r o l a m a z i a v i d r e i s k a l i 'diese Frau ist schöner als jene Frau', der einen (wahrscheinlich unter fremden/europäischem/russischem Einfluß durchgeführten) vollständigen 'typologischen Bruch' bedeutet, oder der konservative Typus SMA (ASM) mit der Postposition -ze als M: e s k a l i u p r o l a m a- z i a i m k a l-z e 'diese Frau ist schöner als jene Frau'[19].

Was die formale Komparativbildung von A angeht, so haben

---

15 Vgl. oben Fußnote 7.

16 Diese und alle übrigen mingrelischen Beispiele wurden I. K i p š i d z e, Grammatika mingrel'skago (iverskago) jazyka (S. Peterburg, 1914), 033 f. entnommen.

17 Vgl. A. Č i k o b a v a, Čanuris gramaṭiḳuli analizi (Tbilisi, 1936), p. 51; G. A. K l i m o v, Sklonenie v kartvel'skich jazykach v sravnitel'noistoričeskom aspekte (Moskau, 1962), p. 93 ff.

18 Vgl. F. Z o r e l l, Grammatik der altgeorgischen Bibelübersetzung (Rom 1930), p. 29: 'Der als Maß des Vergleichs genannte Gegenstand steht im Genitiv'.

19 Vgl. K. T s c h e n k é l i, Einführung in die georgische Sprache, I (Zürich, 1958), 224.

wir hier 3 Typen unterscheiden können: a) A bleibt unflektiert, b) A wird flektiert, c) A wird umschrieben. Zweifellos handelt es sich bei c) um eine späte Erscheinung mit vielen Parallelen und Varianten[20]:

Für b) gibt Klimov[21] auf der Basis von geo. u-—-es[22] und las. mi. u- — -aš kartvelisch *u- — -es$_1$ als Grundform an. Svan. xo- — -a[23] weicht davon ab. Die Gleichung geo. xu-c-es-i 'Ältester, Geistlicher': zan. u(n)-č-aš-i 'Älterer': svan. xo-š-a ds.[24] läßt jedoch die Frage nach einem älteren Ansatz, unter dem sich geo. zan. (x)u- — -es$_1$ und svan. xo- — -a vereinigen lassen, nicht abwegig erscheinen. Die Ķlärung dieses Problems muß der Zukunft überlassen bleiben.

Ergebnisse:

1. Im Kaukasus ist bei der Komparation der Typus SMA (ASM) üblich, wie die Beispiele sowohl idg. (Osset., Neuostarmen.) als auch autochthoner Sprachen (Tabass., Chinal., Kartvelsprachen) zeigen. Das neugeo. Syntagma AMS stellt einen (wahrscheinlich durch fremde Einflüsse verursachten) typologischen Bruch dar.

2. Die von Greenberg behauptete gegenseitige Implikation von Postpositionen und SMA gilt nicht für altidg. Sprachen, wohl aber für den Kaukasus[25].

---

[20] Zur Frage der Verhältnisse von 1. merkmalhaltigem Komparativ zu merkmallosem Positiv und 2. merkmalhaltigem Superlativ zu merkmallosem Komparativ vgl. J. H. Greenberg, Language Universals (The Hague, 1966), p. 40 f.

[21] G. A. Ķlimov, Etimologičeskij slovar' kartvel'skich jazykov (Moskau, 1964), p. 185.

[22] Vgl. die geo. Beispiele bei A. Šaniʒe, Ķartuli enis gramaṭiḳa I. morpologia (Tbilisi, 1962), p. 83 f., did-i 'groß': u-did-es-i, axal-i 'neu, jung': u-axl-es-i u. a.; vgl. auch Zorell, l. c. und N. Marr/M. Brière, La langue Géorgienne (Paris, 1931), p. 78 ff.

[23] Vgl. die Beispiele bei V. T. Topuria, Svanskij jazyk [in: Jazyki narodov SSSR, IV, Iberijsko-kavkazskie jazyki (Moskau 1967]), p. 82: çərn-i 'rot': xo-çran-a, mašr-i 'breit': xo-mšar-a.

[24] Vgl. Verf., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache (Wiesbaden 1962), p. 159 u. G. A. Ķlimov, Etim. slovar', p. 185.

[25] Darüber hinaus soll für diesen Typus einerseits die Stellung von attributivem Genitiv vor Determinandum, andererseits die Wortfolge Subjekt —

3. Greenbergs Ansatz ist im Hinblick auf den Wechsel der Varianten SMA und ASM zu ergänzen, so daß als entscheidender Unterschied gegenüber AMS die Aufeinanderfolge SM bleibt.

4. In den Kartvelsprachen gibt die Wiedergabe von M durch den Genitiv den älteren Stand wieder.

5. Die Etymologie der kartvelischen Morphemverbindung, die den Komparativ aus A ableitet, bedarf der weiteren Klärung. Die Formation stellt dem undifferentierten A von Tabass. und Chinalug. gegenüber eine typologisch jüngere, dem umschriebenen Komparativ gegenüber dagegen eine typologisch ältere Erscheinung dar.

6. Der Superlativ erklärt sich im allgemeinen als umschriebener Sonderfall des Komparativs[26].

Objekt—Verb relevant sein: vgl. die 'Basic Order Typology' bei G r e e n b e r g in: Universals of Language, p. 60 ff.; vgl auch Verf., MSS 25, 110 f.; B. P o č x u a, IKJ 13 (Tbilisi, 1962), 109—123.

[26] Vgl. die Fußnoten 7 und 15; andererseits weist T o p u r i a, l. c. auf eine besondere Formation m a-—-e im Svanischen hin.

1979

ზ. ჯაფარიძე

ფონემების დიფერენციალურ ნიშანთა კომპონენტების შესახებ

როგორც ცნობილია, ფონემის დიფერენციალური ნიშანი (განმასხვავებელი ნიშანი) განიხილება როგორც უმცირესი ლინგვისტური ერთეული, ე. ი. როგორც ისეთი ერთეული, რომელიც ლინგვისტიკის თვალსაზრისით ველარ დაიშლება უფრო მცირე ერთეულებად. დიფერენციალურ ნიშანთა ამგვარი გაგება განსაკუთრებით ნათლადაა მოცემული ე. ბ ე ნ ვ ე ნ ი ს ტ ი ს ცნობილ ნაშრომში [1].

სეგმენტაციისა და სუბსტიტუციის გზით ლინგვისტური ერთეულების დადგენის განხილვისას ე. ბენვენისტი აღნიშნავს: „ამრიგად, ჩვენ ვაღიარებთ და განვასხვავებთ ფონემატურ დონეს, რომელზედაც შესაძლებელია ორივე ოპერაცია (სეგმენტაცია და სუბსტიტუცია) და სუბფონემატურ დონეს, ე. ი. **განმასხვავებელ ნიშანთა დონეს**, რომელზედაც შესაძლებელია მხოლოდ სუბსტიტუცია და შეუძლებელია სეგმენტაცია. აქ ლინგვისტური ანალიზის საზღვარი გადის. **ყოველგვარი მონაცემები, რომლებსაც თანამედროვე სპეციალური ტექნიკის მეშვეობით ამ დონის ქვევით მივიღებთ, განეკუთვნებიან ფიზიოლოგიას ან აკუსტიკას და გარელინგვისტურნი არიან**“ [1, 436], (ხაზგასმა ჩვენია — ზ. ჯ.).

აქ დიფერენციალურ ნიშანთა დაშლა შემადგენელ ნაწილებად, როგორც ვხედავთ, პრინციპში არ გამოირიცხება, მაგრამ უარყოფილია ამ დაშლის შედეგად მიღებულ ერთეულთა ლინგვისტური ხასიათი.

ცნობილია, რომ ერთი დიფერენციალური ნიშნის აკუსტიკურ გამოვლენას არტიკულაციაში შეიძლება შეესაბამებოდეს ერთზე მე-

ტი საარტიკულაციო მოძრაობა (იხ., მაგ., დიფერენციალური ნიშნის „ბემოლური — უბრალო“ აღწერა რ. იაკობსონისა და მ. ჰალეს მიერ) [2,257, 258]. მიუთითებენ იმაზედაც, რომ ერთი და იგივე საარტიკულაციო მოძრაობა შეიძლება მონაწილეობდეს სხვადასხვა დიფერენციალურ ნიშანთა შექმნაში: „ბემოლურობის ნიშანს აქვს მაღალტონიანობა — დაბალტონიანობის ნიშანთან საერთო ელემენტი; ეს ელემენტია დიდი წინა (სარეზონანსო — ზ. ჯ.) არე“ [3, 211].

არსებობის თვით აკუსტიკურ ფორმაშიც ერთ დიფერენციალურ ნიშანს შეიძლება აღმოაჩნდეს რამდენიმე თანაარსებული მახასიათებელი. როგორც გ. ფანტი აღნიშნავს, „...სასურველია განსახილველი ნიშნის აკუსტიკური გამოვლენის ისეთი ფორმულირება, რომ ყველა მახასიათებელი ლოგიკურად შედიოდეს მის მოკლე განსაზღვრაში...“ [3, 206]. მაგრამ ასეთი აღწერა ეწინააღმდეგება დიფერენციალურ ნიშანთა კლასიკური თეორიის პრინციპებს, რომელთა მიხედვით (დიფერენციალური ნიშნის) ყველა თანაარსებული მახასიათებლიდან უნდა ავირჩიოთ მხოლოდ ერთ-ერთი, ვინაიდან მასზე მითითება შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს ფონემათა კლასიფიკაციისათვის და თვით დიფერენციალურ ნიშანთა ჩამოთვლისათვის. აღსანიშნავია, რომ რ. იაკობსონი და მ. ჰალე სპეციალურ პარაგრაფში, რომელიც „დიფერენციალურ ნიშანთა სტრუქტურას“ ეძღვნება, ლაპარაკობენ არა მახასიათებლებზე, რომლებიც შეადგენენ ნიშანს (რისი მოლოდინის უფლებაც გვქონდა მათ მიერ ზოგი ნიშნის აღწერიდან ამოსვლით [2, 257, 258]), არამედ მხოლოდ წყვილწევროვან დაპირისპირებათა „დაბალი — მაღალი“, „მჟღერი — ყრუ“, „ცხვირისმიერი — არაცხვირისმიერი“ და ა. შ. წყვილის ცალებზე. თვით დაპირისპირების წევრთა სტრუქტურის საკითხი არ განიხილება. დიფერენციალური ნიშნები გაიგება როგორც „... მინიმალური ერთეულები, რომელთა მეშვეობით ერთი მორფემა განირჩევა მეორისაგან“ [2, 232].

მაგრამ ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ფონემათა დიფერენციალური ნიშნები (ყოველ შემთხვევაში — ზოგი მათგანი მაინც) იშლება უფრო მცირე ლინგვისტურ ერთეულებად. ამ ერთეულების ლინგვისტურობის მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მათი ფიზიკური მახასიათებლები სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად „ფასდება“. შესაბამისად, სხვადასხვა ენებში ამ ერთეულებს შეიძლება ჩამოვუყალიბოთ სხვადასხვა კანონები, რაც, ცხადია, იმაზე მეტყველებს, რომ როგორც ეს კანონები, ისე შესაბამისი ერთეულები ლინგვისტურია (და არა ფიზიოლოგიური, აკუსტიკური...).

მაგ., ნიშანი „წყვეტილი — უწყვეტი“ იშლება სულ ცოტა ორ კომპონენტად, რომლებიც უკავშირდებიან ჩქამის გრძლივობას და ჩქამის ჩამოყალიბების (ზრდის) სისწრაფეს. ჩქამის ერთსა და იმავე გრძლივობისას, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ჩქამის ჩამოყალიბების სისწრაფე, შეიძლება აღვიქვათ როგორც უწყვეტი, ისე წყვეტილი ფონემები. ხერხდება ისეთი ბგერის სინთეზი, რომელსაც ქართველი მსმენელები ხან სპირანტ **ს**-დ აღიქვამენ და ხან აფრიკატ **ც**-დ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოვასმენინებთ მაგნიტოფონურ ჩანაწერს: თავიდან ბოლოსკენ თუ პირიქით, ბოლოდან თავისკენ[1]. ამ ცდაში სხვადასხვაგვარად აღქმულ სტიმულთა შორის სხვაობა დაიყვანებოდა დიფერენციალური ნიშნის „წყვეტილი — უწყვეტის“ მხოლოდ ერთ კომპონენტამდე, კერძოდ იმ მახასიათებლამდე, რომელიც ჩქამის ჩამოყალიბების სისწრაფეს უკავშირდებოდა. სწრაფად, აფრიკატული დასაწყისით ჩამოყალიბებული ჩქამი, მომდევნო ნელი შესუსტებით, შებრუნებულად აღწარმოებისას, ბუნებრივია, გადაიქცეოდა ნელა, სპირანტული დასაწყისით, ჩამოყალიბებულ ჩქამად. ყველა სხვა ფიზიკური მახასიათებელი, ცხადია, უცვლელი იყო.

ბგერათა სეგმენტაციის ცდებში[2] **ს** სპირანტის გადაქცევა **ც** აფრიკატად **ს**-ს სხვადასხვაგვარ დამოკლებას მოითხოვდა იმისდა მიხედვით, ვუნარჩუნებდით თუ არა ბგერას სპირანტულ დასაწყისს, ე. ი. მხოლოდ ვამოკლებდით მას, თუ ამავე დროს ვაახლოებდით სპირანტს აფრიკატთან მეორე მახასიათებლითაც — ჩქამის ჩამოყალიბების სისწრაფითაც (ბგერის ბოლო ნაწილის მოკვეთისას ეს სისწრაფე არ იცვლება, თავის მოკვეთისას კი იგი, ცხადია, იზრდება). ზემოთ ხსენებული ორი კომპონენტის სიდიდეები ერთმანეთის კომპენსაციას ახდენენ. კომპენსაციის ეფექტი დამოკიდებულია არა მხოლოდ კომპონენტის გამოხატულების ხარისხზე, არამედ ამ კომპონენტის ღირებულებაზე, ფარდობით წონაზე ამა თუ იმ ენის ფონემატური სმენისათვის.

ცხადია, რომ ჩქამის სისწრაფესთან დაკავშირებული კომპონენტის ფარდობითი წონა სხვადასხვა უნდა იყოს იმ ენებში, რომლებშიც ამ მახასიათებლის მეშვეობით განირჩევა **ს**, **ც**, **თ** ტიპის ბგერები და იმ ენებში, რომლებშიც **ც** ტიპის ბგერები (აფრიკატები) არა

[1] ცდაში გამოვიყენეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში უფროსი ინჟინრის ლ. ბელოზეროვას მიერ სინთეზირებული სტიმულები.

[2] ცდებში მონაწილეობდა ასპირანტი ლ. თაბორიძე.

გვაქვს. იგივე ითქმის ჩქამის გრძლივობის შეფასებაზე სხვადასხვა ენებში, რომლებშიც ამ მახასიათებლის მეშვეობით წყვეტილ და უწყვეტ ფონემათა გვერდით განირჩევა ან არ განირჩევა გრძელი და მოკლე ფონემები.

პარამეტრი, რომელიც კომპონენტებად დაშლად დიფერენციალურ ნიშანს შეესაბამება, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამი: ყოველი კომპონენტი ჯამში შედის საკუთარი კოეფიციენტით, რომელიც ასახავს მის ფარდობით წონას, მის მაკომპენსირებელ ძალას მოცემულ ენაში. ეს ეხება როგორც პროსოდიული [4, 29—31], ისე ფონემის შინაგანი დიფერენციალური ნიშნების კომპონენტებს [5, 134, 141]. განსხვავებით ამისაგან თვით ფონემათა დიფერენციალურ ნიშნებს ერთმანეთის კომპენსაცია არ შეუძლიათ.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ დიფერენციალური ნიშნის დაშლადობის საკითხი ისმის სხვა (არაექსპერიმენტულ) მონაცემთა საფუძველზეც [6, 21].

З. Н. ДЖАПАРИДЗЕ

О КОМПОНЕНТАХ РАЗЛИЧИТЕЛЬНЫХ ПРИЗНАКОВ ФОНЕМ

Резюме

На основе экспериментальных данных можно утверждать, что так наз. различительные признаки фонем (по крайней мере, некоторые из них) разлагаются на более мелкие лингвистические единицы. Показателем лингвистичности этих единиц может считаться то, что их физические характеристики «оцениваются» по-разному в разных языках.

Так, напр., признак прерванный — непрерывный разлагается по крайней мере, на два компонента, связанных с длительностью шума и со скоростью его нарастания. При одной и той же длительности шума, в зависимости от скорости нарастания шума, могут восприниматься как непрерывные, так и прерванные фонемы. Удается синтезировать звук, воспринимаемый грузинами то как спирант s, то как аффриката c, в зависимости от способа воспроизведения — от начала к концу или наоборот. В опытах по сегментации превращение спиранта в аффрикату требует разной степени укорочения спиранта в зависимости от того, сохраняется или нет его спи-

рантное начало, т. е. происходит или нет также и сближение по скорости нарастания шума. Величины указанных компонентов компенсируют друг друга. Эффект компенсации зависит не только от степени выраженности компонента, но и от значимости, относительного веса, придаваемого этому компоненту в данном языке.

Очевидно, что относительные веса компонента, связанного со скоростью нарастания шума, должны быть разными в языках, где этой характеристикой могут различаться звуки типа s, c, t, и в языках, где звуки типа c (аффрикаты) отсутствуют. То же самое следует сказать и об оценке длительности шума в языках, в которых посредством этой характеристики рядом с прерванными и непрерывными различаются или не различаются долгие и краткие фонемы.

Параметр, соответствующий различительному признаку с несколькими компонентами, можно представить как сумму значений по отдельным компонентам. Значение каждого компонента вводится со своим коэффициентом, отражающим его относительный вес, его компенсирующую силу в данном языке. В отличие от этого разные различительные признаки компенсировать друг друга не могут.

ლიტერატურა

1. Э. Бенвенист, Уровни лингвистического анализа, 1962, в сборн. «Новое в лингвистике», вып. IV, Издат. «Прогресс», М., 1965, გვ. 434—449.
2. Р. Якобсон и М. Халле, Фонология и ее отношение к фонетике, 1957. В сборнике «Новое в лингвистике», вып. II, Издат. иностранной литературы, М., 1962, გვ. 231—278.
3. Г. Фант, Акустическая теория речеобразования, 1960, Русское издание, 1964, Издат. «Наука», М., გვ. 1—284.
4. Л. Б. Белозерова, З. Н. Джапаридзе, И. А. Зимняя, Об относительном весе признаков супрасегментных единиц, II межвузовская научно-методическ. конференция «Преподавание иностранных языков в вузах неязыковых специальностей», Тезисы докладов, Издательство БГУ, Минск, 1971. გვ. 29—31.
5. З. Н. Джапаридзе, Об эталонах перцептивной базы языка, Сб. «Вопросы анализа речи», т. IV, Издательство «Мецниереба», Тб., 1973, გვ. 130—141.
6. И. Г. Меликишвили, Отношение маркированности в фонологии, автореферат кандидатск. диссертации, Тб., 1972, გვ. 1—32.

სარჩევი
СОДЕРЖАНИЕ
CONTENTS

გიორგი ახვლედიანი. შემოქმედი, მკვლევარი. გიორგი წერეთელი. მძიმე დანაკლისი. შოთა ძიძიგური. გივი მაჭავარიანის ხსოვნას. Г. С. Ахвледиани. Творчески одаренный исследователь. Г. В. Церетели. Тяжелая утрата. Ш. В. Дзидзигури. Памяти Гиви Мачавариани. G. Achvlediani. An outstanding scientist. G. Tsereteli. The great loss. Sh. Dzidziguri. To the memory of Givi Machavariani 5

Краткая биография Гиви Ираклиевича Мачавариани 9

გივი მაჭავარიანის შრომების ბიბლიოგრაფია 11

Библиография работ Г. И. Мачавариани 11

В. И. Абаев. Тагхап 21

ზ. ალექსიძე. შუშანიკი — ინტერნაციონალური წმინდანი . . 26

З. Н. Алексидзе. Шушаник — интернациональная святая . 32

თ. გამყრელიძე. ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“ 33

Т. В. Гамкрелидзе. «Валентность» и «персональность» глагола 51

ბ. გიგინეიშვილი. ცხვრის აღმნიშვნელი უძველესი ქართული სიტყვა 52

Б. К. Гигинейшвили. Древнейшее грузинское слово со значением овца 61

Г. Г. Гиоргадзе. О характере некоторых индоевропейско-грузинских (картвельских) языковых параллелей 62

Т. Б. Гониашвили. О рефлексе интенсивных глоттализованных аффрикат в нахских языках 70

ტ. გუდავა. ბაგისმიერი თანხმოვნები ჩქამიერთა წინ მეგრულში . 81

Т. Е. Гудава. Лабиальные согласные перед шумными в мегрельском 88

Ласло Дэже. О связи глубинной структуры с актуальным членением и падежной системой 89

Вяч. Вс. Иванов. О некоторых переднеазиатских параллелях к картвельским лексемам 111

Г. А. Климов. О дономинативном компоненте картвельской языковой структуры 130

ა. ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი. წმინდა გიორგის ქართული კულტის საკითხისათვის 146
А. С. Л е к и а ш в и л и. К вопросу о культе Святого Георгия в Грузии 152
ა. ო ნ ი ა ნ ი. მესამე სუბიექტური პირის მორფემა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში 153
А. Л. О н и а н и. Морфема третьего лица субъекта в современном грузинском литературном языке 160
G. P ä t s c h und G. M e i n h o l d. Stimmlose Sonore im Anlaut georgischer Wörter 162
G. R a m i s c h w i l i. Über das Postulat der Laut—Sinn—Synthese . . 172
ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე. წყვეტილისა და II ხოლმეობითის ფორმათა ურთიერთშენაცვლებისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში . . 186
З. А. С а р д ж в е л а д з е. Случаи чередования форм аориста и пермансива II-го в древнегрузинских письменных памятниках 190
Б. А. С е р е б р е н н и к о в. О былой близости пермских и обско-угорских языков 191
H. F ä h n r i c h. Zwei ähnliche Wortstämme im Kartwelischen und Daghestanischen 198
H. V o g t. Sur l'ordre des mots en géorgien moderne 201
მ. ქ ა ლ დ ა ნ ი. მესამე სუბიექტური პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში 208
М. М. К а л д а н и. К вопросу о показателе III субъектного лица в сванском языке 223
K. H. S c h m i d t. Probleme der Komparation 224
ზ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ფონემების დიფერენციალურ ნიშანთა კომპონენტების შესახებ 231
З. Н. Д ж а п а р и д з е. О компонентах различительных признаков фонем 234

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

ИБ 1051

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ი. ნასარიძე

გადაეცა წარმოებას 15.2.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.VIII.1979;
ქაღალდის ზომა $60\times90^{1}/_{16}$; ქაღალდი № 1;. ნაბეჭდი თაბახი 15.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.4;

უე 01222; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 571;
ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ЛИНГВИСТИЧЕСКИЙ СБОРНИК